კომპლექტი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ., დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.

ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

დღევანდელი გაზეთი შეიცავს 8 გვერდს

კვირა, 15 თებერვალი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კ. № 38 (1193)

დღიური

— დამოკიდებულება გერმანიასა და რუმინეთს შორის — გამწვავდა.

— სუნ-იატ-სენსა და პეკინის მთავრობას შორის განხეთქილება ჩამოვარდა.

— სპარსეთის პრემიერი რიზა-ხანი დაინიშნა სპარსეთის ჯარების მთავარ-სარდლად.

— რუმინეთის ციხეებში უკვე მეთვრამეტე დღეა შიმშილობს 26 პატიმარი.

უფასო დამატება

„კომუნისტი“-ს ხელის მომწერლებს

„ჩირაღდანი“

დღეს ურიგდება „კომუნისტი“-ს ყველა ხელისმომწერლებს „ჩირაღდანი“ № 3.

შინაარსი: 1) ნაძალადევის არწივნი. მოთხრობა. (ძღვნათ ნაძალადევის მუშებს)—მუშა **ნ. ასათიანაშვილისა.** 2) ჯაჭვის რგოლები—**ჟანრი ბარბიუსის.** 3) **გ. ქუჩიშვილის** ლექსი. 4) **ჰაზენკლევერის** ლექსი. 5) ბეწვზედ ჩამოკიდებული სიცოცხლე—მოთხრობა—**ნ. იტრიევის.** 6) კრემლის კედელთან, ლექსი—მუშა **შაქრო ნავთლუღელისა.** 7) სიკვდილის ნაცვლად თავისუფლება, მოთხრობა—მუშა **ალ. ბ—შვილისა.** 8) მუშა მანქანასთან, ლექსი—**ვ. პოლუმორდვინოვისა.** 9) ზამთარი, ლექსი—**შალვა ჯამბერიძის.** 10) ჩვენ ავაფეთქებთ, სურათი 1 მოქ. **ს. ერ—ლის.** 11) კატასტროფა—მოთხრობა—**პიერ ჰამპის.** 12) წერილი მამას, ლექსი—**ბ. უჩანეიშვილის.** 13) ნარევი, ლიტერატურა, კინო, ხელოვნების ქრონიკა, მეცნიერება და ტეხნიკა, ნახატები,

„მეცნიერება და ტეხნიკა“

იბეჭდება და 18 თებერვალს დაურიგდება „კომუნისტის“ ხელის მომწერლებს „მეცნიერება და ტეხნიკა“ № 3.

მთლიანი ფრონტი პროლეტარული რევოლუციისკენ

ტელეგრამებში სწერია: „ინგლისის ტრედიუნიონების (პროფკავშირების) გენერალურმა საბჭომ ერთხმათ მოიწონა ანგარიში დელეგაციისა, რომელმაც საბჭოთა კავშირი მოიარა“.

ამნაირათ დღეს უკვე ოფიციალურათ დადასტურებულია ის, რაც უკვე დღემდეც ცნობილი იყო, მაგრამ ზოგიერთების მიერ განზრახ დაფარული და დამალული. ყვითელი ინტერნაციონალის ბელადებისთვის, რომლებიც არც ერთ შემთხვევას არ უშვებენ, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული ცილისწამებისა და ტყუილების გუდა გადააბერტყონ თავზე თავიანთ მიმდევრებს—ამ ბელადებისთვის არასფერ სასიამოვნოს არ წარმოადგენს ის დასკვნები, რომლებამდისაც მივიდა ინგლისის პროფკავშირების დელეგაცია საბჭოთა კავშირში მოგზაურობისა და მისი შინაური ცხოვრების გაცნობის შემდეგ. როგორი იყო ეს დასკვნები? დელეგაციის ერთმა წევრმა ამხ. ბრომლეიმ მკაფიოთ გამოხატა მათი დედა-აზრი ყვითელი ინტერნაციონალის აღმასკომის თათბირზე ამას წინეთ. მან სთქვა: მე ვეკუთვნი მემარჯვენე ფრთას ინგლისის მუშათა მოძრაობაში და მით უმეტეს არ ვარ კომუნისტი, მაგრამ საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს საქმეების გაცნობამ ღრმათ დამარწმუნა იმაში, რომ ამ კავშირის მუშათა კლასს შეუძლია განვითარება და გამარჯვება მხოლოთ კომუნისტების დროშის ქვეშ და მათი მეთაურობითო.

ვიმეორებთ, ამას ამბობს არა რომელიმე „ჯიუტი“ კომუნისტი, არამედ მემარჯვენე ბელადი ინგლისის მუშათა მოძრაობის. ვინ იტყვის, რომ ეს „ამბავი“ სასიამოვნოთ დარჩებოდათ ყველა ამ უდეგესტებს, ლეიპარტებს და მათ მეგობრებს ყვითელი ინტერნაციონალიდან. თავისთავათ ცხადია, რომ პროფკავშირთა დელეგაციის ანგარიშის დამტკიცება და ისიც ერთხმათ ინგლისის ტრედიუნიონების ხელმძღვანელ ორგანოს მიერ, არის ისეთი ზნეობრივ-პოლიტიკური დამარცხება ამსტერდამის პროფესიონალური ინტერნაციონალის მემარჯვენე ფრთის, რომელსაც მოჰყვება (და ეს უკვე დაიწყო) ყვითლების ორგანიზაციული დაშლაც.

ამნაირათ, ტრედიუნიონების გენერალური საბჭო დადგა ბრომლეისა და მისი ამხანაგების თვალსაზრისზე. ეს არის დიდი მორიგი გამარჯვება საბჭოთა კავშირის მუშების. ეს ფაქტი შემატებს ენერგიას ინგლისის მუშათა მოძრაობის ოპოზიციონურ უმცირესობას, რომელიც იბრძვის დღეს პროფმოძრაობის გაერთიანებისათვის და მშრომელთა რესპუბლიკების აქტიურათ დახმარების ლოზუნგის ქვეშ. და ამ ოპოზიციონური უმცირესობის მუშაობა თანდათან თვალსაჩინო, თანდათან გაბედული ხდება და თავის ფერხულში ითრევს სულ უფრო და უფრო ფართო მასებს ინგლისის პროლეტარიატისას.

აი ერთი ნაყოფიც ამ მუშაობის. რადიო გადმოგვცემს: მანქანის და გემების მკეთებელთა, სატრანსპორტო და მშენებელ მუშების, აგრედვე მემაღაროელთა პროფკავშირების წარმომადგენელთა კონფერენციაზე კარდიფში ერთხმათ იქნა მიღებული რეზოლიუცია, რომელიც ესალმება ტრედიუნიონების გენერალურ საბჭოს ბრძოლას მთლიანობისათვის და გმობს ამსტერდამის რეაქციონურ პოლიტიკას“.

ასეთი პროგრამით ვითარდება ფართო მოძრაობა, რომელიც მიზნათ ისახავს ინგლისის ტრედიუნიონების დაყენებას კლასიური ბრძოლის გზაზე, მუშათა მთლიანი ფრონტის შექმნას, პროფმოძრაობის გაერთიანებას და ამსტერდამის დაძლევას.

ეს აღშფოთებს და აშინებს ბურჟუაზიას, მის მიერ მოსყიდულ ბელადებს ყვითელი პროფესიონალური ინტერნაციონალისას და მეორე ინტერნაციონალის მესვეურებს, რომლებმაც იმის შესახებაც კი დააყენეს კითხვა, რომ მეორე ინტერნაციონალის აღმასკომის აპარატი გადატანილი ყოფილიყო ლონდონიდან ევროპის რომელიმე სხვა სახელმწიფოში, რათა ამნაირათ დაეშორებიათ ის ინგლისის პროლეტარიატის „ბოლშევიკებისადმი მეგობრული განწყობილების“ გავლენისაგან როგორც ეს გამოამჟღავნა „როტე ფანე“-ს ლონდონელმა კორესპონდენტმა, ამას წინ აღუდგენ ინგლისელები და ამნაირათ კითხვაც მოიხსნა.

ჩვენ ვხედავთ, რომ ყვითლებთან ბრძოლაში დღეს ჩვენთან არიან მათთან ერთ ორგანიზაციაში მომუშავე საკმაოთ ძლიერი ოპოზიცია, ცნობილი ბელადები და (ზოგიერთ მნიშვნელოვან საკითხში კი) თვით ინგლისის ტრედიუნიონების გენერალური საბჭოც, როგორც ეს მან დაამტკიცა პერსელისა და მისი ამხანაგების ანგარიშის დამტკიცებით. ამით გარღვეულია ის ერთიანი კედელი ყვითელი ინტერნაციონალის, რომელიც აღმართული იყო ჩვენს წინააღმდეგ და რომელსაც საერთაშორისო ბურჟუაზია ხმარობდა თავის ფარ-ხმალათ ჩვენთან ბრძოლაში. აწი იწყება ბრძოლა ნამდვილი მთლიანი პროფესიონალური ინტერნაციონალისთვის, რომელიც იქნება იარაღი არა უკვე ბურჟუაზიული რეაქციის, არამედ პროლეტარული რევოლუციის.

საჭიროა თემკომის ინსტიტუტის შემოღება*)

მას შემდეგ, რაც გადაწყდა საბჭოთა ხაზით რაიაღმასკომების გაუქმება და სათემო სისტემაზე გადასვლა, ჩვენს წინაშე წამოიჭრა ახალი ამოცანა,—პარტიული აპარატის წყობის რეორგანიზაციის შესახებ.

ეს საკითხი წამოაყენა ამხ. ა. ბობოხიძემ (იხ. გაზ. „კომუნისტი“ № 21) პარტიული ხაზით დავტოვოთ რაიკომი, თუ გავაუქმოთ ასეთი და გადავიდეთ თემურ სისტემაზე, შევქმნათ თემის კომიტეტი?

თავის წერილში ამხ. ა. ბობოხიძეს, სანამ ამაზე პასუხს გასცემდეს, მოჰყავს ცნობა იმ ცვლილებათა შესახებ, რომელიც განიცადა პარტიის ძირითადმა აპარატმა დღიდან საქართველოს გასაბჭოებისა დღემდი და ამბობს, რომ 1923 წლის მარტში კომ. პარტიის სამაზრო და საოლქო კომიტეტების მდივნების თათბირმა აღიარა თემკომების მოსპობის აუცილებლობა და მათ ნაცვლად რაიონულ სისტემაზე გადასვლა. ეს მართალია, მაგრამ ს. კ. პ. ცენტრალურმა კომიტეტმა დაუშვა გამონაკლისი სენაკის მაზრისათვის და აქ დასტოვა თემის კომიტეტები. ძალიან კარგი. სენაკის მაზრაში არსებობდა თემის კომიტეტი, მერე? იძლეოდა და იძლევა იგი რაიმე სარგებლობას თუ არა?

აქ მე მოვიყვან პასუხისმგებელ ამხანაგების (ლ. ქართველიშვილი, შ. ლეჟავა, თ. ელენტი) შეხედულებას. რომელნიც, სხვათა შორის, გაეცნენ სენაკის მაზრის ნაქალაქევის თემის კომიტეტის და უჯრედების მუშაობას. ნახულით ეს ამხანაგები ძალიან კმაყოფილი დარჩენ, განსაკუთრებით თემის კომიტეტის მუშაობით, ამხ: ქართველიშვილმა კიდეც განაცხადა: „თემის კომიტეტი აუცილებლად საჭირო ყოფილა“-ო.

ამხ. ა. ბობოხიძის აზრით კი თემის კომიტეტის ინსტიტუტის შემოღება უნდა იქნას უარყოფილი. ამ შეხედულების დასამტკიცებლად მას მოჰყავს ორი უმთავრესი მოსაზრება:

პირველი: „თემკომების არსებობა,—სწერს იგი,—მოითხოვდა აუარებელ ამხანაგების კადრს. ასეთი მომზადებულ ამხანაგების კადრი ჩვენ არ გვყავდა და არც გვყავს“.

მეორე: „სახსრების უქონლობა თემკომების მდივნების ჯამაგირით დასაკმაყოფილებლად“. საკითხის დაყენება ასე არ შეიძლება და არ არის სწორი—გვყავს თუ არა მომზადებულ ამხანაგების კადრი, არამედ საკითხი ჩვენ უნდა დავაყენოთ ასე: არის თუ არა საჭირო და მიზანშეწონილი თემის კომიტეტების შემოღება და არსებობა. მაგრამ თუ გინდ დავაყენოთ საკითხი ისე, როგორც ამას სვამს ამხ. ბობოხიძე, და გავარკვიოთ: გვყავს და შევქმნით თუ არა თემკომებისათვის საჭირო ამხანაგების მომზადებულ კადრს?

თემკომებისათვის საჭირო მომზადებულ ამხანაგების კადრის შექმნა ცოტათი საძნელო იყო 2-3 წლის უკან, მაგრამ დღეს ეს არც ისე ძნელი საქმეა. ვინ იცის—თუ რამდენია საქართველოს სხვადასხვა მაზრებში სხვადასხვა ტიპის და საფეხურის პარტიულ სკოლებში სწავლამიღებული ამხანაგები, რომელთა ერთი ნაწილი უმუშევრათ არიან დარჩენილი, ხოლო მეორე ნაწილი მსახურობენ მილიციაში, ან ვინ ჩამოსთვლის—რამდენი ჩვენი საუკეთესო ამხანაგები მსახურობენ კოოპერატივებში და სავაჭრო ორგანოებში უბრალო თანამშრომლებად; ყველა ამათგან ნაწილის მოხსნა, თუ ეს საჭირო იქნა, შეიძლება სულ თავისუფლად და უმტკივნეულოდ.

შემდეგ: არ უნდა დავერიდოთ მაზრის მასშტაბით მომუშავე ამხანაგების ნაწილის მოხსნას და თემის კომიტეტების მდივნებად დანიშვნას.

ამნაირათ ჩვენ შევქმნით თემის კომიტეტებისათვის მომზადებულ კარგი ამხანაგების კადრს.

ახლა სახსრის უქონლობის შესახებ.

უპარტიო და პარტიულ მასის კულტურულად წინ-წაწევის და საბჭოთა ხელისუფლების საქმის სათანადო დონეზე დაყენების ინტერესები მოითხოვენ პარტ-აპარატების საუკეთესოდ მოწყობას და უზრუნველყოფას. თუ რეაქციის დროს კომუნისტური პარტია, რომელიც განიცდიდა სისტემატიურ დევნას, ახერხებდა პარტიული აპარატის შესანახად საჭირო საშუალების გამონახვას, დღეს, როცა მშრომელ ხალხს ხელთ უპყრია ძალა-უფლება, ეს მით უფრო შესაძლებელია. დაუშვებელია ფიქრიც კი იმაზე, რომ პარტია ვერ შესძლებს თემის კომიტეტების თითო ფასიანი პროფესიონალის შენახვას.

დღემდე რაიონის კომიტეტის არსებობა მოსათმენი იყო იმდენად, რამდენადაც არსებობდა რაიონის აღმასკომი, მაგრამ უკანასკნელის გაუქმებას უნდა მოყვეს პირველის ლიკვიდაციაც.

დღეის შემდეგ რაიონის კომიტეტის მდივანს, თუ გინდ მას ეყოლოს ერთი ჯამაგირიანი ტეხნიკური თანამშრომელი, პარტია ვერ დაეყრდნობა. რაიონში შედის 10—15 კომუჯრედი; ზოგი კომუჯრედი რაიონის კომიტეტისაგან დაშორებულია 10—15 ვერსით და ხშირად 20—25 ვერსით; ასეთი მანძილი სიარულით შთანთქავს რაიკომის მდივნის მთელს დროს, თუ კი არ იზარმაცა და ფიზიკურად გაუძლო და ტეხნიკურადაც შესძლო შემოვლა უჯრედებისა; საქმეები კი დარჩება შეუსრულებელი.

თემში არსებული უჯრედები და მისი წევრები, როგორც განუყრელი ნაწილი, თემის ორგანიზაციისა, პირდაპირ და უშუალოდ უნდა ემორჩილებოდნენ თემის ორგანიზაციის წევრების მიერ არჩეულ თემის კომიტეტს.

თემის კომიტეტს უნდა მიეცეს არა ნაკლებ ერთი ჯამაგირიანი პროფესიონალისა, რადგან თემის კომიტეტის მოვალეობა და პასუხისმგებლობა პარტიის, ხელისუფლების და ხალხის წინაშე უფრო დიდია, უფრო რთული და სერიოზული, ვიდრე თემის აღმასკომისა, რომელსაც ეძლევა 4—5 ჯამაგირიანი თანამშრომელი.

მ. სალომეშვილი.

---

*) კამათის წესით. რ е დ.

პრესა

მართლაც რომ საჭიროა

პროფკავშირი პირველ ყოვლისა თავის წევრების ეკონომიური ინტერესების დაცვისათვის მოწყობილი ორგანიზაციაა.

პროფკავშირის გარეშე დარჩენილ მუშა და მოსამსახურეს არ ჰყავს მისი ინტერესების დამცველი ორგანიზაცია. თუ ვინიცობაა მას სამუშაო არ ექნა, ის ადგილს და სამუშაოს ვერ იშოვნის. მშრომელი ადამიანისათვის პროფკავშირის წევრობა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მისი არსებობის საკითხია.

ამ გარემოებას უნდა გაუწიოს ყველამ და ყოველთვის ანგარიში, როდესაც ისმება საკითხი პროფკავშირის რომელიმე წევრის კავშირიდან გამორიცხვის შესახებ. არის შემთხვევები, როცა გამორიცხვა აუცილებელია, მაგრამ არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, რომ გამორიცხვა—ეს **უკიდურესი ზომაა.**

სწორეთ ამ საკითხს ეხება საბჭოთა კავშირის პროფკავშირების ცენტრალური საბჭოს ორგანო „ტრუდი“. (იხ. № 32).

აი რას სწერს ის ამის შესახებ:

„ხშირათ გამორიცხვის საკითხი საერთო კრებებზე კი არ სწყდება, და არც სთვლიან საჭიროთ და სავალდებულოთ, რომ ასეთმა დადგენილებამ უმაღლეს დაწესებულებათა (ყრილობების, კონფერენციების) დასტური მიიღოს, არამედ ამ უფლებას ხშირათ თავის თავს აკუთვნებს ან პროფკავშირის პრეზიდიუმი, ან და სამაზრო პროფრწმუნებული“.

ასეთი წესი გაზეთს სრულებით შეუწყნარებლათ მიაჩნია. ის ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მე-6-ე ყრილობის დადგენილება ამ საგნის შესახებ სრულებით სხვა გზასა და სხვა წესს ამყარებს. ამ დადგენილებაში პირდაპირ ნათქვამია:

„ყრილობა აქცევს საკავშირო ორგანიზაციების ყურადღებას იმ გარემოებას, რომ საჭიროა მეტისმეტი სიფრთხილე პროფკავშირიდან წევრის დათხოვნის დროს“.

აქვე—ამ დადგენილებაშივეა ნაჩვენები, თუ რას შეიცავს ეს „მეტისმეტი სიფრთხილე“.

„საჭიროა, რომ გამორიცხვის საკითხი გატარდეს საერთო კრებაზე, შემდეგ მიიღოს დასტური, როგორც ამ კავშირის ცენტრალურ გამგეობისაგან, ისე თვით საგუბერნიო ყრილობისაგანაც“.

გაზეთი ურჩევს ყველა პროფორგანიზაციებს ამ გარემოების გათვალისწინებას.

სხვა მიდგომაა საჭირო

კოოპერაციას საზოგადოთ და მუშათა კოოპერაციას პირველ ყოვლისა დიდი მოვალეობა აქვს დაკისრებული. **იაფი საქონლის მიწოდება მუშებისათვის, შეღავათიანი პირობები თავის მუშტარისათვის**—აი რა სდგას, როგორც აუცილებელი ამოცანა, მუშათა კოოპერაციის წინაშე. ეს მიზანი კანონიერიცაა და ნათელიც, მაგრამ მისი განხორციელება დღევანდელ პირობებში არც ისე ადვილი საქმეა.

პირველ ყოვლისა საქმეს ის აძნელებს, რომ კოოპერატივებს არა აქვთ საკმარისად თავისი **საკუთარი თანხა.** ამ გარემოებამ კოოპერატივები თავგაურთმეველ ვალებში ჩააგდო. რასაკვირველია, არც ერთი სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულება არ არსებობს ისე, რომ სესხი და ვალი არ წამოიშველოს, მაგრამ **ვალსა და საკუთარ თანხების შორისაც** თუ ერთგვარი შეფარდება არ არის დაცული, მაშინ საეჭვოა, რომ კოოპერატივის მუშაობას ხეირიანად მოეგოს თავი და ბოლო.

როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ? გაზეთი „ტრუდ“ (იხ. № 27) ეხება ამ საკითხს; ის აღნიშნავს; რომ ხერპუხოვის მუშკოოპს **ვალი 28 ჯერ მეტი აქვს, ვიდრე თავნი მოიძებნება.** ასეთივე მდგომარეობაა სხვაგანაც.

„თავის სავაჭრო საქმიანობაში კოოპერაცია იმედს სესხათა და ვალათ აღებულ თანხაზე უფრო ამყარებს; საკუთარი თანხების მომარაგებას კი ყურადღება არ ექცევა—ამბობს გაზეთი. რასაკვირველია, ძნელია იმის იმედით მუშაობა, რომ კოოპერაციამ თავისი საკუთარი თანხებით მოუაროს ყოველგვარ გასაჭირს. ჯერ კიდევ დიდ ხანს დაგვჭირდება ნავალები თანხით საქმის გაძღოლა, მაგრამ ვალსა და თავნს შორის საჭიროა ერთგვარი საზღვარის დადება. თუ ეს თავდარიგი გაუშვით მხედველობიდან, შესაძლებელია, რომ სულ უბრალო გარემოებამ, ვთქვათ, როდესაც საქონლის გაყიდვა დროებით რაიმე მიზეზების გამო შესდგება, მოვალეებმა კოოპერაციის საქმე საშინელ განსაცდელში ჩააგდონ“.

ეს აზრი სრულებით მართალია; ჩვენში მდგომარეობა არსებითად არ განსხვავდება იმისაგან, რაზედაც სწერს გაზეთი „ტრუდ“. ამიტომ ჩვენშიაც საჭიროა ისეთი გზის არჩევა და ისე მუშაობის მოწყობა, რომ კოოპერატივები უფრო თავის თავის იმედით იყოს და ნავალები თანხებით საქმის გაფართოებას არ ეცადოს.

რეაქციის თავდასხმა პროლეტარიატის პარტიაზე

„საგანგებო კომისიის“ პროცესი შეთითხნილია გერმანიის პოლიციის მიერ

ბრალდებები აშენებულია სულით ავადმყოფ ჯაშუშის ნეიმანის ჩვენებაზე

პროვოკატორული პროცესების მოწყობით სურთ შეასუსტონ პროლეტარიატის პარტიის გავლენა

გერმანიის „საგანგებო კომისიის“ საქმე

ფსიქიურად ავადმყოფი მოწმე

ლეიპციგი. 13 თებერვალი. პარასკევს ღია სხდომაზე ოფიციალურად ირკვევა, რომ მთავარ ბრალდებულს ფელიქს ნეიმანს ღამით ციხეში მოუვიდა პირველი გულყრა (ბნედა), რომლის დროსაც გაიტეხა შუბლი. დამცველები ამტკიცებენ, რომ **ნეიმანის გულყრა ეპილეპტიური ხასიათის იყო.** სასამართლოს მიერ გამოწვეული ექსპერტები აცხადებენ, რომ ეს იყო **ისტერიული გულყრა.** ექსპერტები უარყოფენ აგრეთვე, რომ ნეიმანს წინადაც ჰქონოდეს ეპილეპტიური გულყრანი. ამავე დროს **ბაუტცენის საავადმყოფოს ფურცელში, სადაც ნეიმანი იმყოფებოდა სამკურნალოთ, მისი ავადმყოფობა აღნიშნულია, როგორც ეპილეპსია. ემყარება რა ამას, ვექილი როზენფელდი სთხოვს სასამართლოს დაკითხულ იქნან ბაუტცენის საავადმყოფოს ექიმები.**

შემდეგ თავმჯდომარე ნიდნერ ეკითხება ნეიმანს, მართლა გადაეცა თუ არა „ტერორისტულ ჯგუფს“ პარტიის კუთვნილი ავტომობილი. ნეიმანის სიტყვით, პიკმა — ლანდტაგის კომუნისტ-დეპუტატმა გასცა განკარგულება 3 ავტომობილის შეძენის შესახებ. მყიდველის როლში უნდოდათ გამოეყვანათ ექიმი კლაუბერი. მაგრამ კლაუბერმა უარი განაცხადა იმ მოსაზრებით, რომ ამ მიზნით უმჯობესია მიმართონ ვინმეს ბურჟუაზიულ წრიდან. დამცველთა მოთხოვნით, სასამართლო ადგენს გამოძახებული იქნას კლაუბერი მოწმედ.

თავმჯდომარე ნიდნერი ეკითხება ნეიმანს თანახმანი იყვნენ თუ არა ბრანდლერი და რუთ ფიშერი იმისა, რომ ავტომობილი გადასცემოდა ტერორისტულ ჯგუფს და გენერალ სექტის მკვლელობის მოსაწყობად. ნეიმანი უპასუხებს, რომ გელმუტი—სკობლევსკი, იმ ხუთეულის სახელით, რომელიც სწევდა მაშინ პარტიის ცეკას მაგიერობას, თანახმა იყო ავტომობილის გადაცემის, რათა გაეადვილებია ტერორისტული ჯგუფისათვის გენერალ სექტის მოკვლის საქმე, მაგრამ ბრანდლერმა თავის განკარგულებაში დასტოვა ნაყიდი ავტომობილი.

შემდეგ ქვეყნდება ნეიმანის წერილის პროექტი ტროცკისადმი. წერილის ასლი შენახული იყო იმ კონვერტში, სადაც მოთავსებული იყო ბაცილებიანი ამპულები და ეს კონვერტი ჰქონდა მიბარებული ბრალდებულ ვეისს და ხელში ჩაუვარდა პოლიციას ჩხრეკის დროს. ნეიმანი წერილში აღწერს გერმანიის მაშინდელ მდგომარეობას, ამტკიცებს ინდივიდუალურ ტერორის საჭიროებას და სთხოვს ფულით დახმარებას, ვინაიდან გერმანიის კომპარტიის ცეკა არ აძლევს მას ფულებს ტერორისტული ჯგუფის გეგმების სისრულეში მოსაყვანად.

შემდეგ კითხულობენ ნეიმანის მოხსენებას ინდივიდუალურ ტერორის აუცილებლობის შესახებ. ეს მოხსენება პოლიციამ აღმოაჩინა ტერორისტული ჯგუფის ავტომობილის ინსტრუმენტების ყუთში ნეიმანის დაპატიმრების დროს.

მოხსენებაში ნეიმანი ახასიათებს ტერორისტულ ჯგუფის ორგანიზაციას, როგორც მთელ გერმანიაში გაფანტულ ადგილობრივ ჯგუფების ფედერაციის. თვითეულ ჯგუფს უნდა ემოქმედნა დამოუკიდებლათ. მიღებული გეგმით ადგილებზე უნდა მოეწყობილიყო საინფორმაციო განყოფილებანი და დასაზვერავი ბიუროები. ხელმძღვანელობას გაუწევდა ჯგუფის ცენტრალური ორგანიზაცია.

ცხადდება სხდომის შეწყვეტა, რის შემდეგ დამცველები აცხადებენ პროტესტს იმის წინააღმდეგ, რომ შეწყვეტის დროს ვიურტემბერგის პოლიციის აგენტები შევიდენ იმ სადგომში, სადაც ბრალდებულები იმყოფებოდენ.

ნიდნერი წინადადებას აძლევს პროკურორს მოახდინოს ამის შესახებ გამოკვლევა-ძიება. სასამართლო გადადის გენერალ სექტის მკვლელობის განზრახვის გამოძიებაზე.

რა საბუთებით სარგებლობს „დემოკრატიული“ სასამართლო.

ლეიპციგი. 13 თებერვალი. გერმანიის „საგანგებო კომისიის“ საქმეში მთავარ ბრალდებულის—ნეიმანის დაკითხვიდან 11 თებერვლის სხდომაზე გამოირკვა შემდეგი:

თავმჯდომარე ნიდნერი შეეკითხა ნეიმანს, იცნობდა ის თუ არა ვოლენბერგს. ნეიმანმა უპასუხა, რომ ის ხვდებოდა ვოლენბერგს ფრანკფურტ-ში-მაინზე, ამასთანავე უკანასკნელმა აცნობა ნეიმანს, რომ მისი რჩევით, ვიურტემბერგის შინაგან საქმეთა მინისტრ ვოლცს მიუჩინეს მეთვალყურე,

დამცველების პროტესტის გამო ნიდნერი აქვეყნებს ვითომდა კომპარტიის მიერ შედგენილ ყალბ საორგანიზაციო გეგმას, რომელიც „აღმოაჩინეს“ კენიგსბერგში მოედანზე, სადგურის პირდაპირ, სადაც იგი ფარულად იქნა მიტანილი უცნობ კომუნისტის მიერ. დამცველი აცხადებს, რომ ეს დოკუმენტი შეთხზულია საიდუმლო პოლიციის მიერ. ნეიმანი ვრცლად ეხება „საგანგებო კომისიის“ მოჩვენებით ჯგუფების ორგანიზაციას.

ავადმყოფ ფანტაზიის ბოდვა

ნეიმანის სიტყვით, მან შეაგროვა ბრალდებული ტეგენსონი, მარქსი და სხვები და აგრედვე დამალული გეინც ნეიმანი. ნეიმანის მტკიცებით ჯგუფის ყველა წევრებს ჰქონდათ ყალბი პასპორტები, რომელიც დამზადებული იყო კომპარტიის ცეკასთან არსებულ ყალბ დოკუმენტების დამამზადებელ ბიუროში. ნეიმანის სიტყვით, ბრალდებულმა მეიერმა გადასცა ჯგუფს პარაბელიუმის სისტემის რევოლვერები.

შემდეგ ნეიმანი ბრალს სდებს მარქსს იმაში, რომ მოტანილი რევოლვერები მოწყობილი იყო „დუმდუმის“ ტყვიების გასასროლად. ნიდნერის შეკითხვაზე ნეიმანი უარყოფს, რომ მას პირადათ ჰქონდა სერიოზული განზრახვა ესარგებლა ამ ტყვიებით.

შემდეგ ნეიმანი აცხადებს, რომ გელმუტმა (იგივე, მისი სიტყვით, სკობლევსკი) გადასცა ჯგუფს შხამის ხმარების წესი კომპარტიის მტრების გასაჟლეტად. ნეიმანმა იშოვა შხამი ვიღაც ევას საშუალებით, რომელსაც კავშირი ჰქონდა ქიმიკოსებთან ნეიმანის სიტყვით, ევა არის ჯგუფში მომუშავე მემანქანე ქალის ლუს და. ნეიმანი ამტკიცებს, რომ ლუ იყო გერმანიის კომპარტიის ცეკას საიდუმლო მომუშავე და მუშაობდა ცეკას არალეგალურ ბინაზე და აგრეთვე საქსონიის ლანდტაგის კომფრაქციის ოთახში.

თავმჯდომარის შეკითხვაზე, მუშაობდა თუ არა ლუ საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობაში, ნეიმანი უპასუხებს უარყოფითად, მაგრამ ამტკიცებს, რომ ლუ მუშაობდა საბჭოთა საელჩოში ამასთანავე ასრულებდა სამუშაოს გეინც ნეიმანისა გელმუტისათვის; აგრეთვე ის მუშაობდა პარტიის სამხედრო განყოფილებაში და სამხედრო რევოლიუციონურ კომიტეტში. თავმჯდომარის შეკითხვაზე არის თუ არა ლუ რუსეთის ქვეშევრდომი, ნეიმანი აცხადებს, რომ იგი დაბადებულია ბავარიაში.

ფელიქს ნეიმანი—პოლიციის ჯაშუში.

ბერლინი. 13 თებერვალი. გერმანიის კომპარტიის ორგანო „როტე ფანე“ კომენტარიებს უკეთებს გერმანიის „საგანგებო კომისიის“ პროცესს და სწერს:

„**ფელიქს ნეიმანი არა მარტო სულით ავადმყოფია, არამედ პოლიციის დაქირავებული ჯაშუშია.** საბრალმდებლო მასალის ფანტასტიურობა და ჯაშუშური ხასიათი გამორკვეულია. ნეიმანი პატიოსან მუშის ოჯახის წევრია, მაგრამ მსხვერპლია საშინელი მემკვიდრეობისა. **მის ოჯახში სულით ავადმყოფობის შემთხვევა ამტკიცებს ამას.** პოლიცია ახერხებს ასეთ ფსიქოპათოლოგიურ სუბიექტების გამონახვას და გამოყენებას.

პოლიციის მიერ მოსყიდულ ერთ ფსიქოპათოლოგიურ სუბიექტის ჩვენებების მიხედვით სურთ ლიბკნეხტის პარტიას ბრალად დასდონ მასიური მოწამვლის, ხოლერის ბაცილებით მკვლელობის განზრახვა. მთელი მუშათა კლასის განაჩენი უკვე ეხლავე გამორკვეულია. კომპარტია ნებას არავის მისცემს ხელი შეუშალოს მას გერმანიის პროლეტარიატის დარაზმვაში კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად და მასზე გასამარჯვებლად“.

კომუნისტების გასამართლება ვიურტემბერგში

მოწმეები—პოლიციის ჯაშუშებია

ლეიპციგი. 13 თებერვალი. ლეიპციგის უმაღლესი ტრიბუნალის სამხრეთ გერმანიის სასამართლოს კოლეგია შეუდგა 8 ვიურტემბერგელი კომუნისტის საქმის მოსმენის. უკანასკნელებს ბრალს სდებენ სახელმწიფოს ღალატში.

ბრალდების მთავარ მოწმეებად გამოდიან დეინერი, კენიგი და ნოტოკიშ, რომლებიც ბეიმანის პროცესზე ითვლებოდენ თანაბრალდებულებად და რომელთა შესახებ გასული წლის სექტემბერში საქმის საჯაროთ გარჩევის დროს უმაღლესმა სასამართლომ გამოარკვია, რომ ისინი არიან პოლიციის ჯაშუშები და პროვოკატორები.

ირკვევა, რომ შტუტგარდის სასამართლოს განკარგულებით კომუნისტების კამერებში შეგზავნეს პროვოკატორები. პოლიციის აგენტები აწვალებდენ დაპატიმრებულებს და ართმევდენ მათ ყალბ ჩვენებას.

დეინერის ჩვენება მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან ირკვევა, რომ მან ისეთივე ინსტრუქციები მიიღო, როგორც მთავარმა ბრალდებულმა „ჩეკა“-ს საქმის გამო—ნეიმანმა.

კენიგის დაკითხვის დროს დამცველებსა და სასამართლოს შორის წარმოიშვა დავა. დამცველები მოითხოვენ სხდომის დახურვას, რადგან ბრალდებულებს შორის ბევრი ცუდად გრძნობს თავს. სასამართლო ამაზე უარს ამბობს. დამცველები იმუქრებიან დაცვაზე ხელის აღებით, რის გამოც სასამართლომ საქმის მოსმენა გადასდო პარასკევამდე.

რუმინეთ-გერმანიის კონფლიქტი

ბერლინი, 12 თებერვალი. რუმინეთსა და გერმანიის შორის წარმოიშვა კონფლიქტი სარეპარაციო საკითხის გარშემო. კონფლიქტი წარმოიშვა იმის შემდეგ, რაც ჩაიშალა ლონდონში გამართული მოლაპარაკება გერმანიისა და რუმინეთს შორის.

გერმანიის მთავრობა სცნობს სავალდებულოდ მხოლოდ იმ რეპარაციების მიცემას რუმინეთისათვის, რომლებიც გათვალისწინებულია დოუესის გეგმაში, **რუმინეთი კი ადგენს უფრო ფართო მოთხოვნილებებს, ემყარება რა ვერსალის ხელშეკრულებაზე.**

გერმანიის მთავრობამ გაგზავნა რუმინეთს ნოტა, რომელშიაც გარკვეულია გერმანიის თვალსაზრისი.

რუმინეთის მთავრობას განზრახული აქვს მიმართოს ეკონომიური ხასიათის რეპრესიებს.

გაზეთები იტყობინებიან, რომ შესაძლებელია რუმინეთის ელჩის გამოწვევა ბერლინიდან. „როსტა“-ს კორესპონდენტის ცნობით ოფიციალურ წრეებში ეს ხმები უსაფუძვლოდ მიაჩნიათ.

რუმინეთი ემუქრება გერმანიას.

ვენა. 13 თებ. რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დუკამ აცნობა გერმანიის ელჩს ბუქარესტში **რუმინეთის მთავრობის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ რუმინეთის მთავრობა მიმართავს რეპრესიულ ზომებს, რადგან გერმანიამ უარი სთქვა დააკმაყოფილოს რუმინეთს სარეპარაციო მოთხოვნილებანი.**

ვის წინააღმდეგ.

ვენა. 13 თებ. რუმინეთის მთავრობამ ბრძანება გასცა იმ პირების ჯარში გაწვევის შესახებ, რომლებიც თავისი ჰასაკის მიხედვით გაწვეულნი უნდა იქნენ მხოლოდ 1926 წელში.

ვის ემსახურება მაკდონალდი

ამხ. ინკპინის წერილი მაკდონალდისადმი

ლონდონი, 13 თებ. ინგლისის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ინკპინმა გამოაქვეყნა ღია წერილი მუშათა პარტიის მდივან-გენდერსონისადმი მუშათა პარტიის უკანასკნელ კონფერენციაზე მიღებულ რეზოლიუციის გამო.

წერილში აღნიშნულია, რომ ყველა რეზოლიუციებს კომუნისტების წინააღმდეგ კენჭი ეყარა მაკდონალდის უშუალო ზეგავლენით; **მისი ერთად-ერთი მიზანი იყო მოეპოვებია მმართველი კლასის სიმპატიები და შეეძინა რაც შეიძლება მეტი წვრილბურჟუაზიული ამომრჩევლები.** კონფერენციის დასრულების თანავე ეს რეზოლიუციები უარყოფილი იქნა ბევრ მუშათა ორგანიზაციების მიერ, რომელთაც თავიანთ კანდიდატებად კომუნისტები წამოაყენეს.

წერილში ნათქვამია, რომ მაკდონალდის მანევრების და რაკოვსკისადმი გაგზავნილ ნოტის შემდეგ (ზინოვიევის „წერილის“ შესახებ) მუშათა პარტია სასტიკად დამარცხდა არჩევნებში.

შექმნილ მდგომარეობის გამო, ინკპინი კომპარტიის სახელით აყენებს კითხვას, კიდევ უჭერს თუ არა მხარს მუშათა პარტია კომუნისტების გამორიცხვას, იმ კომუნისტების, რომელნიც ასწავლიან მუშებს ძალაზე ძალითვე უპასუხონ? მუშათა პარტიის ასეთი პოზიცია ნიშნავს იმას, **რომ ის მზადაა კაპიტალისტებს ჯგუფს მისცეს ყოველგვარი საშუალებანი გაფიცვების ჩასაქრობად, რადგან იგი საშუალებას არ აძლევს მუშებს მიიღონ ზომები თავის ინტერესების დასაცავად. ასეთი საკითხის გადაჭრა კალმის ერთი მოსმით არ შეიძლება.** მუშათა მოძრაობამ უნდა გამოსთქვას თავისი აზრი კომუნისტების პოლიტიკის და მათ პოლიტიკის შესახებ, ვისაც გაფიცვების წინააღმდეგ გამოჰყავს სამხედრო ძალა.

ბოლოს წერილი მოითხოვს რათა მუშათა პარტიის შემდეგ კონფერენციაზე სერიოზულად იქნას განხილული საკითხი მუშათა პარტიაში კომუნისტების შეყვანის შესახებ.

ჩეხო-სლოვაკიის ამბები

მთავრობის დეკლარაცია

პრაღა. 12 თებ. ჩეხო-სლოვაკიის პრემიერის მოადგილემ პარლამენტში გამოაქვეყნა მთავრობის დეკლარაცია, რომელშიაც აღნიშნულია ზომები, რომლებიც გატარებული უნდა იქნენ სიძვირესთან საბრძოლველად. დეკლარაცია შეეხება აგრედვე შეტაკებას პოლიციასა და მუშების მანიფესტაციებს შორის.

დეკლარაციაში ნათქვამია, რომ მთავრობა არ მოითმენს მომავალში ამგვარ კომუნისტურ გამოსვლებს, მით უფრო, რომ „ინიციატივა ეკუთვნის უცხოელ მოღვაწეებს, ხოლო პოლიციაზე თავდასხმის გეგმა შემუშავებული იყო დამკვრელი რაზმის საიდუმლო თათბირზე, რომელიც შესდგება უმთავრესად რუსებისაგან“.

კომუნისტმა-დეპუტატმა ბურიანმა განაცხადა, რომ მთავრობის დეკლარაცია სისწორით არ აშუქებს ამბებს. ბურიანი პოლიციას და მთავრობას აკისრებს პასუხისმგებლობას მუშების სისხლის დაღვრისათვის.

გაკენი სერიოზულად ავად არის.

პრაღა. 12 თებერ. ჩეხო-სლოვაკიის კომუნისტური პარტიის ორგანო „რუდე პრავო“ იტყობინება, რომ ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის თავმჯდომარე გაკენი, რომელსაც სცემა პოლიციამ დემონსტრაციის დროს, სერიოზულად ავად გახდა. მოსალოდნელია ტვინის შერყევა.

საფრანგეთის „სოციალისტების“ შავრაზმული გამოსვლის გამო პარლამენტში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ



„...ასეთ ძაღლს მეორეს ვერ იპოვნი!“

უკანასკნელი ცნობები

10 ახალი საფეიქრო ქარხანა

ივანოვო-ვოზნესენსკი. 14 თებერვალი. მიმდინარე წელში ივანოვო-ვოზნესენსკის საფეიქრო ტრესტის აამუშავებს 10 ახალ საფეიქრო ქარხანას, სადაც იმუშავებს 22.000 მუშა. ამის გამო მრავალი კვალიფიციური ფეიქარი, რომლებიც სოფლებში იყვენ გაბნეული დაუბრუნდება მრეწველობას.

„გერმანიის ჩეკა“-ს პროცესი

ლეიპციგი. 18 თებერვალი, გერმანიის „ჩეკას“ პროცესზე 18 თებერვალს დილის სხდომაზე ნეიმანი აცხადებს, რომ კომისიამ: ბრანდლერის, ტელმანის, რუტფიშერის, არვიდის და პიკის შემადგენლობით გადასწყვიტა გენერალ სექტის მოსპობა, რაც დაევალა გელმუტს (ვითომ ხკობელიანკი) და გენც ნეიმანს. დამცველები ეკითხებიან ნეიმანს, რატომ მან წინასწარ გამოძიებაზეც არ განაცხადა, რომ ის სცდილობდა თავდასხმის აცილებას. ნეიმანი უპასუხებს, რომ მას კომპარტიის აგენტების ეშინოდა. დამცველი ბრანდტი ბრალს სდებს ნეიმანს კომპარტიის გამცემლობაში. ნეიმანი ამბობს, რომ „როტე-ფანე“ მას ჯაშუშს უწოდებს. ნეიმანი ამბობს, რომ ის კომპარტიას არ გასცემდა, პარტიას რომ ზურგი არ შეექცია მისთვის.

15 მენშევიკის წერილი

კრასნოიარსკი. 14 თებერვალი. 15 ცნობილმა მენშევიკმა მოათავსა ადგილობრივ გაზეთში წერილი, რომელშიდაც ისინი გმობენ შემთანხმებელთა საზიზღარ პარტიას და მოუწოდებენ ყველა ამხანაგებს იმუშაონ კომპარტიაში.

უკიდურესი ფაშიზმის გამარჯვება

რომი, 13 თებერვალი. მუსოლინმა განაცხადა: ეხლა ფაშისტური პარტია მარტო მიდის ყველა სხვა პარტიების წინააღმდეგ. ჩვენ მოვიგეთ ჯერ-ჯერობით ბრძოლა, მაგრამ არა ომი.

მუსოლინის წინადადებით ფაშისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მდივნად არჩეულ იქნა ფარინაჩი—ფაშისტური პარტიის მემარჯვენე ფრთის ბელადი.

ფაშისტები რუმინეთის მხარეზეა

რომი, 13 თებერ. „დჟორნალე დ-იტალია“ და ფილოფაშისტური გაზეთები მოითხოვენ რათა იტალიამ დაამტკიცოს ოქმი ბესარაბიის ანექსიის შესახებ რუმინეთის მიერ.

რა სურს ოსმალეთს

პარიზი, 18 თებერვალი. „პტი-პარიზიენი“-ს აზრით ანგორის მთავრობას სურს, რომ მსოფლიო პატრიარქი კონსტანტინე გადაყენებულ იქნეს და მის ადგილზე დაინიშნოს ერთ-ერთი მიტროპოლიტი რომელიც ამ ჟამად ოსმალეთში იმყოფება.

ეშინიათ საბჭოთა კავშირის

სტოკჰოლმი, 18 თებერვალი. დაიწყო სამხედრო წრეების და მემარჯვენე პრესის გააფთრებული კამპანია პარლამენტში სოციალ-დემოკრატიული მთავრობის წინადადების [illegible] გამო შეიარაღების ნაწილობრივი [illegible] შესახებ. მემარჯვენე პრესა ყოველდღე მოსთქვამს საბჭოთა კავშირის იმპერიალიზმისა და შეიარაღების კერძოდ წითელ ფლოტის გაძლიერების შესახებ.

ევროპაში ვალიუტის კურსის შეთანხმებისთვის მაგალითს იძლევა საბჭოთა კავშირი

ნიუ-იორკი, 18 თებერვალი. სენატის კომისია, რომელიც სწავლობდა ოქროს და ვერცხლის ტრიალის საკითხს, საჭიროდ სცნობს მოწვეულ იქნას საერთაშორისო კონფერენცია სავალიუტო კურსების შესათანხმებლათ. კონფერენციამ მხოლოდ სავალიუტო პრობლემებს უნდა შეეხოს. კომისიის აზრით ოქროს ვალიუტის შემოღება ევროპაში შესაძლებელია. მაგალითად ასახელებენ სხვათა შორის ვალიუტის კურსის სტაბილიზაციას საბჭოთა კავშირში.

პორტუგალიის ახალი პრემიერი—დემოკრატი

პარიზი, 18 თებერვალი, პორტუგალიის ახალი კაბინეტის შედგენა მიენდო დემოკრატების ლიდერს დეპუტატთა პალატაში ვიქტორინ გიმარაესს.

ესპანელები მარცხდებიან

პარიზი, 18 თებერვალი. ესპანელების პოზიციები საახში ლარაშის სექტორში, მოულოდნელათ დაიკავა მოწინააღმდეგემ ღალატის გამო. მოკლულ იქნა რაზმის უფროსი. დამხმარე ძალებმა გამოაკეთეს მდგომარეობა. აჯანყებულები ახალ თავდასხმას [illegible] სამხრეთის ოლქზე.

უნგრეთის ფინანსების გაჯანსაღებისთვის

ვენა, 13 თებერვალი. ერთა ლიგის ფინანსიურმა სექციამ ნაწილობრივ დააკმაყოფილა უნგრეთის მთავრობის მოთხოვნილება კრედიტების გადიდების შესახებ.

მუშები ილტვიან საბჭოთა კავშირისკენ

ბერლინი. 14 თებერვალი. საბჭოთა კავშირიდან ინგლისის პროფკავშირთა დელეგაციის დაბრუნების შემდეგ მრავალი გერმანელი მუშა აცხადებს საბჭოთა კავშირში ცხოვრების სურვილს.

ბერლინი. 13 თებერვალი. ჰოლანდიის კომპარტია აწყობს საპროტესტო მიტინგებს ჰოლანდიის კოლონია ინდოეთში კომუნისტების დევნის წინააღმდეგ.

სპეკულიანტ ბარმატის საქმე

სკანდალი პრუსიის ლანდტაგში.

ბერლინი. 13 თებერ. 12 თებერვალს გაიმართა პრუსიის ლანდტაგის კომისიის სხდომა ბარმატის საქმის განსახილველათ. სხდომის დასასრულს მოხდა შემდეგი ინცინდენტი: კომისიის წევრს—კომუნისტს სამჯერ მოუწოდეს წესრიგისაკენ, მაგრამ ის მაინც განაგრძობდა სიტყვას. მაშინ დასაკითხავად გამოწვეულმა პოლიცეი-პრეზიდენტმა რიხტერმა ტელეფონით გამოიწვია პოლიცია და კომუნისტი ძალით იქნა გაყვანილი სხდომის დარბაზიდან.

დაწვრილებითი ცნობები პრუსიის ლანდტაგში მომხდარ ინცინდენტის შესახებ.

ბერლინი. 13 თებერ. პრუსიის ლანდტაგის მიერ ბარმატის საქმის გამოსაძიებლათ გამოყოფილ კომისიის სხდომაზე კომუნისტმა კოლვიცმა კომისიის მიერ მოხდენილ კვლევაძიებას კომედია უწოდა. თავმჯდომარემ კოლვიცი გამორიცხა სხდომიდან, მაგრამ კოლვიცმა უარი თქვა სხდომის დატოვებაზე. ვინაიდან პარლამენტში ამ დროს არ აღმოჩნდენ პარლამენტის დამცველი რაზმელები, პოლიციის პრეზიდენტმა რიხტერმა კოლვიცის გასაყვანად გამოიწვია პოლიციელები.

ეს, როგორც სჩანს, რიხტერის უკანასკნელი სამსახურებრივი აქტია, რადგან სხდომაზე ისეთი რამ გამოირკვა მის წინააღმდეგ, რომ რიხტერმა დაუყოვნებლივ განცხადება შეიტანა მისთვის შვებულების მიცემის შესახებ. პროკურატურას განზრახვა აქვს რიხტერი პასუხისგებაში მისცეს მექრთამეობისა და სხვადასხვა ბოროტმოქმედებისთვის.

კომისიის შემდეგ სხდომაზე, რომელსაც იცავდა პოლიციელთა რაზმი, დაკითხული იქნა პრუსიის ყოფილი მინისტრ-პრეზიდენტი, სოციალ-დემოკრატი გირში, რომელიც აღიარებს, რომ მან ბოლშევიზმის წინააღმდეგ საბრძოლველათ 1923 წელში მიიღო 6.000 ოქროს მარკა. კომისიამ დაადგინა, რომ გირშმა არ დაასახელოს ის პირი, რომელმაც მას გადასცა ეს თანხა.

აღარ ზოგავენ ერთმანეთს.

ბერლინი. 13 თებ. ჰეფლეს პიროვნების გამოაშკარავების გამო, „ფორვერტსი“ იწყებს კამპანიას ცენტრის პარტიის წინააღმდეგ, რომლის წევრია ჰეფლე. „ფორვერტსი“ აქვეყნებს პირველ გვერდზე საფოსტო უწყების გამომჟღავნებელ პასუხს სოც.-დემოკრატების შეკითხვაზე 5 მილიონი მარკის კრედიტის შესახებ, რომელი კრედიტიც მიეცა ბარმატის კონცერნში შემავალ ბანკს ცენტრის დეპუტატის ფლეიშერის მოთხოვნით.

ხელი ხელს ჰბანს.

ბერლინი. 13 თებერვალი. ბარმატის პროცესზე სხდომის მთავარ ინტერესს იპყრობს ბერლინის პოლიციის უფროსის რიხტერის დაკითხვა. ირკვევა, რომ რიხტერმა მისცა ბარმატს სარეკომენდაციო წერილი, ხოლო ბარმატმა თავის მხრივ დაუთმო რიხტერს აქციები.

კომინტერნში

ძირს ინგლის-სიონისტური ოკუპაცია

კომინტერნის აღმოსავლეთის ბიუროს მოწოდება

მოსკოვი. 14 თებ. კომინტერნის აღმოსავლეთის ბიურომ მიმართა ყველა ქვეყნის პროლეტარებს მოწოდებით, რომელშიც ნათქვამია:

სიონიზმი—ინგლისის იმპერიალიზმის მონაა.

„ინგლისის იმპერიალიზმს სურს საბოლოოდ ჩააქროს რევოლიუციონური მოძრაობა პალესტინაში. ინგლისის იმპერიალიზმი სიონიზმის შემწეობით სცდილობს ჩააქროს პალესტინაში არაბების ნაციონალურ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა თავისი მონური სამსახურისათვის ებრაელების სიონისტური ბურჟუაზია ღებულობს „გაბატონებული ერის“ პრივილეგიებს, როცა ებრაელები შეადგენენ პალესტინის მოსახლეობის მხოლოდ 13 პროცენტს.

მდიდრების მეგობრობა.

ევროპის ბურჟუაზიასთან მეგობრულ კავშირშია არაბთა მდიდარი ფეოდალური არისტოკრატია „ეფენდები“, რომლებიც სიამოვნებით ჰყიდიან თავის მამულებს კაპიტალისტებზე, არ ზრუნავენ იმ ღარიბი არაბი გლეხების ბედზე, რომელიც იჯარით ამუშავებს ამ მიწებს ათეულ წლების განმავლობაში. სიონისტურ-ფაშისტური ბანდები თავს ესხმიან რევოლიუციონურ მუშებს, სასტიკად სცემენ მათ. ყველა მუშათა კლუბები დაკეტილია. უკანასკნელ დროს რევოლიუციონურ მუშების და გლეხების დაპატიმრება მასიურ ხასიათს ღებულობს.

მხარი დაუჭირეთ არაბების ნაციონალურ-განმანთავისუფლებელ მოძრაობას!

ამხანაგო მუშებო! მოითხოვეთ დაპატიმრებულ რევოლიუციონერების განთავისუფლება. მოითხოვეთ განთავისუფლება ყველა პოლიტიკურ პატიმრებისა და ყველა არაბების—ნაციონალისტების, რომლებიც ებრძვიან ინგლის-სიონისტურ ოკუპაციას. ძირს თეთრი ტერორი!

განსაკუთრებულ აღრიცხვიდან მოხსნა

მოსკოვი. 14 თებ. საბჭოთა კავშირის ცაკმა და სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინეს მოხსნილი იქნენ განსაკუთრებული აღრიცხვიდან თეთრი ოფიცრების და სამხედრო მოხელეების შემდეგი კატეგორიები:

აღრიცხვიდან მოხსნილი უნდა იქნენ ის ოფიცრები და მოხელეები, რომლებიც ამ დადგენილების გამოცემის მომენტისათვის წითელ არმიაში და ფლოტში იმყოფებიან: ის პირები, რომლებიც დასაჩუქრებული არიან წითელი დროშის ორდენით—როგორც არმიის და ფლოტის მოსამსახურეები, ისე ის პირებიც, რომლებიც სათადარიგო ჯარში არიან გადარიცხული. იმ პირებზე, რომლებიც წითელ არმიაში და ფლოტში იმყოფებიან, მათი განსაკუთრებული აღრიცხვიდან მოხსნის შემდეგ, ვრცელდება სამხედრო მოსამსახურეების ყველა უფლებები და უპირატესობანი, სათადარიგო ჯარში გადარიცხულებზე კი—სათადარიგოთ გაშვებულთა ყველა უფლებები და უპირატესობანი.

მომხსენებლები საკავშირო ცაკის მესამე სესიაზე.

მოსკოვი. 14 თებერვალი. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა სია მომხსენებლებისა საბჭოთა კავშირის ცაკის მესამე სესიაზე, რომელიც შესდგება თბილისში:

საბჭოთა კავშირის მთავრობის მოხსენება—რიკოვი.

ა | კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის მთავრობის მოხსენება—ორახელაშვილი.

მოხსენება საბჭოთა კავშირის ბიუჯეტის შესახებ—ბრიუხანოვი, თანამომხსენებელი—კუიბიშევი.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

საბჭოთა ენციკლოპედიური ლექსიკონი.

მოსკოვი. 14 თებერვალი. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა აუცილებლად და დროულად სცნო საბჭოთა ენციკლოპედიური ლექსიკონის გამოცემა. კომუნისტური აკადემიის პრეზიდიუმს ევალება ამ ლექსიკონის გამოცემის საქმის მოწყობა და ამ საქმეში სხვა საბჭოთა გამომცემლობათა ჩაბმა.

მიწა-ტყის მუშაკთა სრულიად საკავშირო ყრილობა.

მოსკოვი. 12 თებერ. 1 მარტს მოსკოვში გაიხსნება მიწა-ტყის მუშაკთა სრულიად საკავშირო ყრილობა.

მეცხვარეობის აღდგენისა და განვითარებისათვის.

მოსკოვი. 12 თებერ. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა შექმნას სპეციალური ფონდი მეცხვარეობის აღდგენისა და განვითარებისათვის.

ახალი კოლექტიური ხელშეკრულება

მოსკოვი. 14 თებერვალი. სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ ადგილებს დაუგზავნა ახლად შემუშავებული სანიმუშო კოლექტიური ხელშეკრულება, რომელშიაც შეტანილია მთელი რიგი მუხლები პროფკავშირების სრულიად საკავშირო მე-6-ე ყრილობის დადგენილებებთან შეფარდებით.

ახალ კოლხელშეკრულებაში შეტანილია მუხლი პირდაპირი, განუსაზღვრელი, ნარდი შრომის ხელფასის, დამხმარე მუშების ნაჭრობითი ხელფასის და საშუალო ადმინისტრატიულ-ტეხნიკურ პერსონალისა და იმ დამხმარე მუშებისათვის პრემიების მიცემის შესახებ, რომელთა გადაყვანა არ შეიძლება ნაჭრობით და ჩვეულებრივ სამუშაო დღის სისტემაზე.

ტიპიური კოლექტიური ხელშეკრულებები ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით შეიძლება გამოსცენ მხოლოდ პროფესიონალური კავშირების ცენტრალურმა კომიტეტებმა იმ პირობით, თუ ისინი შეთანხმებული იქნებიან სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოსთან.

აპრილიდან-ახალი შრომის ხელფასი

მოსკოვი, 14 თებ. სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ ყველა საგუბერნიო და საოლქო პროფსაბჭოებს აცნობა, რომ საორგანიზაციო კომისია, რომელიც იხილავს სახელმწიფო მოსამსახურეების შრომის ხელფასის უნიფიკაციის საკითხს, თავის მუშაობას დაამთავრებს მარტამდი. აპრილში შემოღებული იქნება სახელმწიფო მოსამსახურეების შრომის ხელფასის გასტუმრების ახალი სისტემა, რომელიც ჯერ გატარდება მსხვილ ცენტრებში, შემდეგ კი ადგილებზე.

სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო წინადადებას იძლევა ამ კომისიის მუშაობის დამთავრებამდი ყველგან დაცული იქნეს შრომის ხელფასის გასტუმრების არსებული სისტემა, რომელიც დაწესებულია კოლექტიური ხელშეკრულებებით. ყველა იმ ადგილებში, სადაც უკვე ტარდება საბჭოთა მუშაკების ახალი სატარიფო ცხრილი, ეს მუშაობა დაუყოვნებლივ შეწყვეტილი უნდა იქნეს.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

უბედური შემთხვევა

ქუთაისი. 14 თებერვალი. 13 თებერვალს ქუთაისის მიდამოებში სწარმოებდა სასწავლო საარტილერიო სროლა. სროლის შემდეგ სოფელ გვიშტიბის მცხოვრებმა შვანგირაძემ იპოვა ყუმბარა, რომელიც შემთხვევით არ გამსკდარიყო. შვანგირაძემ წაიღო ის სახლში და იქ ოჯახის წევრებთან ერთად დაუწყო მას სინჯვა. ყუმბარა გასკდა და დაჭრა 5 კაცი. შვანგირაძის დედა მიღებულ ჭრილობებისაგან გარდაიცვალა, დანარჩენები გაიგზავნენ საავადმყოფოში.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

ჭიათურა. 14 თებერვალი. შემჩნეულია საზოგადოებრივ ორგანიზაციების ზრდა. წერა-კითხვის უცოდინარობის წინააღმდეგ მებრძოლ საზოგადოებაში ითვლება 250 წევრი, ს. ფ. მ. საზ-ში—600, „რემედასს“-ში—720, წითელ ჯვარში—5338.

აფხაზეთი

ზარალი ყინვებისაგან

სოხუმი, 14 თებერვალი, ყინვებისაგან აფხაზეთის სოფლის მეურნეობისათვის მიყენებული ზარალი მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გამოანგარიშებით უდრის 962 მანეთს. დაზარალდა საზამთრო ხორბალის ნათესები, ვენახები და ახალგაზრდა სუბტროპიკული მცენარეები დაიღუპა 500 სულზე მეტი მსხვილფეხა საქონელი.

წითელი ჯვრის ყრილობა

სოხუმი. 14 თებერვალი. გაიხსნა წითელი ჯვრის სრულიად აფხაზეთის ყრილობა.

ამხ. კაზანცევის მუხრუჭის პირველი შედეგები და მნიშვნელობა

უკანასკნელ დღეებში დიდი ნამქერის გამო სად. ხაშურს, გომსა და მათ ახლო მდებარე სადგურებში დაგროვდა დიდი ძალი ვაგონები, რომელთა გაგზავნა საუღელტეხილო უბნით ბათომის მხრისკენ მოუხერხებელი იყო, რადგან ვაგონების უმრავლესობა უმუხრუჭოა.

ა. კ. რკინისგზათა უფროსის თანაშემწე ინჟ. აბრამოვმა მიმართა ახალი სისტემის მუხრუჭის გამომგონებელს ამხ. კაზანცევს თავის შემადგენლობის საშუალებით სადგურები განეტვირთა დაგროვილ ვაგონებისაგან, რომელიც აბრკოლებდა მატარებლების ნორმალურ მიმოსვლას.

კაზანცევი დათანხმდა.

13 თებერვალს რ. | გ. სამმართველომ მიიღო ამხ. კაზანცევიდან დეპეშა, რომელიც იუწყებოდა, რომ საუღელტეხილო დაღმართზე გატარებული იქნა მშვიდობიანად მატარებლების შემადგენლობა წონით 85 ათასი ფუთი. ამასთანავე მუხრუჭის ვაგონების რიცხვი შეადგენდა მხოლოდ 29 პროც. იმავე დღეს ამხ. კაზანცევი დაბრუნდა უკანვე ხაშურში და წაიყვანა იმავე წონის და მუხრუჭიან ვაგონების იმავე რაოდენობით მატარებლის მეორე შემადგენლობა. დღეს, 15 თებერვალს ამხ. კაზანცევი გააკეთებს ორს ასეთს რეისს ხაშურიდან ზესტაფონამდე.

რკინის გზის უფროსის მოადგილემ ინჟ. აბრამოვმა ამხ. კაზანცევის მუხრუჭის მნიშვნელობის შესახებ განაცხადა შემდეგი.

კაზანცევს თავის მუხრუჭებით უღელტეხილებზე მიჰყავს მატარებლის შემადგენლობა წონით 85.000 ფუთი.

ეს მუშაობა რომ ფულზე გადავიყვანოთ. კაზანცევის სისტემის მუხრუჭი იძლევა შემდეგ ეკონომიას: მატარებელი-ვერსი უღელტეხილზე ჯდება 4 მ. 50 კაპ. კაზანცევის მატარებლის უღელტეხილზე ხაშურიდან-მარელისამდე ასვლა და ჩამოსვლა ღირს სულ 540 მან. ხოლო ჩვეულებრივი 55.000 ფუთიანი მატარებლის 20 პროც. მუხრუჭიანი ვაგონებით ასვლა-ჩამოსვლა ჯდება—1245 მან. ანუ თვითეულ ამგვარ შემადგენლობაზე კაზანცევის მუხრუჭი იძლევა ეკონომიას 805 მანეთს.

უდიდეს მნიშვნელობას აძლევენ ამხ. კაზანცევის გამოგონებას აგრეთვე მოძრაობის უფროსი ამხ. აბელიშვილი, ტეხნიკურ განყოფილების უფროსი მირზოევი, წევის სამსახურის უფროსი ინჟ. მელიქოვი.

მუხრუჭიანი ვაგონების უქონლობამ გამოიწვია სად. ხაშურთან ვაგონების დაგროვება და მოსული მატარებლების შემადგენლობის დანაწილება. ამიერიდან შესაძლებელი ხდება მთელი სადგურების დაგროვილ ვაგონებიდან განტვირთვა. მაგრამ ამ გამოგონების მნიშვნელობა მარტო ამ დანიშნულებით არ განისაზღვრება.

იგი ადიდებს მატარებლების წონას და ტუმბების რაოდენობას, რაც ზრდის საუღელტეხილო უბნის გამტარებლობის უნარიანობას და ამცირებს მუხრუჭების რიცხვს, რაც იძლევა დროის დიდ ეკონომიას.

კაზანცევის მუხრუჭის საშუალებით 18 თებერვალს აღდგენილ იქნა ნორმალური მოძრაობა რკინის გზებზე.

ამხ. ი. ს. უნშლიხტ



სამხედრო და საზღვაო საქმეთ კომისარის მოადგილე და საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ-სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

საქართველოს საგეგმო კომისიაში

საგეგმო კომისიის ძირითად უჯრედების ორგანიზაცია

საქართველოს საგეგმო კომისია ამუშავებს დებულებებს საქართველოში საგეგმო ძირითადი უჯრედების მოწყობის შესახებ.

გამომუშავებული პროექტის მიხედვით საგეგმო კომისიის უჯრედები მოეწყობა სამეურნეო ორგანოებთან—მსხვილ საწარმოო და სავაჭრო დაწესებულებებთან და აგრეთვე სამაზრო აღმასკომებთან.

სამეურნეო ორგანოებთან არსებულ უჯრედების დანიშნულება იქნება შეისწავლონ და დაამუშაონ ფინანსიურ-საბიუჯეტო და ეკონომიური საკითხები და დამუშავებული მასალების მიხედვით შეადგინონ მოქმედების საპერსპექტივო გეგმა.

ამავე მიზნებს დაისახავს სამაზრო აღმასკომთან მოწყობილ საგეგმო კომისიის უჯრედები, რომელთაც დაევალებათ ყველა ცალკე განყოფილებების ფინანსიური-საბიუჯეტო საკითხების შესწავლა-გამოკვლევა და მათთვის სამოქმედო გეგმის შედგენა

უჯრედებს არ ექნებათ ცალკე განსაკუთრებული შტატი. პროექტის მიხედვით უჯრედების მუშაობაში ჩაბმულ უნდა იქნენ თვით ადგილობრივი აღმასკომის სამეურნეო ორგანოების მუშაკნი.

უჯრედების საერთო ხელმძღვანელობა დაეკისრება სამაზრო აღმასკომებში თვით აღმასკომის თავმჯდომარეს. ხოლო სამეურნეო ორგანოებში დაწესებულებათა გამგეებს.

განხილულ დამუშავებულ საკითხებს უჯრედები უდგენენ ერთი მხრივ აღმასკომის პრეზიდიუმს და სამეურნეო ორგანოთა გამგეობას და მეორე მხრივ საქართველოს საგეგმო კომისიას.

ლენინგრადის ფაბრიკა-ქარხნებში

ათი წლის გასვლის შემდეგ წარსულ წლის დეკემბრის უკანასკნელ რიცხვებში მოგვიხდა ჩვენ კვლავ დათვალიერება ლენინგრადის სამრეწველო რაიონის ქარხნებისა, რომელნიც ამჟამად ლენინგრადის „მანქანათასაამგებლო“ და „ელმანქანათასაამგებლო“ ტრესტებში შედიან. ამ დროის განმავლობაში ნახსენებ რაიონის მრეწველობამ იმდენი ისტორიული და სტიქიური (წყალდიდობა) მოვლენების გავლენა განიცადა, რომ მისი მდგომარეობა მიუხედავად აღმშენებლობის და სამრეწველო ცხოვრების აღდგენის ცნობილი ენერგიისა, ჩვენ ერთგვარ პესიმისტურ თვალსაზრისით ვგქონდა წარმოდგენილი. ამიტომ ჩვენში დაიბადა ბუნებრივი სურვილი გავუზიაროთ მკითხველთ ქარხნების დათვალიერების შთაბეჭდილებანი, რომელნიც ღრმა გავლენას ახდენენ ტეხნიკოს-სპეციალისტზე და ურკვევენ მას არსებულ აღმშენებლობის სურათის შინაარსს.

სამწუხაროდ, დროის უქონლობის გამო საშუალება არ გვქონდა დაწვრილებით გავცნობოდით ქარხნის ცხოვრების ზოგიერთ მხარეებს, შეფასებეს, კალკულიაციას და სხვა. მაგრამ ამჟამად, როდესაც სამრეწველო დაწესებულებათა დატვირთვა შედარებით სუსტია, ეს მხარე იმდენად მნიშვნელოვანი არ არის. გაცილებით უფრო საყურადღებოა საქმის ტეხნიკურ-ადმინისტრატიული მხარე, რომელიც სწორ მიმართულების დაცვის შემთხვევაში თავის თავად გამოიწვევს ნაწარმოების ფასების დაწევას ქარხნის დატვირთვის გაზრდის კვალობაზე. ეს მომავლის საქმეა, შეიძლება ახლო მომავლისაც.

ამიტომ არ შევეხებით საკითხის ამ მხარეს და ვეცდებით მოკლეთ დავასურათოდ დათვალიერებული ქარხნების მდგომარეობა და მუშაობა. სულ დათვალიერებულია ხუთი დიდი ქარხანა: პუტილოვის, „ელექტროსილა“, ლითონის, საჯირგინო (კაბელების) და „სვეტლანა“.

პუტილოვის ქარხანა ჩამოთვლილ ქარხნებიდან ყველაზე დიდია და ამჟამად ვერ არის დატვირთული სავსებით, ვინაიდან მისი მთავარი წარმოება რევოლიუციის წინა პერიოდში (ზარბაზნების წარმოება) დღეს სრულიად შეჩერებულია და შეიცვალა მანქანათა აგების წარმოებით.—ამიტომ მისი საერთო დატვირთა ამჟამად ომის წინა დატვირთვის 1 | 3 არ აღემატება, რაც, რა თქმა უნდა, თავის გავლენას ახდეს წარმოების თვითღირებულებაზე. ქარხნის ცხოვრების ტეხნიკურ მხარეზე და მუშაობის საერთო მსვლელობაზე ამას გავლენა არა აქვს და, მიუხედავათ სამხედრო და საზღვაო უწყებათა შეკვეთების გაუქმებისა და გზათა სახალხო კომისარიატის ორთქმავალთა აგების პროგრამის მნიშვნელოვან შემცირებისა, რაც საშუალებას არ აძლევს ქარხანას სავსებით გამოიყენოს დიდ სახელოსნოების საუკეთესო მოწყობილობა, — მიუხედავათ ყოველივე ამისა მუშაობა სრულებით მოწესრიგებულია.

ქარხნის დათვალიერების დროს ძნელად წარმოსადგენია, რომ ასე სავსებით აღდგენილია ის მოკლე დროში ამდენ მრისხანე ისტორიულ და სტიქიურ მოვლენათა შემდეგ.

ქარხნის ცალკე ცეხებიდან ყველაზე ნაკლებად დატვირთული არიან მარტენის და სამჭედლო ცეხები; შედარებით უკეთ არიან დატვირთული საქვაბე და მექანიკური ცეხები. აქ სხვათა შორის „ვოლხოვსტროი“-ს და „ზაჰეს“-ის მსხვილ შეკვეთათა გარდა ამჟამად სხვა ელსადგურების მნიშვნელოვანი შეკვეთებიც მზადდება.

ქარხანაში ყურადღებას იქცევს „ფორდზონი“-ს ტიპის ტრაქტორების წარმოება. რამოდენიმე ასეთი ახალი „ფორდზონი“ პუტილოვის ქარხნისა აქვე იდგა სახელოსნოებში გასაგზავნად დამზადებული.

პუტილოვის ქარხანა, როგორც სჩანს, ფართოდ აპირებს ამ წარმოების განვითარებას, ვინაიდან გადავიდა უკვე ტრაქტორების ნაწილების მასიურ დამზადებაზე „შტამპოვკით“ და სათანადოდ გადააჯგუფა მექანიკური სახელოსნოებიც.

ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს პუტილოვის ქარხანაში ე. წ. „საკოშკო სახელოსნო“ (სადაც წინად ჯავშნიან გემების კოშკებს აკეთებდენ).

ამჟამად ამ სახელოსნოების საუცხოვო მოწყობილობა მხოლოდ ორთქმავლების ასაგებად არის გამოყენებული,—აქ კეთდება ახალი სისტემის მძლავრი ორთქმავლები; მძლავრი საზიდი საშუალებანი, ახალი დაზგები უზარმაზარ თვლების და ღერძების გასათლელად—საშუალებას აძლევს ქარხანას მტკიცედ დააყენოს ეს წარმოება. მართალია, გზათა კომისარიატის მეტად შემცირებული პროგრამა ორთქმავლების შეკვეთისა აფერხებს ქარხნის მიერ მოწყობილობის ჯეროვანად გამოყენებას, მაგრამ 1925 წლისათვის მაინც აქვს მას წინადადება გამოუშვას სხვა ორთქმავლების გარდა მარტო „Pacific“-ის ტიპის სწრაფი ორთქმავლები 18 ცალი. ასეთი ორთქლმავლები უკვე აქვს გამოშვებული პუტილოვის ქარხანას წინად და ამჟამად მუშაობენ ოქტომბრის (ყოფ. ნიკოლაევის), მოსკოვ-კურსკის და ჩრდილო-კავკასიის (ყოფილი ვლადიკავკავის) რკინის გზებზე. რომ წარმოვიდგინოთ ის შთაბეჭდილება, რომელსაც ახდენს ეს ბუმბერაზი, საკმარისია მოვიხსენიოთ, რომ 16—18 ოთხღერძიან პულმონის ვაგონებიდან შემდგარ მატარებელს ის მოაქანებს მოსკოვ-ლენინგრადის შუა 90 ვერსის სისწრაფით საათში.

ძლიერ საინტერესოა ტეხნიკოსისათვის ორთქლმავალთა აგების პროცესის გაცნობა: მათი მსხვილი, შინაგან მუხლებიან ღერძების გათლა, რომელნიც ნაჭედ ფოლადისაგან კეთდებიან („Pacific“-ს აქვს ორი გარეგანი და ორი შინაგანი ორთქლის ცილინდრები), უზარმაზარ თვლების მოხარატება დაზგებზე, ვეებერთელა ორთქლის ქვაბების ჰიდრავლიური მოქლონვა, რომლის შედეგად იდეალური სისწორის ნაკერი გამოდის; ყოველივე ეს რაციონალურად დაყენებული წარმოების შთაბეჭდილებას ახდენს.

ამ სახელოსნოების სატრანსპორტო საშუალებათა სიმძლავრის წარმოსადგენად საკმარისია მოვიხსენიოთ, რომ დათვალიერების დროს ჩვენ ვნახეთ გამოსაშვებად დამზადებული „Pacific“-ი, რომელიც ჯაჭვებზე ჩამოკიდებული თავისუფლად მიქონდა ორ მოძრავ ამწს (ასაწევ მანქანას), ისე თითქოს 100 ტონა სიმძიმის მაგივრად მხოლოდ წუმწუმის კოლოფი ყოფილიყო ჩამოკიდებული ამ ჯაჭვებზე.

კარგ შთაბეჭდილებას ახდენს აგრეთვე სასხმო ცეხი, რომელშიაც ამჟამად დამთავრებულია უკვე „ვოლხოვსტროი“-ს გენერატორების სტატორების ჩამოსხმა და ათავებენ „ზაჰეს“-ის ბრუნაროს (ტურბინის) ჩამოსხმას. ეს ცეხიც კარგად არის საზიდ საშუალებებით მოწყობილი და შედარებით სხვა ცეხებთან უფრო დატვირთულია, ვინაიდან პუტილოვის ქარხნის გარდა იმავე ტრესტის სხვა ქარხნების შეკვეთებსაც ასრულებს, განსაკუთრებით დიდ ზომების ჩამოსასხმელ ნაწილებისას.

არა ხანგრძლივ დათვალიერების დროს, რა თქმა უნდა, საშუალება არა გვქონდა გავცნობოდით პუტილოვის ქარხნის დანარჩენ არა ნაკლებად საყურადღებო ნაწილებს, როგორიცაა, მაგალითად: ორთქმავალთა საცდელი სადგური, მასალთა საცდელი ლაბორატორია და სხვა. დროის უქონლობის მიუხედავად არ შეიძლებოდა მაინც არ შევჩერებულიყავით ლითონის დასამუშავებელ სხვადასხვა ახალ სისტემების დაზგების დასათვალიერებლად; ამ მხრივ მეტად საინტერესოა კბილიან ბორბლების სათლელი ავტომატიური დაზგები, რომლებიც ამჟამად „ვოლხოვსტროი“-ს და „ზაჰეს“-ის რაბების ასაწევ მექანიზმებზე მუშაობენ.

წმინდა ტეხნიკური ხასიათის მხარეს გარდა ძლიერ საყურადღებოა ქარხანაში სამეურნეო-ადმინისტრატიული მხარეც, მაგრამ ამას შევეხებით დასასრულს, ვინაიდან ის საერთოა დანარჩენ დათვალიერებულ ქარხნებისთვისაც.

ლენინგრადის **ლითონის ქარხნის** დათვალიერება გაცილებით მეტ შთაბეჭდილებას ახდენს, ვინაიდან ეს ქარხანა, როგორც სახელოსნოების საერთო მდებარეობით, საზიდ საშუალებათა გამოყენებით და მთელი თავისი მოწყობილობით უფრო ახალია. გარდა ამისა, დატვირთვაც ქარხნისა ომის წინა დატვირთვის 100 პროც. უდრის, ისე რომ სახელოსნოების უმეტეს ნაწილში მუშაობა ორი მორიგეობით სწარმოებს, ზოგიერთში კი აპირებენ სამ მორიგეობაზე გადასვლას.

მოწყობილობის ხასიათით ეს ქარხანა შედარებით პუტილოვის ქარხანასთან უფრო პრეციზიულ (ანუ განსაკუთრებულ სისწორით დამუშავებულ) მანქანათა ამგებლობისათვის არის დანიშნული. აქ სპეციალურად არის განვითარებული ორთქლის და წყლის ბრუნაროების (ტურბინების), ტუმბოების, ვენტილიატორების (სანიავოების) და სხვა ამგვარ მანქანების წარმოება. ამასთანავე ქარხანა სხვა მეტალიურ კონსტრუქციებსაც ამზადებს: დიდ დიამეტრიანი რკინის მილები, ქვაბები, ასაწევი მანქანები (ამწები), რეზერვუარები და სხვა.

„ზაჰეს“—ისათვის აქ აგებულია და ათავებენ აგებას შემდეგ მოწყობილობისას: ერთ ბრუნაროს 4.500 ცხ. ძალისას, 40 ტონიან მოძრავ ამწს მთავარ სადგურისათვის, რკინის მილებს წყლის მისაყვანად ბრუნაროებთან, 12 ძლიერ 10—12 დიუმიანი ტუმბოს წყლის ამოსასხმელად საგუბრის სამუშაოზე.

აქვე სასწრაფო ტემპით ამთავრებენ „აზნავთი“-ს და გროზნავთი“-სათვის ვეებერთელა ნავთის ტუმბოებს. საყურადღებოა და დამახასიათებელი ქარხნისათვის, რომ მისი ბიურო უკვე მუშაობს გროზნის მომავალ ნავთსადენის ტუმბოების პროექტებზე.

საერთოდ, საკმარისია ოდნავ თვალის გადავლებაც, რომ დარწმუნდეთ ქარხნის წარმოების კარგ მდგომარეობაში და კარგ პატრონობაში. კმაყოფილებას გრძნობთ მაღალ და საუცხოვოთ განათებულ სახელოსნოებში გავლის დროს, როდესაც ხედავთ სწრაფად, მწყობრად და ინტენსიურად მიმდინარე მუშაობას; ხედავთ მანქანების დიდ და მძიმე ნაწილებს, ამწების საშუალებით სწრაფად და სისწორით ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანილს, ან და უზარმაზარ დაზგებზე თუჯის და ფოლადის მეტოდიურ და ჩუმ თლას.

ქარხანამ ფართოდ განავითარა ბოლო ხანებში ორთქლის და წყლის ბრუნაროების (ტურბინების) წარმოება. ომის წინად 1914 წელში ეს წარმოება სრულებით არ არსებობდა რუსეთში, ეხლა კი 5—10.000 ცხ. ძალიან ორთქლის ბრუნარის დამზადება მეტალიურ ქარხნისათვის სიძნელეს აღარ წარმოადგენს და ის მთელი ჯგუფებით ამზადებს მათ.

უნდა წარმოიდგინოთ თუ როგორი განსაკუთრებული ყურადღება და სისწორე სჭირდება ამ წარმოებას, როგორი არჩევა, გამოცდა და დამუშავება მასალისა—და გაიგებთ რამდენად დიდია ქარხნის ეს მიღწევა. საკმარისია დაინახოთ აქ დამუშავებული როტორები ორთქლის ბრუნაროებისა, რომ დარწმუნდეთ ამაში. ჩვენ ვნახეთ ქარხანაში მთელი რიგი დამთავრებულ ბრუნაროებისა „ემბანავთი“-ს და ზოგიერთ საფეიქრო ტრესტების მიერ შეკვეთილი.

წყლის ბრუნაროების დარგშიც ბევრია გაკეთებული: ქარხანაზე დავათვალიერეთ რამოდენიმე წყლის ბრუნარო დაწყებული 100 ცხ. ძალ. და გათავებული „ზაჰეს“-ის 4.500 ცხ. ძალიან ბრუნაროთი. საუკეთესო მოწყობილობა ქარხანისა საშუალებას აძლევს მას სერიოზულად დააყენოს ეს წარმოება; ყოველ შემთხვევაში, ქარხანაში კეთდება ისეთი სპეციალური ნაწილებიც—კი ბრუნაროებისა, როგორიცაა ზეთის ავტომატიური მდონარები (რეგულიატორები).

ძნელია გადავსცეთ მკითხველს ყველა შთაბეჭდილებანი მოკლე წერილში მაგრამ არ შეგვიძლია არ შევჩერდეთ ერთ მხარეზე, რომელიც განსაკუთრებით იპყრობს ყურადღებას და მართლაც ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს. ეს არის ქარხნის „ფაბზავუჩ“-ი (ე. ი. ქარხნის სკოლა). აქ აშკარად ხედავთ, თუ რა დიდი განსხვავებაა ამ საკითხში და მრავალ სხვა საკითხებშიაც ჩვენი ადგილობრივ და რუსეთის (კერძოდ ლენინგრადის) მუშაობის პირობებში.

სიმართლე მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ჩვენ წარმოებათა უმრავლესობაში „ფაბზავუჩ“-ი უფრო, რუსულად რომ ვსთქვათ „ფაბზამუჩი“-ს (ე. ი. ფაბ-გამაწვალეს) წააგავს, იმდენი დავიდარაბა და უწესრიგობაა მასთან დაკავშირებული. ლენინგრადის ქარხანაში კი „ფაბზავუჩ“-ი წარმოადგენს მეტად საყურადღებო მხარეს მუშაობისას.

ამისათვის საკმარისია გაეცნოთ „ფაბზავუჩ“-იდან გამოშვებულ ნაწარმოებს, დაინახოთ ის საქმიანი და მკაცრ დისციპლინის ატმოსფერა, რომელიც არის იქ. დაზგებთან მუშაობის გარდა მოწაფეები თეორეტიულ საგნებსაც ეცნობიან: მათ საკმაოდ და ვრცლად აცნობენ მათემატიკას, ფიზიკას, ქიმიას, საერთო მექანიკას და ტეხნოლოგიას, რასაკვირველია, უმთავრესად ქარხნის წარმოების საგანთან დაკავშირებით.

ასეთ „ფაბზავუჩ“-ების დიდ მიღწევად მიგვაჩნია ჩვენ ის, რომ მოწაფეებისათვის (რომელთა რიცხვი, მაგალითად, მეტალიურ ქარხანაში 150 კაცს აღწევს) სავალდებულოა არა მარტო ამა თუ იმ სამუშაოს სისწორით ასრულება, არამედ ქარხანაში დაწესებულ შეფასების სავალდებულო გამართლებაც. ამრიგად, თეორეტიულ მომზადების და დაზგაზე დახელოვნების გარდა ყმაწვილები სამუშაოს ინტენსივობასაც ეცნობიან და ეჩვევიან ამ ინტენსივობის აღრიცხვას. ქარხანას მიზნად აქვს დასახული გამოუშვას მომზადებული და კვალიფიკიური თანაშემწენი ქარხნის ოსტატებისა; ხუთი წლის სასწავლო ვადა ამისათვის სავსებით საკმარისი უნდა იყოს.

ასეთსავე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ქარხანა „ელექტროსილა“ (ყოფ. სიმენსის ქარხანა), რომლის მუშაობა მჭიდროდ არის მეტალიურ ქარხნის მუშაობასთან დაკავშირებული, ვინაიდან ისინი ერთად აწარმოებენ მძლავრ ელ-ბრუნაროების და ელ-ტუმბოების აგებას. ამჟამად „ელექტროსილა“ სავსებით დატვირთულია „ვოლხოვსტროი“-ს, „ზაჰეს“-ის. „ნოვონიკოლაევსკი“-ის „ემბანავთი“-ს და სხვა ამგვარ ორგანიზაციების შეკვეთებით.

მექანიკური მოწყობილობა ქარხანას ძალიან კარგი აქვს: მას შეუძლია მოხარატება დაზგებზე გენერატორების როტორებისა (მბრუნავ ნაწილებისა) 12 მეტრის დიამეტრამდე. ქარხნის დათვალიერების დროს „ვოლხოვსტროი“-ს ერთი ასეთი როტორი იხარატებოდა დაზგაზე და ჩვენ რამოდენიმე კაცს საშუალება გვქონდა გაგვესეირნებია აღნიშნულ როტორზე მუშაობის შეუჩერებლად შემთხვევით დავესწარით აგრეთვე 3.000 კილოვატიან ახალ ალტერნატორის (ცვლად ელ-დენის მანქანისა) გაშვებას, რომელიც სრულიად დამაკმაყოფილებლად ჩატარდა.

ინტერესს წარმოადგენს ქარხნის ის განყოფილება, სადაც ელმანქანების დახვევის იზოლაციას და ჩაწყობას აწარმოებენ. ეს საქმე მხოლოდ ბოლო წლებშია განვითარებული, ვინაიდან რევოლიუციის წინა ხანებში ასეთი მანქანები საზღვარგარეთიდან შემოქონდათ (უმთავრესად გერმანიიდან) საყურადღებოა, რომ ხელოსნები თავისუფლათ ერკვევიან ამ განყოფილებაში ელმანქანების დახვევის რთულ ნახაზებში, რომლებშიაც პირველი დახედვით სპეციალურად მომზადებული ტეხნიკოსიც კი ვერ გაერკვევა.

„ელექტროსილა“ ამჟამად სავსებით დატვირთულია მრავალი შეკვეთებით აქ ხედავთ „ვოლხოვსტროი“-ს უზარმაზარ გენერატორებს, რომელთა როტორების „ზეგაქანებაზე“ გამოსაცდელად სპეციალური ბეტონის ორმოა გაკეთებული, ზომით ცირკის მოზრდილ არენის ოდენა. აქვე სდგას „ზაჰეს“-ის და მოსკოვის ელსადგურის უშველებელი 4.000 კილოვატიანი ტრანსფორმატორები (გადამსახები), რამოდენიმე ათეული უფრო პატარა გადამსახი სიმძლავრით 3.000 კილოვატიდან დაწყებული 50 კილოვატამდე. უკანასკნელნი საბჭოთა კავშირის ისეთ შორეულ კუთხეებისათვის არის დამზადებული სადაც თვით სიტყვა „ტრანსფორმატორი“ რაღაც გასაკვირველი უნდა ყოფილიყო.

აქ ამ ნათელ და მაღალ სახელოსნოებში, სადაც სდუღს ახალი მრეწველობა და აწვდის ნაწარმოებს ყოფილ რუსეთის იმპერიის „ყრუ ადგილებ“-ს, [illegible] და აშკარა ხდება ხალხის ცხოვრების ის მძლავრი გარდატეხა, რომლის გაგება ჩვენს, საქართველოს და ამიერ-კავკასიის პირობებში უფრო ძნელია, მაგრამ რომლის გაგება დიახაც საჭირო არის და ამის დრო არის.

ს. ს. ს. რ. სახ. კომისართა საბჭოს ხაინფორმ...-განყოფილების ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება

მეტი ყურადღება

არავისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ სოფლად პარტიული მუშაობა მოისუსტებს. ამას თვით ჩვენ გარკვევით ვლაპარაკობთ, ამის შესახებ ვსწერთ პრესაშიც, სადაც აღვნიშნავთ მუშაობის როგორც დადებით, ისე უმთავრესად მის უარყოფით მხარეებსაც.

„კომუნისტი“-ს ორშაბათის ნომერში პარტიული ცხოვრების განყოფილებაში მოთავსებული იყო ერთ-ერთი პარტიული კორესპონდენტის პატარა შენიშვნა სათაურით „სოფ. კოტიანეთის კომუჯრედში“, სადაც კორესპონდენციის ავტორი სწერს: „პარტმუშაობა და მუშაობა უპარტიო მასებში არ არის გამოცოცხლებული. ხშირად უნდა იმართებოდეს კომუჯრედის ღია კრებები, რომელზედაც უნდა ესწრებოდენ უპარტიო მასები და ირჩეოდეს ყველა ამ საჭირბოროტო საკითხები, რომლებიც წამოიჭრებიან ადგილობრივ. მაგრამ საუბედუროთ ასეთებს ადგილი არა აქვს“ და შემდეგ „აღნიშნული ნაკლი აიხსნება ორგანიზატორის უყოლობით. ამასთანავე ზემოხსენებული უჯრედი მოიკოჭლებს იმ მხრივაც, რომ ზოგიერთმა პარტწევრებმა არ იციან წერა-კითხვა“.

როგორც ამ ამონაწერებიდან ვხედავთ, სოფ. კოტიანეთის კომუჯრედში არ ყოფილა „ყველაფერი რიგზე“: მოისუსტებს უორგანიზატორობის გამო პარტმუშაობა, არ იმართება ღია სხდომები, არ სწარმოებს არავითარი მუშაობა უპარტიოთა შორის, უჯრედის წევრთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმე სუსტადაა დაყენებული და სხვა და ყოველივე ეს იმ დროს, როდესაც კომპარტიის და საბჭოთა ხელისუფლების მიერ დღეს გადმოსროლილია ლოზუნგი „პირი ვიბრუნოთ სოფლისაკენ“, როდესაც პარტიას აღებული აქვს კურსი უპარტიო გლეხკაცობასთან მჭიდრო კავშირის დასამყარებლად, როდესაც სოფლად არაჩვეულებრივი სისწრაფით იზრდება გლეხების პოლიტიკური აქტივობა და შექმნილი მდგომარეობა მოითხოვს რევოლიუციის საბოლოო გამარჯვებისათვის ადგილობრივად პარტიული ხაზის მტკიცეთ გატარებას.

რასაკვირველია სოფ. კოტიანეთის კომუჯრედში ამ არსებულ არანორმალურ მდგომარეობას უნდა გამოუცხადოთ სასტიკი ბრძოლა. და ამ შემთხვევაში სენაკის სამაზრო პარტკომმა ამ გარემოებას უნდა მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება და კომუჯრედი უთუოდ უნდა დასძრას უმოქმედო მდგომარეობიდან.

სხვათა შორის კორესპონდენტი თავის წერილში აღნიშნავს იმასაც, რომ სოფ. კოტიანეთში მიწის რეფორმა უკვე დიდი ხანია ჩატარდა, რომ თავად-აზნაურებისაგან ჩამორთმეული მიწები გადაეცა მშრომელ გლეხკაცობას, მხოლოდ ამ ჟამად საჭიროებას წარმოადგენს ჩამოერთვას მიწები იმათაც, რომლებიც გაიძახიანო: „სხვისი მიწა მომცეს, არ მესაჭიროებოდა, მომცეს და რას ვეძებდიო“.

როგორც სჩანს, ჩვენში კიდევ მოიპოვება ისეთი კუთხეები, სადაც, მართალია, აგრარული რეფორმა დიდი ხანია ჩატარებულია, მაგრამ ამ რეფორმის ჩატარების დროს დაშვებულია სამწუხარო შეცდომები და ეს შეცდომები დღემდე გამოსწორებული არ არის. სენაკის პარტკომს ამ შემთხვევაშიაც ჰმართებს აიღოს ინიციატივა და მიიღოს შესაფერი ზომები. ეს მით უმეტეს, როდესაც ახალი ეკონომიური პოლიტიკის ნიადაგზედ სოფლად სწარმოებს კლასობრივი დიფერენციაცია ერთის მხრივ კულაკებსა, ხოლო მეორეს მხრივ საშუალო და ღარიბ გლეხებს შორის, როდესაც უკანასკნელს ესაჭიროება პარტიის და სახელმწიფოსაგან ყოველმხრივი დახმარება პირველის საბოლოო დასამარცხებლად.

შანი.

ფოთის პარტიული კომიტეტის პლენუმი

5 თებერვალს შესდგა ს. კ. პ. ფოთის კომიტეტის გაფართოებული პლენუმი კომუჯრედების მდივნებთან და მიმაგრებულ ამხანაგებთან ერთად. პლენუმის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ, 2) სამეურნეო და სავაჭრო ორგანოებში მომუშავე კომუნისტების თათბირის შედეგები და 3) ლენინიზმი და ტროცკიზმი.

პირველ საკითხის გარშემო მოხსენება გააკეთა პარტკომის მდივანმა, რომელმაც დაწვრილებით აღნიშნა პრეზიდიუმის მუშაობა უკანასკნელი პლენუმის შემდეგ.

მეორე საკითხის გარშემო, პლენუმმა გაეცნო თათბირის დადგენილებებს, რომელიც გამოიხატება შემდეგში: 1. მიზანშეწონილად იქნას ცნობილი სამეურნეო და სავაჭრო დარგებში პ | მ. კომუნისტების თათბირის მოწვევა სამ თვეში ერთხელ, რომ მით ჯამი გაუკეთდეს დაწესებულებების საერთო მუშაობას. 2. სამეურნეო და სავაჭრო დარგების მუშაობის შესასწავლად გამოყოფილ იქნას ხუთი ამხანაგის შემადგენლობით სპეციალური სამეურნეო ბიურო, რომლის მუშაობა განისაზღვრება: თვალყურის დევნება სამეურნეო და სავაჭრო დარგების გეგმიანი მუშაობის საწარმოებლად, შრომის ნაყოფიერების ზრდის ან შემცირების გამოკვლევა და ზომების მიღება პარტკომის საშუალებით შრომის ნაყოფიერების ასაწევად, სამეურნეო და სავაჭრო დარგებში ამა თუ იმ უარყოფითი მხარეების გამოკვლევა და ზომების მიღება ან ადგილობრივი პარტკომის საშუალებით ან და უმაღლეს ინსტანციის საშუალებით. ბიურომ უნდა შეისწავლოს აგრეთვე სამეურნეო ორგანოების მდგომარეობა რისთვისაც ავალებს სამეურნეო და სავაჭრო დარგებში მომუშავე პ | მ. კომუნისტებს უგზავნონ თავიანთი ანგარიშების ასლები.

პლენუმმა თათბირის ყველა ეს დადგენილებანი დაამტკიცა და დაავალა პრეზიდიუმს მათი ცხოვრებაში გატარება.

მესამე საკითხზე—ლენინიზმი და ტროცკიზმი—მოხსენება გააკეთა ამხ. მშვენიერაძემ. მომხსენებელი ვრცლად ახასიათებს ლენინიზმს, რომელიც წარმოიშვა და განვითარდა ოპორტუნიზმ-მენშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და დასასრულს ეხება ტროცკიზმს და „ოქტომბრის გაკვეთილებს“, როგორც ცდას ლენინიზმის რევიზიისას.

მოხსენების გამო პლენუმის მიერ გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, სადაც ნათქვამია, რომ ფოთის ორგანიზაცია არ დაუშვებს ლენინიზმის დამახინჯებას: მტკიცედ დაიცავს პარტიის მთლიანობას და ბოლშევიკურ დისციპლინას.

შემდეგ პლენუმმა დაავალა სააგიტაციო განყოფილებას გააძლიეროს პოლიტსკოლებში მუშაობა ლენინიზმის და პარტიის ისტორიის შესასწავლად.

პრ. მეგრელიშვილი.

წითელი არმიის შვიდი წლის თავი

(თეზისები*)

მშვიდობიანი აღმშენებლობის წლები

12. უკანასკნელი წლები წარმოადგენდენ მშვიდობიანი არსებობის წლებს საბჭოთა რესპუბლიკებისათვის, რომელთაც იცავს წითელი არმიის ფოლადისებური კედელი.

სამოქალაქო ომის პერიოდში წითელი არმია რიცხვობრივად თანდათან უფრო და უფრო იზრდებოდა და იყო დრო, როცა ის აღწევდა 5,300,000 კაცამდე. 1921 წლის ბოლოს დაიწყო წითელი არმიის შემცირება, რაც გამოწვეული იყო ერთი მხრით მშვიდობიანობის პოლიტიკით, მეორე მხრით კი იმით, რომ საბჭოთა ხელისუფლება მიისწრაფოდა სამეურნეო ფრონტისაკენ მიემართა თავის ძალების და საშუალებების მაქსიმუმი, მთელი რიგი თანდათანობითი გადახალისების შემდეგ არმია მცირდება 600,000 კაცამდე. საბჭოთა კავშირის მშვიდობიანმა აღმშენებლობამ შესაძლებელი გახადა არა მარტო შემცირება წითელი არმიის, არამედ აგრეთვე მისი გადახალისებაც, მისი შინაგანი აპარატის-მმართველობის განმტკიცება და მთელ რიგ გაუმჯობესებათა მიღწევა: საკომანდო შემადგენლობის შერჩევა, ნაციონალური ნაწილების შედგენა და მებრძოლის სამხედრო-პოლიტიკური აღზრდის ახალი მეთოდების შემოღება.

1924 წელი იყო ტერიტორიალური ნაწილების განვითარების წელი.

ტერიტორიალური ნაწილების შედგენა.

13. ჩვენი კავშირის თავდაცვითი უნარის უზრუნველყოფის ამოცანამ არმიის მაქსიმალურად შემცირების დროს გვაიძულა ჩვენ მივვემართა თავდაცვის მოწყობის ახალი ფორმებისათვის. წითელი არმიის შედგენის ტერიტორიალური სისტემის შემწეობით საბჭოთა მთავრობა სცდილობს გადაახალისოს საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები ისე, რომ აუცილებელი სამხედრო მომზადება მიეცეს მშრომელთა რაც შეიძლება მეტ რაოდენობას და რაც შეიძლება ნაკლებად მოსწყდენ ისინი საწარმოო შრომას. ტერიტორიალური სისტემა საშუალებას მოგვცემს გავაძლიეროთ საბჭოთა კავშირის თავდაცვითი უნარი და ამავე დროს შევამციროთ მისი სამხედრო ბიუჯეტი და მით შევამსუბუქოთ გადასახადის სიმძიმე, დავუახლოვოთ წითელი არმია მშრომელთა ფართო მასებს.

14. ტერიტორიალური სისტემა უმთავრესად მდგომარეობს შემდეგში: სახელმწიფოს ხარჯზე კადრის სახით ინახება საკომანდო ადმინისტრატიული, პოლიტიკური დ წითელარმიელთა შემადგენლობის მხოლოდ მცირე ნაწილი. სამხედრო მოსამსახურეების მთავარი მასა კი ირკვევა რა ნამდვილ სამხედრო სამსახურში, ეწევა საწარმოო შრომას და მხოლოდ პერიოდულად, მოკლე ვადით იკრიბება სამხედრო სწავლის მისაღებად.

15. ტერიტორიალური ნაწილების შედგენის საფუძველს წარმოადგენს ახალგაზრდობის (ჩვენში 903, 904, 905, 906 წლებში დაბადებულების) ჯარში გაწვევამდე მომზადება. ჯარში გაწვევამდე მომზადება ნიშნავს ახალგაზრდობის ფიზიკურ აღზრდას, ჯანმრთელობის გაჯანსაღებას, მისი ძალის, ოქნილობის, გაბედულობის, გამძლეობის, ძლიერი სულის განმტკიცებას, რომ ის მუდამ მზად იყოს ბრძოლისათვის საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად, ახალგაზრდობის წინასწარ სამხედრო მომზადებას, მის გაცნობას სამხედრო საქმის საფუძვლებთან.

16. წითელი არმია და ფლოტი ყოველთვის ისლეოდენ თვალსაჩინო მაგალით მუშების და გლეხების მჭიდრო შეკავშირებისა. ტერიტორიალური სისტემა წარმოადგენს მჭიდრო კავშირის დამყარების საშუალებას მთელს წითელარმიასა და მშრომელებს შორის.

ცვალებადი შემადგენლობის პერიოდიულად გასვლას ტერიტორიალურ ნაწილებიდან შედეგად მოსდევს ის, რომ იგი არ განიცდის მუდმივ უმუალო მოვლენის საკომანდო და პოლიტიკური შემადგენლობის მხრივ. აუცილებლად უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მუშაობა, რომელსაც ეწევიან ადგილობრივი პარტიული და პოლიტ-განმანათლებელი ორგანიზაციები ცვალებად შემადგენლობათა შორის ტერიტორიალური დივიზიების სასწავლოდ გაწვევის ხანებს შუა უნდა იყოს იმ მუშაობის გაგრძელება, რომელსაც ეწევიან პოლიტორგანოები ტერიტორიალური ნაწილების გაწვევის დროს. აქედან აუცილებელია მჭიდრო კავშირი სამხედრო და სამოქალაქო ორგანიზაციების მუშაობაში და ამ მუშაობის გეგმის ორგანიული შეთანხმება ერთი-მეორესთან.

17. კავშირის მრავალ რესპუბლიკებში მოწყობილია ტერიტორიალური ნაწილები. ჩვენში, ამიერ-კავკასიაში შედგენილია ნაციონალური დივიზია არა მარტო საქართველოში და სომხეთში, არამედ აგრეთვე აზერბეიჯანშიაც, სადაც წინად მცხოვრებლები სრულებით არ იხდიდენ სამხედრო ბეგარას. 1924 წელს ჩვენ ამიერ-კავკასიაში შევუდექით ტერიტორიალურ-ნაციონალურ ნაწილების შედგენას. ტერიტორიალური სისტემის სისწორით გატარება ბუნებრივად გვაახლოვებს ჩვენ. ნაციონალურ ნაწილების მოწყობასთან კავშირის ყველა რესპუბლიკებში. ამ რიგად ტერიტორიალური სისტემა წარმოადგენს საუკეთესო საშუალებას ნაციონალური საკითხის გადასაჭრელად წითელ არმიაში.

დიადი ოქტომბრის რევოლიუციის პირმშო შვილი—მუშათა და გლეხთა წითელი არმია განმტკიცდა და გამოიბრძმედა სამოქალაქო ომის ცეცხლში.

წითელი არმიის მე-7-ე წლის თავის დღესასწაული კიდევ უფრო შეაკავშირებს ტერიტორიალური ნაწილების საშუალებით მუშებს და გლეხებს მთელს წითელ არმიასთან და ორგანიულად შეადუღებს წითელარმიელებს, მუშებს და გლეხებს ერთს ძლიერ ძალათ, რომელიც შესძლებს წინააღმდეგობის გაწევას მსოფლიო იმპერიალიზმისათვის, თუ ის გაბედავს ოქტომბრის მონაპოვარზე თავდასხმის ცდას.

რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.

კავკასიის წითელ დროშოვანი არმიის პოლიტიკური სამმართველოს სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.

---

*) დასასრული იხ. „კომუნისტი“-ს № 37.

საბჭოთა არჩევნები საქართველოში

არჩევნები თფილისსა და მის მაზრაში

არსენალის რაიონში

არსენალის რაიონის საარჩევნო კომისია იუწყება, რომ თბილისის საბჭოს დეპუტატების ხელახალი არჩევნები არსენალის რაიონში დაიწყო ა | წ. 14 თებერვლიდან შემდეგ წარმოებების მუშა-მოსამსახურეთა შორის:

1. კოლოფების ქარხანა „ინტერნაციონალი“ 15 თებერვალს. დილის 10 საათზე საგაუბიცო ბატარეის კლუბის შენობაში;
2. ქ. თბილისის ელსადგურების მომუშავენი—15 თებერვალს დღის 1 საათზე 1 საბჭ. ელექტრონის სადგურის შენობაში;
3. არსენალის რაიონის სახერხავი ქარხანა—16 თებერვალს დღის 3 საათზე სატყეო კომიტეტის № 3 ქარხნის შენობაში (კამოს ქუჩა 30);
4. „ტრამოტი“ (აბოზი და გარაჟი)—16 თებერვალს დილის 7 საათზე „ტრამოტი“-ს შენობაში—კამოს ქუჩა № 30);
5. რ. ლიუქსემბურგის თამბაქოს ქარხანა—17 თებერვალს, დღის 3 საათზე—ფაბრიკის შენობაში (ვაგზლის ქ. № 8);
6. შოფერების ადგილკომი—17 თებერვალს, საღამოს 6 საათზე ტრანსპორტის მუშათა კლუბის შენობაში (ყოფილი ალექსანდრეს ბაღი).
7. ტრამვაი—17 თებერვალს, დილის 6 საათზე ტრამვაის პარკის შენობაში.
8. სახალხო კვების მუშათა ადგილკომი—18 თებერვალს დღის 12 საათზე—სახალხო სახლის შენობაში.
9. თამბაქოს ფაბრიკა „პროლეტარი“—18 თებერვალს, დღის 3 საათზე, თამბაქოს შენობაში;
10. მუშათა მთლიან კოოპერატივის ტრანსპორტი—18 თებერვალს დილის 7 საათზე, მუშათა მთლიან კოოპერატივის ზედა დარბაზში.
11. არსენალი—19 თებერვალს, დღის 3 საათზე არსენალის შენობაში (არსენალის მთა);
12. ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატი—19 თებერვალს, დღის 3 საათზე—„ავტოპრომტორგის“ სახელოსნო შენობაში (ოქუაშვილის ქ. № 8);
13. საქართველოს სამკერვალო მრეწველობა—20 თებერვალს, დილის 7 საათზე—მკერავთა კლუბში.
14. წყალსადენის სახელოსნო—21 თებერვალს, დილის 7 საათზე, წყალსადენის სახელოსნო კლუბში;
15. სანიტ-ტექნიკურ მუშათა კავშირი—21 თებერვალს დღის 1-ლ საათზე—სანტეხის კლუბში;
16. საამშენებლო დარგის მუშები—21 თებერვალს საღამოს 6 საათზე ამშენებელთა კლუბში.
17. მეტყავეები—22 თებერვალს დღის 1 საათზე ადგილკომში;
18. მეეზოვეთა ადგილკომი—22 თებერვალს, დილის 10 საათზე—სახელ. მუშათა კლუბში (პლეხანოვის პრ.);
19. ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის სანაპირო სკოლა—23 თებერვალს, დღის 12 საათზე—კლუბის შენობაში;

არსენალის რაიონის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე—მელაძე.

ლითონის განყოფილების და სარემონტო ქარხნის მუშების კრება.

ლითონის განყოფილების კლუბში შეიკრიბა 700 მეტი მუშა.

დღის წესრიგში იდგა: მოხსენება თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ და 2) საბჭოს არჩევნები. თბილისის საბჭოს მოქმედების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ხ. ფარნიევი, რომელიც ვრცლად მიმოიხილავს ქალაქის აღმასკომის განყოფილებათა მუშაობას.

მოხსენების დასასრულს მომხსენებელი ამომწურავ პასუხს აძლევს შეკითხვებზე.

შეკითხვების შემდეგ ერთხმად იქნა მიღებული რეზოლიუცია სადაც მუშები აღნიშნავენ, რომ თბილისის საბჭომ ბრწყინვალეთ შეასრულა დაკისრებული მოვალეობა: წინ წასწია ქალაქის კეთილმოწყობის საქმე, გააუმჯობესა მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმე და გააფართოვა კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა. რეზოლიუციაში მუშები იმედს გამოსთქვამენ, რომ ახალი საბჭო იმავე ენერგიით და გულმოდგინეობით გააგრძელებს ძველი საბჭოს მიერ დაწყებულ საქმიანობას.

მეორე საკითხი იყო ახალი საბჭოს დელეგატების არჩევა. ერთხმად არჩეული იქნენ: ს. კ. პ. თბილ. კომიტეტის მდივანი ამხ. ხვანიძე, ორლოვი—სპილენძის ქარხნის მუშა, ამხ. ქელიძე—ახ.-კომკავშირელი, ამხ. რონზენი, გურინშტეინი, ოზიაშვილი და ხულხანოვი. სულ არჩეულია 7 კაცი. აქედან კომუნისტია—3, უპარტიო—3, კომკავშირელი—1.

ერწოს თემში

ერწოს თემში საბჭოების არჩევნები მოხდა 7 თებერვალს.

— **საყდრიონის სოფლის** თავმჯდომარეთ არჩეული იქნა აკაკი ფანცულაია.

— **ნაქალაქარის სოფლის საბჭოს** თავმჯდომარეთ აირჩიეს თედო არაბული.

— **ტოლაანთ** სოფლის საბჭოს თავმჯდომარეთ არჩეული იქნა არჩილ წიკლაური.

— **ერწოს სოფლის საბჭოს** თავმჯდომარეთ—იოსებ აღნიაშვილი.

— **ცხვარიჭამიას** სოფლის საბჭოს თავმჯდომარეთ არჩეული იქნა კანო წიკლაური.

ერწოს თემის აღმასკომი არჩეული იქნა შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარეთ—ივანე ცომაია, წევრებათ—ტიტე თევზაძე, ალექსანდრე არაბული, აკაკი ფანცულაია და სტეფანე ქილიფთარი. კანდიდატებათ—სოფიო იდუკაშვილი და სოლომონ ჯისტური.

სამაზრო ყრილობაზე დელეგატებათ არჩეულ იქნენ: ლავრენტი ჯიბლაძე, ნიკოლოზ სიხარულიძე, ნოე ჯამანაშვილი, ივანე ცომაია, ტიტე თევზაძე, თედო არაბული, სტეფანე ქილიფთარი, ვანო წიკლაური, იულია წიკლაური, მიხა წიკლაური, კანდიდატათ—ბენანკლაური.

მცხეთის თემში

მცხეთის თემის აღმასკომის თავმჯდომარეთ არჩეული იქნა ბაგრატ ზუბრიევი, წევრებათ: გრიგ. ნადარეიშვილი და მაჩხანელი გეორგ.

სამაზრო ყრილობაზე დელეგატებათ არჩეული იქნენ: ბაგრატ ზუბრიევი, თ. იმერლიშვილი, ი. გარსევანიშვილი და თათარაშვილი.

მცხეთის თემის ახალმა საბჭომ თავის პირველ სხდომაზე საპატიო წევრებათ ერთხმად აირჩია: ამხ. ამხ. ლ. სუხიშვილი, ს. გეგეჭკორი და ვ. ჰესხი.

„კომუნისტი“
გრძელდება ხელისმოწერა
მარტისათვის
ყველა ხელისმომწერნი მიიღებენ უფასოთ
ორკვირეულ დამატებებს:
„მეცნიერება და ტეხნიკა“
„ჩირაღდანი“

ამინდი ამიერ-კავკასიაში

საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობით 14 თებერვალს ამიერ-კავკასიაში იდგა შემდეგი დარები:

ბათომი. მოწმენდილი დღე. წყნარი ამინდი. ზღვაზე სიწყნარეა.

ქუთაისი. მოწმენდილი ცა, დამშვიდებული ამინდი ათბა.

ბორჯომი. უღრუბლო დღე. ძლიერი ყინვა.

მუკუზანი. მოწმენდილი, წყნარი დღე—ჰყინავს.

ბაქო. ზღვაზე შემჩნეულია ოდნავი ღელვა, ქრის ჩრდილოეთის ზომიერი ქარი, ნისლია.

ტემპერატურა უკანასკნელი ცნობებით.

ბათომი.	ცელსიუსით	სითბო	3 გრ.
ქუთაისი.	„	სითბო	2 გრ.
ბორჯომი.	„	ყინვა	15 გრ
მუკუზანი.	„	ყინვა	3 გრ
ბაქო.	„	სითბო	3 გრ.

საბჭოთა სასამართლო

ბოროტმოქმედება რკინისგზის სამმართველოში

1924 წ. 22 ივლისს ა | კ. რკინისგზის მთავარ სამმართველოს სალაროდან ყალბი საბუთით გატანილ იქნა 15,000 მანეთი. ამ ბოროტმოქმედების სულის ჩამდგმელი აღმოჩნდა საექსპლოატაციო განყოფილების უფროსი მოანგარიშე შალვა ქავთარაძე, მისი მარჯვენა ხელი—რკინისგზის სამმართველოს მთავარი სალაროს მოლარე კალენიკე გამცემლიძე, მესამე „გმირი“ კი იგივე სალაროს მოლარე დავით დათუაშვილი.

ზემოაღნიშნული შ. ქავთარაძე ადგენს ყალბ მოთხოვნილებას № 5960 კილაძის სახელზე 15,000 მანეთის გაცემის შესახებ, თვითონვე აწერს რეზოლიუციას გამგის მაგიერ და მოთხოვნილება ტარდება წიგნებში. როცა სალაროში მოდის ორდერი, ქავთარაძე მიდის მოლარესთან კ. გამცემლიძესთან და უმხელს მას, რომ ეს საბუთი ყალბია, ფული უნდა გაიტანოს მან და სთხოვს მას დახმარებას და მონაწილეობას ამ საქმეში.

კ. გამცემლიძეც უყოყმანოდ სთანხმდება მის წინადადებაზე, გამოიტანს ფულს და მიაქვს თავის ბინაზე გასაყოფად. გამცემლიძის ბინაზე ფული თანაბრად ნაწილდება ქავთარაძესა და გამცემლიძეს შორის, თვითეულს ხვდა 7,500 მანეთი. მაგრამ „გულკეთილ“ მოლარეს კ. გამცემლიძეს არ ავიწყდება მისი ამხანაგი მოლარე დ. დათუაშვილი, რომელსაც „შემოეხარჯა“ სალაროს ფული 3000 მანეთი.

ქავთარაძემ და გამცემლიძემ გადასწყვიტეს გამოეყვანათ ამხანაგი ასეთი მდგომარეობიდან, თვითეულმა მათგანმა გადასდო დათუაშვილის სასარგებლოდ 1500 მანეთი.

დრო მიდიოდა, ფულიც მიდიოდა „არტო“-ში, „ნონ“-ში „კაზინო“-ში. ქეიფსა და დროს-ტარებას არ იშურებდენ სალაროს ხარჯზე. მაგრამ საგანგებო კომისიის ფხიზელმა თვალმა წაუხდინა ქეიფის მადა ამ ვაჟბატონებს. ბოროტმოქმედება გამოაშკარავდა, მათ აღიარეს თავიანთი შეცოდებანი. ისინი მოთავსებული არიან, სადაც ჯერ არს.

პირველ ორს: შ. ქავთარაძეს და კ. გამცემლიძეს წარდგენილი აქვთ ბრალდება, გათვალისწინებული სისხლის კოდექსის 15 და 119 მუხლებში, ხოლო მესამეს დ. დათუაშვილს—ბრალდება, გათვალისწინებული სისხ. სამ. კოდექსის 16 და 119 მუხლებში.

მათი საქმე ახლო მომავალში გაირჩევა აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში.

შეცდომის გასწორება.

გაზეთ „კომუნისტი“-ს 14 თებერვლის ნომერში მოთავსებულია ცნობა „კარუტო“-ს საქმეზე, სადაც განაჩენში სხვათა შორის ნათქვამია მსჯავრდადებულ იმნაძის შესახებ, რომ მას, იმნაძეს (10 წელი) შეეცვალოს 6 წლით. უნდა იყოს: „ბორის ხრაპკინს და ლევან იმნაძეს თანახმად იმავე 191—მუხლისა და 24 და 25 მ. მ. იმავე კოდექსისა, მიესაჯოთ რვა-რვა წელიწადი თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით“.

ქარხანაზე მეცნიერთა მუშაობაც ჩანს; ის სხვადასხვა გამოკვლევებში და გამოცდებში იჩენს თავს. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ლენინგრადის და მოსკოვის თითქმის ყველა გამოჩენილი სამეცნიერო ძალები ელექტროტეხნიკის დარგში ასე თუ ისე დაკავშირებული არიან ქარხანასთან.

არსებობს აგრეთვე მუდმივი კავშირი ევროპის საუკეთესო ქარხნებთანაც, სადაც მიივლინებიან დრო გამოშვებით ქარხნის სპეციალისტები ამა თუ იმ საკითხის შესასწავლად.

„ელექტროსილა“-სთან დაკავშირებით არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ საჯირგვო (კაბელების) ქარხანაც. ეს მშვენივრად მოწყობილი ქარხანა ძლიერ დაზიანდა წ.წ. ენკენისთვის წყალდიდობის დროს, მაგრამ ეხლა უკვე სავსებით აღდგენილია ისე, რომ ამ წყალდიდობისაგან არაფერი დარჩა, წითელი ხაზის გარდა შენობების კედლებზე ფანჯრების სიმაღლეზე. როდესაც ამ ქარხანას ვხედავთ, საჭიროა ვილაპარაკოთ არა „მრეწველობის აღდგენაზე“, არამედ სრულიად ახალ და ახალ ნიადაგზე დაყენებულ წარმოებაზე უნდა ვილაპარაკოთ, ვინაიდან აქაც, ისე როგორც ზემოდ აღწერილი მეტალიურ ქარხანაში მზადდება ისეთი ნაწარმოები, რომელზედაც რევოლიუციის წინა პერიოდში ოცნებობაც არ შეეძლო რუსეთს. უნდა აღინიშნოს, რომ თვით პროცესი წარმოებისა ქარხანას საკუთარის ხელით აქვს დაყენებული, რასაკვირველია, ევროპიდა ამერიკის ტეხნიკის უკანასკნელ მიღწევათა სათანადო შესწავლით.

ამჟამად ქარხანაში მთავრდება „ვოლხოვსტროი“-ს 35.000 ვოლტიან სამძარღვიან ჯავშნიან ჯირგვის გაკეთება; დამზადებაც და იზოლიაციაც ამ ჯირგვისა ამავე ქარხნის ორი ინჟინერის მიერ დამუშავებული და პატენტად აღიარებული მეთოდით სრულდება. ელექტრიკოსებმა იციან, რომ ასეთ მაღალ ვოლტიან ჯირგვების მზადება ევროპის ტეხნიკის უკანასკნელი პერიოდის მიღწევას წარმოადგენს და აქედან გაიგებენ, თუ რამდენად სერიოზულია საქმის დაყენება ამ ქარხანაში.

ძნელია მთელი ამ რთულ წარმოების, ინტენსიურ და მწყობრ მუშაობის აღწერა. დროის უქონლობის გამო საშუალება არც გვქონდა გავცნობოდით ყოველივე იმას, რაც დაწვრილებით შესწავლის და აღწერის ღირსია. იზოლიაცია უწვრილეს მავთულებიდან დაწყებული, რომელთა დიამეტრი მილიმეტრის რამოდენიმე მეათედს და მეასედს შეადგენს და რომელსიც ელსმენის მეტად ნაზ ნაწილებისათვის იხმარება—მსხვილ ხის სვეტის ოდენა ჯავშნიან ჯირგვებამდე თქვენ ხედავთ ყველა გრადაციებს.

აქვე ამზადებენ იზოლიაციან დახვევებს ელმანქანებისათვის „ელექტროსილას“ ქარხნისათვის.

დიდ ყურადღებას იპყრობს იზოლიაციის საცდელი სადგური, სადაც გამოშვებამდე გაივლის ყველა ჯირგვები, აგრეთვე ჯავშნის სახელოსნოები, რეზინის დასამუშავებელი სახელოსნოები: სპილენძის მავთულის დამზადების და მისი ქიმიურ დამუშავების პროცესი და სხვა.

ღრმეს კმაყოფილებას გრძნობს ტეხნიკოსი ამ ქარხნის დათვალიერების დროს და გულდაწყვეტილი სტოვებს მას კვლავ უფრო დაწვრილებით დასათვალიერებლად დაბრუნების სურვილით.

„**რუსული დიზელის**“ (ყოფ. ნობელის) ქარხანაც კარგად არის დატვირთული და 1925 წლის ბოლომდი, არის უზრუნველყოფილი ახალ შეკვეთებით. ამიტომ მესამე მორიგეობაზე გადაუსვლელად სამუშაოს გადიდება მოუხერხებელია.

ბოლო ხანებში ქარხანამ დაიწყო უკომპრესორო (უწნეო) დიზელების გამოშვება და მანქანების ამ ტიპს ქარხნის ადმინისტრაცია დიდ ყურადღებას აქცევს; რამოდენიმე ასეთი მანქანა განუწყვეტლივ მუშაობს ქარხნის ტრანსმისიაზე საცდელად.

ქარხანა მძლავრ დიზელებსაც აკეთებს 300 ცხ. ძალამდე თითო ცილინდრაზე და საერთოდ მთელი რიგი სხვადასხვა შემოღებულ გაუმჯობესებათა საშუალებას აძლევს მას დააწინაუროს წარმოება ომის წინა პერიოდთან შედარებით.

უარყოფით მხარეს ზოგიერთ სახელოსნოების ხით ძველი გადახურვა წარმოადგენს; უკვე დაწყებულია მისი გადაკეთება და, როგორც სჩანს, ქარხანას აქვს საშუალება უახლოეს წლებში სრულიად გადააკეთოს ეს სახელოსნოები.

მნიშვნელოვანი დატვირთვა და საქმის ჯეროვანი დაყენება იწვევს დიზელების შედარებით დაკლებულ ფასს. ამ მხრივ „რუსულ დიზელი“-ს ქარხანა წინ სდგას ლენინგრადის სხვა ქარხნებთან შედარებით.

დასასრულ უნდა აღვწეროთ აგრეთვე ელნათურების ქარხანა „სვეტლანა“.

ეს ახალი და მეტად კარგი საქმეა. ის რომ ახალია, ეს ყველამ კარგად იცის, ვინაიდან აქნობამდი მხოლოდ ევროპიულ ნათურებს ხმარობდენ რუსეთშიც და ჩვენშიაც.

ეს საქმე, რომ მართლაც კარგია, იქედან სჩანს, რომ ნათურების მოქმედების საათების რიცხვი არ გამოდის ნაკლები, ვინემ ევროპის საუკეთესო ფირმებისა და ფასიც ნათურებისა სრულიად ზომიერია.

მთელი ეს ქარხანა ქალების სამეფოს წარმოადგენს; მთავარ ხელმძღვანელთა და ოსტატთა გარდა მთელი პერსონალი ქალებისაგან შესდგება. გასაგებიცაა, ვინაიდან სრული მექანიზაციის მიუხედავად მაინც მეტად ნაზი ხასიათი აქვს წარმოებას. არის მთელი რიგი ისეთ ნაწილებისა, რომელთა დამუშავება საჭიროებს განსაკუთრებით წვრილ თითებს, ისე რომ მამაკაცები კი არა, ქალების ხელების ერთგვარ გამოცდების შემდეგ მიიღებიან ხოლმე ქარხანაზე.

აქ თქვენ დაინახავთ წარმოების ყველა სტადიებს: მინის ბუშტაროს და ღეროების დამზადებიდან და ვოლფრამას ძაფის დახვევიდან დაწყებული ჰაერის ამოწოვამდე და ნათურების ყუთებში მოთავსებამდე ამასთან არის დაკავშირებული სხვადასხვა სალაბორატორიო გამოკვლევანი, ფოტომეტრიულ კაბინეტში ნათურების შემოწმება და სხვა.

ასამდე სწავლული მუშაკი და მათი თანაშემწენი სისტემატიურად აწარმოებენ მუშაობას ლაბორატორიებში და კაბინეტებში, ისე რომ აქ წარმოებასთან ერთად წმინდა სამეცნიერო გამოკვლევებსაც აქვს ადგილი და დამუშავებულია უკვე მთელი რიგი სამეცნიერო მეთოდებისა. ყოველივე ეს რამოდენიმე უკანასკნელ წელიწადშია ასრულებული და მტკიცე საძირკველზედაც არის დაყრდნობილი. ეს კი მთავარია, ვინაიდან არ არის საკმარისი კარგად დაამზადო ნაწარმოები, არამედ საჭიროა დაამზადო ის და გაყიდო იაფად. ეს აქ სავსებით არის მიღწეული.

ამ ჟამად დღიური პროდუქცია ქარხნისა არის 18—20.000 ნათურა და ქარხნის ადმინისტრაციის ცნობებით, 1925 წლიდან, ნახევარვატიან ნათურების გარდა, რომელთა წარმოება ჯერ არ არის ჯეროვანად განვითარებული, „სვეტლანა“ და „ეტერ“-ის ნათურები დააკმაყოფილებენ საბჭოთა მთელი კავშირის მოთხოვნილებას.

ვათავებთ ამით ლენინგრადის სამრეწველო რაიონის ქარხნების აღწერას და არ შეგვიძლია რამოდენიმე სიტყვით არ შევეხოთ იმ საერთო შთაბეჭდილებას, რომელიც რჩება ყველას, ვინც ამ ქარხნებს დაათვალიერებს. თუ არ შევეხებით წარმოების მაღალ თვითღირებულებას, რომელიც ქარხნის მოქმედების გარეშე მდებარე მეტად რთულ ეკონომიურ ფაქტორებზე არის დამოკიდებული, —უნდა აღვნიშნოთ, რომ წარმოება აქ არა თუ სავსებით აღდგენილია, არამედ მიღწეულია მრავალი სხვადასხვა გაუმჯობესება. უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე სრული მოწესრიგება ნარდად მუშაობის, სამუშაო ხელფასის და მმართველობის საკითხებისა.

ნარდად მუშაობა სავსებით არის გატარებული; სამუშაოთა განკვეთების შეფასება უმტკივნეულოდ და ადვილად ტარდება ცხოვრებაში და არ იწვევს არც კონფლიქტებს (რაც ჩვენში ხშირია), არც ზედმეტ ლაპარაკს.

და როდესაც დაფიქრდებით ამაზე— დაინახავთ თუ რამდენად ჩამოვრჩით **ჩვენ რუსეთს მმართველობის აღდგენის პროცესში, რომელიც ყოველივე წარმოებისათვის მთავარი და უპირველესი საქმეა.**

ყველა ზემოაღწერილ ქარხნებში აღმოფხვრილია ზედმეტი ბჭობა და უთანხმოება. თავის საქმის ადმინისტრატიულ სფეროში და დაწესებულ ტეხნიკურ განრიგების ფარგლებში ქარხნის ან მისი განყოფილების სათავეში დაყენებული სპეციალისტი სრულუფლებიანი და ერთად ერთი მმართველი და განმკარგულებელია და პასუხს აგებს მხოლოდ ტრესტის გამგეობის წინაშე.

ყველა ის უთანხმოებანი და შეხლა-შემოხლა, რომელსაც აქნობამდი ადგილი აქვს ამ სფეროში ჩვენში, და რომელიც აქამომდი გზას უხნევს ჩვენ მრეწველობას და ჩვენ აღმშენებლობას, იქ სრულიად ამოწურულია და დავიწყებულიც; ყველაფერი ეს ანაქრონიზმად და „საყმაწვილო ავადმყოფობად“ არის აღიარებული. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ყოველივე ეს გატარებულია ცხოვრებაში იმ რაიონში, სადაც რევოლიუციის პირველ წლებში ტეხნიკოს-სპეციალისტთა უმრავლესობას არსებულ ხელისუფლებისადმი აშკარა საწინააღმდეგო პოზიცია ეჭირა, რასაც არ ჰქონია და არც ეხლა აქვს ადგილი ჩვენში.

ხალხის ცხოვრებაში გარდატეხა მოხდა. ეს გარდატეხა ყველასათვის ნათელი შეიქნა და რამდენადაც რუსეთის პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრების პასუხისმგებელი ხელმძღვანელნი დარწმუნდნენ ტეხნიკურ წრეების საამშენებლო და სამრეწველო ფრონტზე კეთილსინდისიერად მუშაობის სურვილში—უკანასკნელთ თანდათან მიეცათ ნამდვილი საშუალება მუშაობის განვითარებისა და წარმოების თავის ხელში აღებისა.

ამ თვალსაზრისით ქარხნების ხელმძღვანელი პერსონალი საუკეთესო შთაბეჭდილებას ახდენს: საქმიანობა, დისციპლინა და საქმისადმი სრული თავგამოდება—აი, რასაც გრძნობთ მათთან ლაპარაკის დროს.

ყოველივე ეს, რასაკვირველია, დამოკიდებულია იმ საერთო პოლიტიკაზე, რომელსაც ამ სფეროში აწარმოებენ რუსეთის ცენტრალური პასუხისმგებელი ორგანოები. ეს მდგომარეობა დაკავშირებულია აგრეთვე იმ სწორ სახელმძღვანელო ხაზთან, რომელიც აირჩიეს ტრესტებმა, რომელთა სათავეში ცნობილი სახელმწიფო მოღვაწენი სდგანან.

ამის შედეგი კი არის: შრომის სრული დისციპლინა სამუშაოზე და ჩვენში სამწუხაროდ ხშირად ცნობილი „სკლოკ“-ების და გაუგებრობათა გაქრობა.

ამის დამწერი კარგად იცნობს ლენინგრადის რაიონს და გასაგებად მიაჩნია, რომ ამ მსხვილ მრეწველობის რაიონში, სადაც მრავალია რიცხვი მაღალი კვალიფიკაციის და საერთოდ კვალიფიციურ მუშა-ხელოსნების, უფრო ადვილია წარმოების სალი მმართველობის ორგანიზაცია, ვინემ ჩვენს გლეხურ ქვეყანაში, მაგრამ შეუძლებელია მეტის-მეტი ჩამორჩენაც მმართველობის აღდგენის პროცესში, ვინაიდან ამას მეტად უარყოფითი გავლენა აქვს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაზე.

ლენინგრადის ქარხნებში ამ საქმის მდგომარეობის გაცნობის შემდეგ გვებადება ბუნებრივი სურვილი, რათა დაჩქარებით და სავსებით მოწესრიგდეს ეს საკითხი ჩვენშიაც და ჩადგეს სალ კალაპოტში ტეხნიკურ-ადმინისტრატიული ხელმძღვანელობა.

ეს აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, ვინაიდან მხოლოდ უფლებათა და მოვალეობათა მიზანშეწონილ განაწილებით, მომზადებულ პირების ცოდნა-გამოცდილების სწორი გამოყენებით და მუშათა მასაში ტეხნიკურ-ადმინისტრატიულ დარგში მომუშავეებისადმი ზედმეტ ეჭვიანობის და უადგილო უნდობლობის გაქრობით—შეიძლება გაჯანსაღება და აღორძინება ჩვენი ეკონომიური აღმშენებლობისა.

ინჟინერი ბეს. ჭიჭინაძე.

მეცნიერება და ტეხნიკა

ინგლისის დირიჟაბლი „R 101“

კარდინგტონში, ბედფორის ახლო (ინგლისში) შენდება დირიჟაბლი, რომელიც არა მარტო უდიდესი იქნება მთელს მსოფლიოში, არამედ ორიგინალურიც თავისი კონსტრუქციით. დირიჟაბლი გამოყენებული იქნება არა მარტო მშვიდობიანი დროისათვის, არამედ საომრადაც. მის სასადილო ოთახში შეიძლება მოეწყოს პატარა საავადმყოფო, სალონში—საოპერაციო ოთახი.

დირიჟაბლი ამავე დროს წარმოადგენს ავიო-სადგურს: მასზე მიმაგრებულია 6—7 სამხედრო აეროპლანი თავდაცვისა და დაზვერვის მიზნით.

დირიჟაბლს აქვს 7 მოტორი, 600 ძალიანი თითო.

დირიჟაბლის სიგრძე უდრის 216 მეტრს, სიმაღლე—43 მეტრს, დიამეტრი—39 მეტრს. სისწრაფე—112 ვერსი საათში. მთელი დირიჟაბლი იწონის 155 ტონას (ტარა 62 ფ., დირიჟაბლი მზად იქნება 1926 წლისათვის. კარდინტონში ამ დირიჟაბლისათვის შენდება მისაბმელი ანძა, რომლის სიმაღლე უდრის



54 მეტრს. გამოანგარიშებულია, რომ „R 101“ გადაფრენას ინგლისიდან ეგვიპტეში დასჭირდება 2 ნახ. დღე, ინდოეთში—5-6 დღე, ავსტრალიაში—10 დღე, კაპშტადტში (სამხრეთ-აფრიკა)—ხუთნახევარი დღე, კანადამდი—3 დღე. დირიჟაბლს შეუძლია 100 კაცის წაყვანა.

ყველაზე ორიგინალური ამ დირიჟაბლში ის არის, რომ მასზე მიმაგრებულია რამდენიმე სამხედრო აეროპლანი, რომლებიც შორდებიან მას და როცა საჭირო გახდება ისევ მიამაგრებენ დირიჟაბლზე სპეციალური მარყუჟის საშუალებით.

ასეთი სამხედრო ჰაეროპლანი დირიჟაბლზე მოთავსებულია 6. როცა საჭიროა ჰაეროპლანის გაშვება, მას დაუშვებენ ქვევით განსაკუთრებული მარყუჟით, რომელიც ავიატორის ნიშანზე „იშლება“ და ანთავისუფლებს ჰაეროპლანს. როცა ჰაეროპლანი დავალებას შეასრულებს, დირიჟაბლიდან კვლავ უშვებენ მარყუჟს. ავიატორი ამაგრებს მას ჰაეროპლანის ფრთაზე და ჰაეროპლანს კვლავ ამაგრებენ დირიჟაბლზე.

ორშაბათს, 16 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, თბილისის ალ. მასკომის შენობაში დანიშნულია თბილისის საბჭოს შემდეგი სექციების მორიგი სხდომა.

კომუნალურის (ალმასკომის დარბაზში)

დღის წესრიგი:
1) საინფორმაციო მოხსენება ყინვების შედეგების შესახებ;
2) მიმდინარე საკითხები.

საფინანსოსი (ოთახი № 17)

დღის წესრიგი:
1) მოსკოვის საფინგანში დაყენებულ მუშაობის შესახებ საინფორმაციო მოხსენება;
2) მიმდინარე საკითხები.

განათლების (ოთახი № 62)

დღის წესრიგი:
1) წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის დარგში ნაწარმოებ მუშაობის შესახებ;
2) მიმდინარე საკითხები.

ჯანმრთელობის (ოთახი № 57)

დღის წესრიგი:
1) ჯანმრთელობის განყოფილების მიმდინარე 1924 | 25 წლის ხარჯთ-აღრიცხვის გაცნობა სექციისთვის.
2) მიმდინარე საკითხები.

საადგილ-მამულო (ოთახი № 66)

დღის წესრიგი:
1) მიწის მზომლების და მიწის მოწყობის საკითხი თბილისის მაზრაში 1925 წლის განმავლობაში.
2) მიმდინარე საკითხები.

შაჭესის (შაჭესის კანცელარიაში)

დღის წესრიგი:
1) სამუშაოთა აღრიცხვის ნაწილის მოხსენება ნაწილის მუშაობის შესახებ;
2) მიმდინარე საკითხები.

დასწრება ყველა წევრთა სავალდებულოა.

ნ. 803—2—2 **პრეზიდიუმი.**

ქრონიკა

ამხ. პუგაჩოვის დანიშვნა.

საკავშირო სამხედრო რევოლუციონური საბჭოს ბრძანებით კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სარდალი ს. ა. პუგაჩოვი დანიშნულია მუშურ-გლეხური წითელარმიის შტაბის უფროსის მოადგილედ.

კავკასიის წითელდროშოვანი არმიის ახალი უფროსი.

იმავე ბრძანების თანახმად დასავლეთის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსი ავგუსტ ივანეს ძე კორკი დანიშნულია კავკასიის წითელდროშოვანი არმიის უფროსად.

საქართველოს წითელი ჯვრის ყრილობა.

უკრაინის წითელი ჯვრის მთავარმა კომიტეტმა მიიღო საქართველოს წითელი ჯვრის ცენტრალური კომიტეტის მიპატიჟება ს. წ. ჯვრის სრულიად საქართველოს ყრილობაზე დასწრების შესახებ და თავის წარმომადგენელს გზავნის ამ ყრილობაზე.

ბაზარზე

შაბათობით ბაზარს ყოველთვის ნაკლები სიცოცხლე ეჩნევა. ფასები კლებულობს იმის გამო, რომ კვირისათვის სოფლებიდან მოლიან გლეხებს, რომლებიც უხვად ჩამოიტანენ იაფ პროდუქტებს. დიასახლისებიც იჩენენ შორსმჭვრეტელობას და კვირისათვის სდებენ პროდუქტების ყიდვას. ამით აიხსნება ის, რომ კვერცხის ფასი ათი შაურიდან დაეცა ორ აბაზამდე; კარგი, მსუქანი ქათამი ღირს ექვსი აბაზი —მანეთნახევარი.

დღითი-დღე იაფდება თევზი. 8—10 კაპეიკად იყიდება თითო ცალი დამარილებული თევზი. კობრის ფასი უცვლელია, ხრამული გაიაფდა: ღირდა სამი აბაზი, ეხლა ღირს ცხრა შაური. მტკიცე ფასია ორაგულზე, ჰყიდიან სამ აბაზად.

ამ სეზონში პირველად შეხვდებით მწვანილებთან მცირე რაოდენობით სტაცურს, მაგრამ უზომოდ ძვირია — ხუთი შაური ღირს პატარა შეკვრა. სამაგიეროდ ბევრია და იაფი ნიახური და სხვა დანარჩენი მწვანილეული. ორი კაპეიკით გაძვირდა კომბოსტო, გირვანქას ჰყიდიან 10 კაპეიკათ. კარტოფილის ფასი არ შეცვლილა, 4 კაპეიკი ღირს გირვანქა. გირვანქა ხახვი კი შაური.

— **დამზღვევ კასის** გასავალი იანვარში უდრის 179,643 მან. და 45 კაპ.

— **უმუშევართა აღრიცხვა.** 16 თებერვლიდან დაიწყება გემო-კვების, სახალხო კვების და ქიმიკოსთა სექციების დაზღვეულ უმუშევართა ხელ-ახალი აღრიცხვა. აღრიცხვაზე უნდა გამოცხადდენ ის პირნი, რომელთა გვარები იწყება ა, ბ, გ, დ, ე და ვ.

— **კოლოფების დამამზადებელთა შრომის კოლექტივი.** საქ. შრ. კოლექტივების გამგეობა აწარმოებს საათფთიაქო კოლოფების დამამზადებელ კოლექტივის გაფართოების საქმეს.

— **მ.-გ. ინსპექციამ** ზუგდიდის, სენაკის და სვანეთის მაზრების საზღვრების გამომრკვევ კომისიაში დანიშნა თავის წარმომადგენელი.

— **აჭარის სატყეო** სააქციონერო საზოგადოების გამოკვლევა საქ. მ.-გ. ინსპექციამ დაავალა თავის რწმუნებულს აჭარაში ამხ. თავდიშვილს.

— **აფხაზეთში, აჭარაში და სამხრეთ ოსეთში** ამ ჟამად ირიცხება 18,000 ოჯახი ფუტკარი.

— **სოფლის მეურნეობა.** ამ ჟამად საქართველოში ირიცხება 53 აგროპუნქტი, ამდენივე სპეც-აგრონომით.

— **მიწა-ტყის კავშირის** დავალებით ინჟინერი ფირცხალაიშვილი საქ. სახ. მამულებში სატყეო მეურნეობაზე წაიკითხავს პოპულიარულ ლექციებს.

— **სასკოლო-სანიტარული ექიმები.** თბ. აღმასკომის დადგენილებით მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში დაკმაყოფილებული უნდა იქნენ ადგილობრივი თანხებით.

— **პროფილაქტიური სკოლის გახსნა.** თბ. აღმასკომმა გადასწყვიტა გახსნას პროფილაქტიური სკოლა. დაარსების საკითხის შესასწავლათ გამოყო კომისია ამხ. ამხ. ქაცარავას, გავაშელის და გაბულიას შემადგენლობით.

— **მუშათა საბინაო კოოპერაციის** მდგომარეობის მუშაობასთან გასაცნობათ და კოოპერაციის სხვადასხვა საკითხების მოსაგვარებლათ თბ. აღმასკომმა დაადგინა შეადგინოს კომისია პროფკავშირის, შრ. კომისარიატის, საფინგანის და კომუნალურ განყოფილების წარმომადგენლებისაგან.

— **„მეცნიერება და ტეხნიკა“** თბ. აღმასკომმა დაადგინა აღმასკომის ორგანო „მოამბე“-ში შემოიღოს განყოფილება „მეცნიერება და ტეხნიკა“-ს სათაურით.

— **მუშათა ბინების შესაკეთებლად.** თბ. აღმასკომმა დაადგინა მუშათა საბინაო კოოპერატივს ყოველთვიურად აძლიოს 1500 მან.

— **ა. კ. კოოპერაციის ინსტრუქტორთა თათბირი,** რომელიც უნდა შემდგარიყო დღეს, შესდგება 5 აპრილს.

— **წყალდიდობისაგან დაზარალებულთა** დამხმარე საზოგადოების ა. კ. კონფერენცია შესდგება თებერვლის რიცხვებში თბილისში.

— **აფხაზეთის** სასოფლო ბანკმა მეთამბაქოეთა კავშირს გადასცა 250,000 მან. მეთამბაქოთათვის დასარიგებლად.

— **მომუშავე ტრამვაის ვაგონების რიცხვი.** ამჟამად თბილისის ყველა ხაზებზე მუშაობს 102 ვაგონი, აქედან 88 სამგზავროა, მათ შორის 66 მატორიანი და 22 მისაბმელი.

— **დამზღვევ სალარომ** დაადგინა განსაზღვროს ტვირთმზიდავთა სექციის წევრთა სტაჟი, რის შემდეგ წევრებს დაენიშნებათ პენსიები.

— **საექიმო პერსონალის** უფლება-მოვალეობის შესახებ საქ. ჯანმრთელობის კომისარიატმა შეიმუშავა სათანადო დებულება.

— **ინვალიდთა კოოპერაცია.** ცაკავშირთან არსებულ ინვალიდთა კოოპერაციის სექციას აღრიცხვაზე ჰყავს ინვალიდების 23 არტელი.

— **საინსტრუქტორო აპარატის დაარსება.** ადგილკომების სოც. დაზღვევის საკითხებთან გასაცნობათ, მათთვის ინსტრუქციების მისაცემათ და სოც. დაზღვევის საკითხებზე მოხსენებების გასამართავათ თბ. დამზღვევ სალარომ დაადგინა დაარსოს საინსტრუქტორო აპარატი.

— **ტრამვაის რონოდების ხელახალი დანომვრა.** ტრამვაის სამმართველომ გადასწყვიტა ახლო ხანში ტრამვაის რონოდები დანომროს მიყოლებით 1-ლ №-დან 15-მდე.

— **თბილ. ტრამვაის ყოფილ მენშევიკ მუშა-მოსამსახურეთა და უპარტიოთა საერთო კრება.** ორშაბათს, 16 თებერვალს, საღამოს 5 საათზე შესდგება თბილ. ტრამვაის ყოფილ მენშევიკთა და უპარტიო მუშა-მოსამსახურეების კრება. მოხსენებას გააკეთებს მუშათა კომისიის წარმომადგენელი შემდეგ თემაზე: „წარსული წლის აგვისტოში მომხდარი ამბები და ჩვენი ამოცანები“.

— **ჩაუბარებელი დეპეშები.** 1. ბათომიდან ჩაჩავას, 2. ოდესიდან—სვიროდვოის, 3. ხარკოვიდან—სეგალიუს, 4. მოსკოვიდან—მიტელს, 5. მოსკოვიდან—დუჩინეგს, 6. სუფსიდან—ჩხარეიშვილს, 7. გერიუსიდან—ტრუტმანცს, 8. კრასნოდარიდან—მირაკიანს, 9. არმავირიდან—კურაკუს, 10. ბათომიდან—ანდრაზოვს, 11. სადახლოდან—კონოვალოვს, 12. სიმფეროპოლიდან—პრომტრესტს, 13. ლენინოკანიდან—ალიხანოვს, 14. ბათომიდან—დიტმანს.

ხელოვნება

ვილიამ დორიანის გასტროლები.

„რიგოლეტო“

როდესაც ამა თუ იმ მსახიობს ეწყობა გასტროლიორის სახელწოდება და მის გამოსვლას წინ უძღვის ფართო რეკლამა, როგორც ჩვენ ახლა ვხედავთ ვილიამ დორიანის მიმართ,—საზოგადოება, რომელიც უჯერებს რეკლამას, მოელის განსაკუთრებული ნიჭის მსახიობს და მას ავიწყდება, რომ დიდი მსახიობი არასოდეს არ საჭიროებს რეკლამას.

ტენორი დორიანი გამოცხადებულია საქვეყნოდ ცნობილ მსახიობად, ნამდვილათ კი მას საშუალო სიძლიერის ხმა აქვს, თუმცა მისი სკოლა საუცხოვოა (მისი სუნთქვა, ლეგატო — განსაკუთრებულია); დორიანის ხმა ვერ არის საკმაოთ მოქნილი, სიმღერაში ცოტაა ნიუანსები, მეტათ ლამაზია საშუალო რეგისტრი, მაგრამ მაღალი რეგისტრი ვერ არის მტკიცე, აქ ყველგან ისმის დეტონაცია—რაც აკარწყლებს შთაბეჭდილებას.

სიმღერაში არ არის საკმაო ტემპერამენტი, არ სჩანს ხმოვანების თანდათანობითი გაძლიერება ემოციონალურ და პათეტიურ ადგილებში. ხმა ყელის ხასიათისაა, მაგრამ საუცხოვო სკოლა უკანა პლანზე აყენებს ამ ნაკლს.

შესრულების სცენიური მხარის შესახებ ჩვენს აზრს გამოვსთქვამთ იმის შემდეგ, როდესაც მომღერალი გამოვა ისეთ პარტიებში, სადაც დრამატიული მხარე უფრო ინდივიდუალურია, ვიდრე ჰერცოგის ტრაფარეტულ საოპერო პარტიაში.

მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენის მთელი ინტერესი დორიანის გამოსვლაში მდგომარეობდა,—საზოგადოება მეტათ მხურვალეთ შეეგება პოპოვას (ჯილდა), ალექსაშინს (რიგოლეტო) და ისეცკის (სპარაფუჩილე). სამივე ისინი სერიოზული მოთხოვნილების სიმაღლეზე იდგენ.

ბლაგომრაზოვი საუცხოვოთ მღერის, მაგრამ მიზანსცენებში სათანადოთ ვერ უჭირავს თავი (პირველი აქტი).

პ. ბ.

— **ქართულ მუშფაკის ლიტწრეში,** კვირას, 15 თებერვალს, დილის 11 საათზე, შესდგება წრის მორიგი მეცადინეობა, მოხსენებას თემაზე: „ლიტერატურული თანამედროვეობა და პროლემაფი“ გააკეთებს ამხ. პ. ქიქოძე.

— **ტყავტრესტის მუშების პროლემაფის უჯრედში,** კვირას, საღამოს 4 ს. შესდგება სხდომა. პროლემაფის წარმომადგენელი გააკეთებს მოხსენებას „პროლემაფი და მისი მუშათა უჯრედები“. მოხსენების შემდეგ გაიმართება საღამო. დაიდგმება წრის ერთ-ერთ წევრის ორიგინალური პიესა ავტორის მონაწილეობით.

— **პოლევიცკაიას უკანასკნელი გასტროლი.** დღეს რუსთაველის თეატრში გაიმართება პოლევიცკაიას უკანასკნელი გასტროლი. წარმოდგენილი იქნება: „მე ასე მსურს“, კომედია 3 მოქ.

— **„დაისი“.** დღეს სახელმწიფო ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისი“.

— **„ჯანყი გურიაში“.** დღეს წითელ თეატრში წარმოდგენილი იქნება „ჯანყი გურიაში“, დადგმა წუწუნავასი.

— **ვიტალიო ლაზარენკოს** უკანასკნელი გასტროლი გაიმართება დღეს ცირკში, გრანდიოზული პროგრამით.

— **ახალი თეატრი.** დღეს (ყოფილ „პალას ოტელის“ დარბაზში კინო „არფასტოს“ ქვეშ) გაიმართება ახალი თეატრი—სატირა ინტერმედია, სტროევის ხელმძღვანელობით.

— **ქართველ მსახიობთა** კოლექტივის მიერ ოთხშაბათს, 18 თებერვალს, ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება „მწვანე თუთიყუშები“ და „ხუთი ცოლის ქმარი“.

დღეს კინოებში:

— არფასტო—„როზიტა“.
— აპოლო—„ფოლადის წეროები“.
— სოლეი—„სიკვდილის მარყუჟი“.
— მინიონ—„მოცეკვავე ქალი ბროდვეიდან“.
— პალას—„ორი სიყვარული“.
— აისი—„სმარაგდა ნაბურენ“.
— თვითმფრინავი—„გაახალგაზრდავება“.
— ოაზის—„ცირკის მეფე“.

მასწავლებლობა უახლოვდება მშრომელ მასას და ხელისუფლებას

სამაგალითო მასწავლებელი

მასწავლებლობა, რომელიც ზრდის მომავალ თაობას, სასკოლო აღზრდა უნდა დაუკავშიროს საზოგადოებრივ ცხოვრებას. თვით მასწავლებელი აქტიური მონაწილე უნდა იყოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრების..

აი ამის გამამართლებელ ერთ-ერთ მასწავლებლად ითვლება ქუთაისის მაზრაში ამხ. ვასო მამაგეიშვილი, დიდჯიხაიშის 9 წლიან შრომის სკოლის გამგე.

ის არ კმაყოფილდება მარტო გაკვეთილებით: აწყობს საუბრებს მოწაფეთა შორის. სკოლაში არის სამკითხველო, ჟურნალ-გაზეთების გავრცელება, საუცხოვო წესრიგი და საქმიანი, ახალი ხელი ეტყობა სკოლას. არ არის არავითარი ანორმალობა, რასაც წინეთ ჰქონდა ადგილი.

მრავალთა შორის, რა მოხიბლავი, ფრიად მნიშვნელოვანი იყო 21 იანვარს ამხ. ვასოს ხელმძღვანელობით, ლენინის შესახებ საუბრები მასწავლებლების მიერ ჩატარებული (მოწაფეთა შორის).

სკოლაში აშკარად ხედავთ ოქტომბრის წითელ სხივების შეჭრას.

ამხ. ვასოს მჭიდრო კავშირი აქვს კომკავშირთან, ადგილობრივ ხელისუფლებასთან. მუშაობს საბჭოში და მხურვალე მონაწილეობას ღებულობს სოფლის საქმეებში, განსაკუთრებით კულტურულ სფეროში.

ყოველივე ეს ამტკიცებს, რომ [illegible] მოხდა ცხოვრებაში [illegible]—მასწავლებელთა ყრილობათა დადგენილებების.

ქება და მადლობა სამაგალითო მასწავლებელს, ამხ. ვასოს.

როგორც ამხ. ვასოს, ისე ყველა ამგვარ მასწავლებლებს [illegible] დაეყრდნობა საბჭოთა ხელისუფლება, მშრომელი ხალხი.

შ. ფრანგი.

მასწავლებლობა და გლეხები

(წერილი სენაკიდან).

მასწავლებლობა მშრომელი ხალხის განათლების ხელმძღვანელია.

დაუახლოვდეთ მასას, შევიდეთ გლეხის ქოხში—აი დღევანდელი ლოზუნგი, რომელიც პირნათლად უნდა შეასრულოს მასწავლებლობამ. ამისი პირველი ნიშნებიც არის.

სენაკის მაზრის, ს. ჯოლევის სკოლის მასწავლებლები კონდრატე ყურაშვილი და ეპიფანე ყურაშვილი—სენაკის მაზრის მასწავლებლებში სდგამენ პირველ ნაბიჯს ამ მხრივ.

ისინი მოხერხებულად არჩევენ დროს, ესწრებიან საზოგადო კრებებს, ებმებიან საზოგადოებრივ მუშაობაში, უახლოვდებიან გლეხობის მასას და ხელისუფლებას.

კრების შემდეგ ს. ჯოლევის სკოლაში თავმოყრილ გლეხებს ხსენებულმა მასწავლებლებმა გაუმართეს საუბარი: 1—ძველი ქვეყნები და მათი რელიგიური ვითარება, 2—რანი ვიყავით წარსულში და რა ვართ ეხლა. პირველი წაიკითხა კონ. ყურაშვილმა და მეორე კი ეპ. ყურაშვილმა.

ხალხი ძლიერ დაინტერესა ასეთმა საუბარმა და მათ სთხოვეს მასწავლებლებს, რომ ხშირად გამართონ ასეთი საუბარი...

მისაბაძია ეს მაგალითი!

ბ. უჩანეიშვილი.

მუშათა ცხოვრება

ჩვენი აფთიაქები ვერ სდგანან თავის სიმაღლეზე

(ჯანსახკომის საყურადღებოდ)

საქართველოში დღეს ხალხის საექიმო დახმარების საქმე ვერ სდგას თავის სიმაღლეზე. მაგ., აფთიაქები ხალხის ელემენტარულ მოთხოვნილებასაც კი ვერ აკმაყოფილებენ. დღევანდელი აფთიაქები მეტად ღარიბია საჭირო ინვენტარით. რის გამოც წამლის მომზადებაში ხშირად შეცდომას აქვს ადგილი. ამას კი სასიკვდილო შედეგი მოაქვს. უნდა ვამოინახოს საშუალება, რომელიც გააუმჯობესებს ამ ვარემოებას. საჭიროა წამლის ნიხრის ცოტათი მაინც გადიდება, რომ აფთიაქს შეეძლოს ინვენტარის შევსება. ამასთან კიდევ საჭიროა გაუმჯობესდეს ფარმაცევტთა ეკონომიური მდგომარეობა, რომ მთელი მათი ყურადღება მიქცეული იყოს წამლის მომზადებაზე და არა ლუკმაპურის შოვნის ფიქრებზე.

საჭიროა ყველა ამას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია მეტი საფრთხე, ვინამ დღემდე ყოფილა.

ინფ. ისარი.

როდის მოგვცემთ შრომის ხელფასს

ამხ. სერგო მეგრელიშვილმა დიდად სიმპატიური და საპასუხისმგებლო საქმე იკისრა—ეს არის საჯევახო-ჩოხატაურის გზაზედ „საყორნიის“ წყალდიდობიდან წალეკილი გზის აღდგენა. თავის დროზედ გაზეთები ერთსულოვნად [illegible] ამ საქმეს, სწორედ ამან გამოიწვია ის, რომ საჯევახო-ჩოხატაურიდან ულარიბესი მუშები მოაწყდენ ამ ადგილას სამუშაოდ.

გაკეთდა უდიდესი საქმე. თუმცა ოთხი თვე გავიდა, რაც მუშაობა შესრულდა, მაგრამ მათ დღემდის არ მიუღიათ შესრულებული მუშაობის ნახევარი ქირაც კი.

საინტერესოა, ვიცოდეთ, ვინ პატრონობს დღეს ამ გზას—კერძო პირი, თუ სახელმწიფო.

ყოველ შემთხვევაში საჭიროა მუშებს დროზედ აუნაზღაურონ თავიანთი ნამუშევარის ჯილდო.

მუშების დავალებით ჰიკ. შანიძე.

საწამოო კომისია მუშაობს

ოკ. გზ. საუბნო კავშირის შენობაში მთავარ სახელოსნოს უფროსმა ამხ. მაისუროვმა გააკეთა მოხსენება; მოხსენებას დაესწრნენ რკინისგზის უფროსი ივანოვი, მთავარ სახელოსნოს ადმინისტრაცია და მუშებიც. მომხსენებელმა აღნიშნა წარმოების წარმატებითი წინმსვლელობა და მისი დეფექტებიც. მან უმთავრესად ხაზი გაუსვა იმას, თუ რა დიდი ცვლილება მოახდინა ნარდ სამუშაოზე განსაზღვრის პრინციპის შემოღებამ.

თუ წინა თვეებში საშუალოდ ნარდი საქმის ხელფასი განისაზღვრებოდა 50 პროც., ეხლა კი ის აღწევს 125 პროცენტს. შრომის ნაყოფიერებამაც ასეთი ცვლილება მიიღო: თუ წინეთ 4 ორთქლმავალს აკეთებდენ თვეში, ეხლა 5—6 აკეთებენ ჩვენი მუშები. წარმოება ეხლა უფრო წინ არის, ვიდრე 1913 წელს იყო.

მუშების მდგომარეობა კი ასეთია: 1913 წ. მათი საშუალო ხელფასი უდრიდა 62 მანეთს, ეხლა კი ის უდრის 57 მანეთს. მაშასადამე 1913 წლის საშუალო ხელფასთან შედარებით დღეს მუშები იღებენ 92 პროც. მომხსენებელმა თავის ცნობები ციფრებით დაამტკიცა.

მოხსენების შემდეგ იყო შეკითხვები; გაიმართა კამათი, რაზედაც მომხსენებელმა ყველას სათანადო პასუხი გასცა. მოხსენებამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე მუშებზე. ამის შემდეგ მოხსენება გააკეთა „შმო“-ს თავმჯდომარემ, რაც ჩვენი მუშებისთვის ჯერჯერობით უცხო ხილია.

მუშა მექვაბე.

გამოგზავნილი წერილებიდან.

მეტი ენერგია, მეტი სიყვარული საქმისადმი!

(რკ. გზის სამმართველოს და პროფკავშირის საყურადღებოდ).

რკ. გზ. მთავ. სახელოსნოს სამჭედლო საამქროს რკინის სახარშავ საყალიბოს მუშების მდგომარეობის გაუმჯობესება აუცილებლად საჭიროა (ტანისამოსით მაინც). ადმინისტრაცია ჯეროვნად ვერ ასრულებს თავის მოვალეობას. საჭიროა ადმინისტრაციისაგან მეტი ყურადღება და სიყვარული საქმისადმი. აქ ფრიად მძიმე მუშაობა სწარმოებს, მუშებს კი ნაკლები ყურადღება ექცევათ.

მუშა შორეული.

ლოთებს ქუჩებში ნუ გამოუშვებთ.

(მთ. მილიციის საყურადღებოდ).

ხშირად ხდება, რომ მთვრალებს უწესრიგობა შეაქვთ ხალხში. უმიზეზოდ ლანძღავენ და შეურაცყოფას აყენებენ წყნარ მოქალაქეთ. სასტიკი ზომები ლოთების წინააღმდეგ. ასეთი ლოთები ხშირად დაიარებიან ქუჩებზე და მოსახლეობის მყუდროებას არღვევენ.

მუშა ლანტკურელი.

კონტრაბანდას შეებრძოლეთ!..

ჩვენში კონტრაბანდა ფართოდაა ფეხმოკიდებული. თუმცა მის წინააღმდეგ ზომები არის მიღებული, მაგრამ საზღვარ-გარეთიდან მაინც შემოდის ბევრი საქონელი ნებადაურთველად, კონტრაბანდად, რაც ჩვენი ბაზრისათვის მავნებელია.

საჭიროა უფრო ფხიზელი და სასტიკი თვალყურის დევნა.

მუშკორი ლეხი.

სასადილო ადგილობრივ უნდა დასტოვოთ.

(ქ. აღმასკომის საყურადღებოდ).

მე-30 შრომის სკოლას ჰქონდა სასადილო, რაც დიდ შეღავათს აძლევდა მუშის შვილებს. ახლა ეს სასადილო სკოლიდან კარგა მოშორებით გადაიტანეთ და ბავშვები ვერ შესძლებენ იქ სიარულს.

საჭიროა მიაქციოთ ყურადღება.

მუშა ქალი ე. ციორგაძე

[illegible] წყალი

(ქალ. აღმ. საყურადღებოდ)

1-ლ ლეგიონი ქართული მსროლელი დივიზია აუტანელ მდგომარეობაში უწყლობის გამო. საჭიროა წითელ ჯარს წყალი და სინათლე მიეცეს უფასოდ. მუშკორი ხვანიძე.

მოგვაშორეთ როსკიპი ქალები

(სამტრედიის მილიციის საყურადღებოდ).

ქალაქ სამტრედიაში, რკ. გზის სადგურთან თავს იყრიან როსკიპი ქალები, რომლებიც ეწევიან უზნეობას და ხალხში ავრცელებენ ვენერიულ ავადმყოფობებს.

საჭიროა ამას მიექცეს ჯეროვანი ყურადღება. ინფ. გეომეტრი.

ფაბრიკა-ქარხნებში

სპილენძის სატკეცი ქარხანა

მუშების მდგომარეობა

ჯამაგირები ეხლა, შედარებით წარსულთან, წესიერად ეძლევათ. რაც შეეხება სხვა რამეებს, მდგომარეობა უცვლელია: სრული 2 წლის განმავლობაში არ მიუღიათ სპეც-ტანისამოსი და მე-4 თვეა—სპეც-საპონი. არ მიუღიათ აგრეთვე სპეც-ფეხსაცმელები, რომელიც ეკუთვნით მძიმე სამუშევრის მუშებს.

წ. კ. უცოდინარობა თანდათან ისპობა, ამ ჟამად ქარხანაში 2 თუ 3 მუშაა, რომლებმაც არ იციან წერა-კითხვა.

წარმოება.

ნედლი მასალა ამ თვის საყოფია კიდევ და თუ დროზე არ იქნა მიღებული სათანადო ზომები—მომავალ თვიდან, როგორც წარმოებას, ისე თვით მუშებს საფრთხე მოელით.

იანვარში ქარხანამ გამოიმუშავა 1.227 ფუთი სპილენძი 19 სამუშაო დღის განმავლობაში.

საწარმოო თათბირი შეიკრიბა მხოლოდ ერთხელ; განზრახული იყო რამდენჯერმე კიდევ შეკრებილიყო. მაგრამ ხელი შეუშალა იმ გარემოებამ, რომ ხან პროფკავშირის წარმომადგენელი არ დაესწრო, ხან რაიკომის და სხვა.

მოთხოვნილება დიდი აქვთ.

მოთხოვნილება იმდენია ნაწარმოებზე, რომ წარმოება ვერ აკმაყოფილებს მას ნედლი მასალის უქონლობის გამო. ეხლა ასრულებენ რკ. გზების მთავარ სახელოსნოს ყველაზე დიდ შეკვეთას.

კოლხელშეკრულება

კოლხელშეკრულება ჯერ არ არის განახლებული, რადგან განზრახულია ქარხანა გააერთიანონ მექანიკ-საარტილერიო ქარხანას (არსენალი), რომლის გატარების შემდეგ დაიდება ახალი ხელშეკრულება.

ზედმეტ საათებში მუშაობას ქარხანაში იშვიათად აქვს ადგილი. ეს მხოლოდ ხდება განსაკუთრებულ პირობებში.

მუშებს გამოწერილი აქვთ და მოსდით ყველა ადგილობრივი გაზეთები.

ვინაიდან შენობა არ აქვთ, საკლუბო მუშაობაში გაერთიანებული არიან მეღითონეთა კავშირის საერთო კლუბთან, აქვე აქვთ მოწყობილი „ლენინის კუთხეც“. ინფ. ტონკა

საქართველოს წითელი ჯვრის მორიგი ამოცანები

(წითელი ჯვრის საზოგადოების მეორე ყრილობისათვის)

1923 წ. იანვრის 14-ს მოხდა პირველი ყრილობა საქართველოს წითელი ჯვრისა. მან განიხილა საქმიანობა მენშევიკების დროს დაარსებულ წითელი ჯვრის საზოგადოებისა, გამოაშკარავა მისი სრული უმოქმედობა, მოახდინა საზოგადოების გადახალისება და აირჩია მისი ხელმძღვანელ ორგანოს ახალი შემადგენლობა, რომელსაც დაავალა საზოგადოების გაცოცხლება და ფართო მშრომელ მასებთან მჭიდროდ დაკავშირება.

ჟენევის კონვენციის საფუძველზე მომქმედ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას ცხოვრებამ დაუყენა გადასაჭრელად მთელი რიგი საკითხები, რომელიც წარმოშვა ახალმა აღმშენებლობამ მუშურ-გლეხურ ხელისუფლების დროს. საჭირო შეიქნა, რომ საზოგადოების შემადგენლობა სავსებით გადახალისებულიყო და იგი გამხდარიყო ნამდვილად მუშურ-გლეხური; საჭირო იყო, რომ თავის საქმიანობაში საზოგადოებას ნათელ ეყო, რომ მას აქვს უნარი დააკმაყოფილოს თავისი მოქმედების სფეროში მშრომელი მასსების აუცილებელი მოთხოვნილებანი.

საჭირო იყო, რომ საზოგადოების შემადგენლობაში წევრებად შესულიყო არა მარტო თბილისის მოსახლეობა, არამედ საქართველოს და მისი ავტონომიური ნაწილების მცხოვრებნი, რომ ამნაირად საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება გადაქცეულიყო ფაქტიურად სრულიად საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებად; საჭირო იყო, რომ შექმნილიყო მჭიდრო კავშირი საბჭოთა რესპუბლიკების ტერიტორიაზე მომქმედ ეროვნულ წითელ ჯვართა და წითელ ნახევარ მთვარეთა შორის, რათა ამ კავშირით მეტი სიძლიერე და ავტორიტეტი შეეძინა თითოეულ ეროვნულ წითელი ჯვრის ორგანიზაციის და ბოლოს, საჭირო იყო განსაზღვრული ურთიერთობის დამყარება საერთაშორისო წითელი ჯვრის კომიტეტთან, რომელთანაც შეთანხმებით უნდა იმოქმედოს წითელმა ჯვარმა და რომელსაც, როგორც ნივთიერად მძლავრ საზოგადოებრივ ორგანიზაციას, შეუძლია საგრძნობი ნივთიერი დახმარება აღმოუჩინოს საქართველოს წითელ ჯვარს თავის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების დროს.



საბჭოთა რესპუბლიკების წითელი ჯვრის თავმჯდომარეები

ზემოთ, მარცხნიდან მარჯვნივ—ამხ. ბორკუსევიჩი (ბელორუსია), ამხ. სოლოვიოვი (რუსეთი), ამხ. უგაროვი (უკრაინა) ქვევით, მარცხნიდან მარჯვნივ—ამხ. კამსარაკანი (სომხეთი), ამხ. კიკალიშვილი (საქართველო), ამხ. ალიევი (აზერბაიჯანი).

1923 წლის ყრილობა უნდა ჩაითვალოს დამფუძნებელ ყრილობად, ასე ვსთქვათ, საორგანიზაციო ყრილობად, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ქ. თბილისის მშრომელმა მასსამ.

სულ სხვა სურათს წარმოადგენს საქართველოს წითელი ჯვრის მეორე ყრილობა, რომელიც გაიხსნება დღეს. იგი გამომხატველია თითქმის მთელი საქართველოს ნებისყოფისა.

რა ამოცანები სდგას ამ ყრილობის წინაშე გადასაჭრელად?

გადახალისებულ წითელი ჯვრის საზოგადოების მიერ საორგანიზაციო მუშაობა თითქმის დასრულებულად უნდა ჩაითვალოს. ყრილობამ უნდა სავსებით გაითვალისწინოს ეს დამთავრებული საორგანიზაციო მუშაობა და თავისი ავტორიტეტული აზრი გამოთქვას მის შესახებ როგორც სათანადო შესწორებების შეტანით, აგრეთვე თავისი დასტურის მიცემით.

ამ საორგანიზაციო მუშაობაში, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს გეგმა წითელი ჯვრის საზოგადოების მუშაობისა ომიანობის და მშვიდობიანობის დროს. ომიანობის დროს წითელი ჯვრის საზოგადოების მოვალეობას შეადგენს საექიმო დახმარების გაწევა ბრძოლის ველზედ დაჭრილ და დასახიჩრებულ მეომართათვის, ზურგში საავადმყოფოების დაარსებით. მართალია, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ომის საშიშროებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს, რადგანაც მუშურ-გლეხური ხელისუფლება თავისი ბუნებით შეტევითი ომის წარმოებას არასოდეს არ იკისრებს, მაგრამ მიგერებითი ომი მოსალოდნელია. მთელი საბჭოთა კავშირი და მასში საბჭოთა საქართველოც მოწყვდეულია კაპიტალისტურ ქვეყნების რკალში, რომელთაც საომარი ენა, დროებით, [illegible] ენით შეცვალეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იმათ საბოლოოდ უარჰყვეს აზრი საბჭოთა რესპუბლიკებზე თავდასხმისა.

თუ მათ დაუდგათ მოხერხებული დრო, ისინი გაილაშქრებენ საბჭოთა კავშირზედ. აი, ასეთ დროის მოლოდინში მზად უნდა იყოს წითელი ჯვრის საზოგადოებაც. ამ საკითხის შესახებ აღმასრულებელ ორგანოს მიერ წარმოდგენილი მოსაზრება საერთო ყრილობამ გულდასმით უნდა განიხილოს და მტკიცე გადაწყვეტილება მიიღოს, რომ ცენტრალური ორგანო და მისი განყოფილებების კომიტეტები ენერგიულად შეუდგენ ამ მხრივ თავის მოვალეობის აღსრულებას.

მშვიდობიანობის დროს წითელი ჯვრის მოვალეობას შეადგენს დახმარება აღმოუჩინოს სტიქიონურ უბედურებების მსხვერპლად გამხდარ მოსახლეობას, ომიანობის დროს დაჭრილ-დასახიჩრებულთ და აწარმოოს ბრძოლა სოციალურ (მალიარია, ჭლექი, ვენერიული სენი) და მორალურ ავადმყოფობათა წინააღმდეგ. ამ ავადმყოფობათა წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენს დროში აქტუალურ ხასიათს ღებულობს.

თუ სტიქიურ უბედურებათა მსხვერპლთათვის და ომის ინვალიდთა დახმარებისათვის საჭიროა მხოლოდ განსაზღვრული თანხის დაგროვება და დროგამოშვებით ამ თანხის სამართლიანად და მიზანშეწონილად დანაწილება, სოციალურ და მორალურ სენთა წინააღმდეგ ბრძოლა მოითხოვს, გარდა ნივთიერ საშუალებისა, შეუწყვეტელ და დაუღალავ შრომას ამ ბრძოლის ორგანიზაციისათვის.

ერთი დიდი მნიშვნელობა საბჭოთა მედიცინის იმაში გამოიხატება, რომ მთლიანმა საბჭოთა მედიცინამ სიმძიმის ცენტრი სამკურნალო მედიცინიდან გამაფრთხილებელ მედიცინაში გადაიტანა. მან უმთავრესი ყურადღება მიაქცია სენის გამომწვევ მიზეზების წინააღმდეგ წინასწარი ბრძოლას და ეს ჩასთვალა ერთ საუკეთესო საშუალებათ მოსახლეობის გაჯანსაღების საქმეში. უკვე ყველასათვის ცნობილია, რომ ძველი წყობილების დროს ხალხის გაჯანსაღებისათვის დანიშნულ ყოველ თითოეულ მანეთიდან სამკურნალო მედიცინისათვის იხარჯებოდა 95 კ., ხოლო პროფილაქტიურ მედიცინისათვის კი დანარჩენი ერთი შაური. ეს სრულიად მიზანშეუწონელი განაწილება შრომისა, ყურადღებისა და ბიუჯეტისა ხალხის გაჯანსაღების საქმეში საბჭოთა მედიცინამ ძირიანფესვიანად შესცვალა და სწორი გზა გამონახა. უმთავრესი ყურადღება პროფილაქტიურ მედიცინას,—აი სწორი გზა ხალხის გაჯანსაღების საქმეში. ასეთია დღევანდელი მტკიცე შეხედულება საბჭოთა მედიცინისა.

წითელი ჯვრის საზოგადოებამაც ეს შეხედულება სავსებით განიზიარა და თავისი საექიმო-სასანიტარო მოქმედების სფეროში მედიცინის ამ დარგს მიაქცია ყურადღება. ეგრედწოდებული სოციალური და მორალური სენები შედეგია ცხოვრებაში ერთგვარ პირობების არსებობისა, და უკეთუ ეს პირობები არ მოისპო, ამ სენების მძვინვარებას ბოლო არ მოეღება. ამისათვის უპირველეს ყოვლისა წითელი ჯვრის საზოგადოება უნდა აწარმოებდეს ამ სენების გამომწვევ პირობებთან ბრძოლას. მრავალგვარია ის მავნე პირობები, რომელნიც იწვევენ აღნიშნულ სოციალურ ავადმყოფობათ. სასურველია, მაგრამ შეუძლებელი საერთო და ერთდროული იერიშების მიტანა ყველა ამ პირობებზედ. ამისათვის გეგმაშეწონილი მუშაობა მოითხოვს თანდათანობით განხორციელებას იმ ბრძოლისას, რომელიც დღევანდელ მომენტში აუცილებელი და სასწრაფოა.

ასეთ სასწრაფო საქმედ წითელი ჯვრის აღმასრულებელ ორგანოს დღეს მალარიის წინააღმდეგ ბრძოლა მიაჩნია და უმთავრესი მისი ყურადღება აქეთკენ არის მიქცეული. მთელი მოსახლეობის 33 პროცენტის ამ სენით დაავადება იწვევს ხალხის ეკონომიურად დაქვეითებას, მის ფიზიკურად გადაგვარებას და შემდეგ სრულიად გადაშენებას. ეს სურათი ნათელჰყოფს, თუ რა სასწრაფო ღონისძიებათა მიღებაა საჭირო ამ სენის წინააღმდეგ საბრძოლველად; მუშურ-გლეხური ხელისუფლება თავის სათანადო ორგანოს, ჯანსახკომის საშუალებით აწარმოებს ბრძოლას მალარიის წინააღმდეგ, მაგრამ ამ ბრძოლას ისეთი სერიოზული ხასიათი აქვს, იგი იმდენად რთულია, რომ საბჭოთა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა დაუხმარებლად იგი სათანადო ნაყოფს ვერ გამოიღებს. ამისათვის წითელი ჯვრის საზოგადოებამ უალრესად უნდა გააფართოვოს თავისი მოქმედება ამ სფეროში და ხელისუფლების ორგანოსთან შეთანხმებული მუშაობით ხალხის ჯანმრთელობის ამ გამანადგურებელ სენს მედგრად შეებრძოლოს.

საექიმო - სასანიტარო აღმშენებლობაში საქართველოს წითელმა ჯვარმა მკურნალობითი მედიცინასაც უნდა მიაქციოს ყურადღება და სამკურნალო დახმარება აღმოუჩინოს მცხოვრებთ. ცარიზმი ნაკლებად აქცევდა ყურადღებას ხალხის ჯანმრთელობის საქმეს საზოგადოდ და განსაკუთრებით საქართველოში, რომელიც ამ მხრით უმწეო მდგომარეობაში იყო. აქა-იქ თითო-ოროლა სამკურნალო სოფლად ცალკეულ ექიმების მეთაურობით, სრულებით ვერ აკმაყოფილებდა ხალხის საჭიროებას მკურნალობის საქმეში და დიდი უმრავლესობა მშრომელი ხალხისა საექიმო დახმარებას მოკლებული იყო. მხოლოდ მცირედი ნაწილი მოსახლეობისა, ეკონომიურად მძლავრი და უფლება-უპირატესობით აღჭურვილი, სარგებლობდა საექიმო დახმარებას კერძო ექიმებთან და კერძო საავადმყოფოებში. საექიმო დახმარების არ არსებობის ნიადაგზე მძლავრად აღმოცენდა მკითხაობა, არა მეცნიერული მეთოდები მკურნალობისა, რომელიც სარგებლობის მაგიერ დიდ ზიანს აყენებდა უმეცრებით გარემოცულ ხალხს.

უმაგალითო მსოფლიო ომმა, განადგურა რა საწარმოო ძალები, დიდათ გააუარესა ხალხის ეკონომიური მდგომარეობა და ამით სამკურნალო საქმეც და სხვა. მენშევიკების ხელისუფლებამ, როგორც სხვა დარგში, აქაც ვერ შესძლო მდგომარეობის გაუმჯობესება და გადასცა საბჭოთა ხელისუფლებას ფრიად მძიმე მემკვიდრეობა. მრავალი კუთხე ჩვენი ქვეყნისა სრულიად მოკლებული იყო და ეხლაც არის მოკლებული საექიმო დახმარებას. ხელისუფლება მარტო ვერ შესძლებს სამკურნალო საქმის შესაფერ ნიადაგზე დაყენებას და აქაც წითელი ჯვარი, როგორც საბჭოთა საზოგადოებრივობის ორგანიზაცია, გვერდში უნდა ამოუდგეს ხელისუფლების სათანადო ორგანოს და შესაფერი დახმარება აღმოუჩინოს მას.

ამგვარად, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება უნდა გახდეს ხელისუფლების მძლავრ დამხმარე საზოგადოებრივ ორგანოდ როგორც ომიანობის, ისე მშვიდობიანობის დროს.

წითელი ჯვრის ცენტრალური კომიტეტი ამ საკითხებზე დასაბუთებულ მოსაზრებებს წარუდგენს საზოგადო ყრილობას და ყრილობამ უნდა გამოსთქვას თავისი აზრი ამის შესახებ.

ამ კითხვების განხილვის დროს საზოგადო ყრილობამ უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციოს ნივთიერ საშუალებების გამოძებნას, ურომლისოდაც შეუძლებელია ზემოჩამოთვლილ ამოცანების შესრულება. ყრილობას უნდა ახსოვდეს, რომ საქართველოს წითელი ჯვარი თვითმოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაცია არის და თავის საქმიანობაში იგი საკუთარ ძალებს უნდა ეყრდნობოდეს: ადგილობრივმა განყოფილებებმა უნდა გამოიჩინონ ის შრომის უნარი და ენერგია, რომელიც ნიშნობლივ თვისებას შეადგენს მშრომელ მასების ყველა ორგანიზაციისას თავის მოქმედების ფარგლებში, თვით უნდა ეცადონ განახორციელონ დასახული მიზნები და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როგორც გამონაკლისი, მიმართონ ცენტრს დახმარებისათვის. ეს გარემოება ხაზგასმით უნდა აღნიშნოს საზოგადო ყრილობამ და გამოიტანოს მტკიცე დადგენილება წითელი ჯვრის ნივთიერ სახსართა გაძლიერების შესახებ წევრთა თვითმოქმედების და ენერგიული საქმიანობის საშუალებით.

თავის დინჯი, სერიოზული საქმიანობით, თავისი დასაბუთებული და მიზანშეწონილი დადგენილებით საერთო ყრილობამ უნდა დაანახვოს საქართველოს მშრომელ მასებს, რომ საქართველოს წითელი ჯვრის საქმე არის სახალხო საქმე და მისი მტკიცე ნიადაგზე დაყენება ნიშნავს ამავე დროს საბჭოთა რესპუბლიკის გამაგრებას და მისი ხელისუფლების განმტკიცებას.

ვისურვოთ, რომ სრულიად საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ყრილობამ შესძლოს ამ თავის მოვალეობის პირნათლად შესრულება და თავის საქმიანობით მტკიცე და შეურყეველი საფუძველი ჩაუყაროს წითელი ჯვრის საზოგადოების არსებობას.

ა. კიკალიშვილი.

საინფორმ. ცენტრ-განყოფილების
კომპლექტი

წერილები პროვინციიდან

გლეხებს ხვედრი ფული დროზე უნდა მიეცეს

(ბორჯომის რაიონი)

ვინაიდან ბორჯომის რაიონში სახნავ-სათესი მიწები ძალიან მცირეა, ამ მცხოვრებელი გლეხები უმეტეს ნაწილად მისდევენ ტყის მუშაობას, მაგრამ, მათ საუბედუროთ, ამაშიც ხეირი არ ყრია. იყო ასეთი შემთხვევა, რომ ბორჯომის რაიონში სოფელ ზანავში მცხოვრებს გლეხებს, სახელდობრ ვანო და ვასო რაზმაძეებს, ჰქონდათ ახალდაბის სატყეოდან რამდენიმე ძირი ხე ნაძვის სოფელ ზანავის ტყეში, იმ პირობით, რომ ზემოაღნიშნული ხეები უნდა ჩაებარებინათ ახალდაბის ქარხანაში.

ხსენებულმა გლეხებმა ეს ხეები სადროთ ჩააბარეს ახალდაბის ქარხანას, ვინაიდან ისინი იყვენ ღარიბები და მათ ძალიან ესაჭიროებოდათ ფული, რადგან ერთსაც და მეორესაც ჰყავდა საყიდელი ცალ-ცალი უღელი ხარი. როცა ამ გლეხებმა ეს ხეები ახალდაბის ქარხანას ჩააბარეს, უანგარიშეს ამ ხეების ფული და მისცეს კვიტანცია, რომ ამა და ამ კაცს ერგება ხეების ფული ამდენი და ამდენიო. გლეხები ერთხელ მივიდნენ ფულის სათხოვნელად, უთხრეს—ფული არ არისო. მეორეთ მივიდნენ: კიდევ ცარიელები გაისტუმრეს, ასე, რომ ეს გლეხები, რაც რომ ამ ხის გამოტანას მოუნდნენ, ათი იმდენი ფულის აღებას მოუნდნენ. თუ გლეხი ათი ხის გამოტანას მოუნდა ერთი თვე, ფულის აღებას უნდება არა ნაკლები ოთხი-ხუთი თვე და ზოგჯერ კიდევ მეტი.

საჭიროა ასეთ საქმეს ყურადღება მიექცეს.

ქარიშხალი.

ქალ. ზესტაფონი (შორ. მაზ.)

წინეთ ზესტაფონი უმნიშვნელო სოფელს წარმოადგენდა. ეხლა შედარებით დიდ ქალაქს წარმოადგენს. ქალაქი გაშენებულია მდინარე ყვირილის გაღმა-გამოღმა ნაპირებზე. ამ ქალაქს მრავალი სოფელი უახლოვდება და გამოაქვთ თავიანთი ნაწარმოები ბაზარზე გასასყიდათ პარასკეობით და კვირაობით. უკანასკნელი დღეები მოხსენებული ქალაქის და მისი უახლოესი სოფლების ბაზრობის დღეთ ითვლება. ამ დღეებში მრავალრიცხოვან ხალხთ მოაქვთ თავ-თავიანთი ნაწარმოები ბაზარზე გასასყიდათ და მის ნაცვლად ჰყიდულობენ ოჯახისათვის საჭირო წვრიმალ ნივთებს, აღნიშნულ დღეებში სოფლის გლეხობა განიცდიდა გამოუთქმელ გაჭირვებას. მათ საშუალება არ ჰქონდათ თავიანთი ნაწარმოები თავისუფლად გაეყიდათ, ვინაიდგან სავაჭრო ადგილი გაჭედილი იყო მაგიდებით და ჩარჩ-სპეკულიანტებით, „თავისებური" გაიძვერული მოქმედებით ატყუებდენ სოფლის გლეხობას. სოფლიდან შემოსულ საქონელს არც ბაზარი ჰქონდა და სივიწროვისა გამო ადგილიც ძნელი საშოვარი იყო, რომ მოეთავსებიათ თავიანთი ნაწარმოები. მიაქცია რა ამას სათანადო ყურადღება ზესტაფონის აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. სიმონ ცუცქირიძემ დაადგინა:

„გლეხობას თავიანთი ნაწარმოებისათვის მიეცეს სრული თავისუფლება ვაჭრობისა, იქნეს მოხსნილი ყოველგვარი დაბაჟება სოფლის ნაწარმოებზე, ოთხფეხზე და სხვაზე. იქნას გადიდებული კოოპერატიული სავაჭროების რიცხვი ქალაქის სხვადასხვა კუთხეებში და ნავთის ვაჭრობა (რომელიც სწარმოებდა ერთ ადგილას), დაარსდეს და მოეწყოს 4—5 ადგილას".

აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ს ცუცქირიძის გლეხებისადმი გულშემატკივრობას და მის ყოველ მხრივ გულ-მხურვალე დახმარებას, ქ. ზესტაფონი და მისი რაიონის გლეხობა აფასებს ფრიად დამაკმაყოფილებლათ და საერთოდ ყველა თემის გლეხობა უზომო მადლიერია გლეხობისადმი ასეთი ყურადღებისათვის.

ამ. სა—ძე.

მდინარე ბუჟუჯზე საჭიროა ხიდის აგება

(წერილი ოზურგეთიდან)

ქალაქ ოზურგეთს ჩამოუდის მდინარე ბუჟუჯი, რომელმაც პირდაპირ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო ხალხი. ამ მდინარეს გაღმა მრავალი სოფლებია. ამ სოფლების მცხოვრებნი დიდ გაჭირვებაში არიან ამ მდინარეზე ხიდის უქონლობის გამო. ხშირად აკეთებენ დროებით ხიდს, მაგრამ ამ მდინარემ პერიოდულათ იცის ადიდება და ამ დროს მიაქვს თან ეს ხიდები. ამით სარგებლობენ მენავეები, რომლებიც ყვლეფენ მშრომელ ხალხს. უწინ, მენშევიკების დროს, ხალხით შუამდგომლობა მთავრობასთან ხიდის აგების შესახებ და კიდეც აგვითქვეს ამ საქმის შესრულება, მაგრამ აღთქმა აღთქმათ დარჩა და საქმეთ კი არაფერი გაკეთდა. ეხლა კი, საბჭოთა ხელისუფლების დროს დისმული იყო კითხვა ხიდის აგების შესახებ და ზოგიერთი მასალები კიდეც მოიტანეს. ხალხი დიდი იმედებით შეჰყურებდა ხიდის აგებას, მაგრამ გავიდა მას შემდეგ დიდი ხანი და ამ საქმეს არავინ ყურადღებას არ აქცევს. ნათქვამია: „თუ კაცმა მოინდომა, მთას გადააბრუნებსო". თუ მთავრობა დაეხმარება ხალხს, ისინი დიდი ღონით იკისრებენ ყოველგვარ სამუშაოს შესრულებას.

მალიოტა გ.

სოფ. ქვიშარის გასაჭირი

(ლეჩხუმის მაზრა)

სოფელი მდებარეობს რაჭა-ლეჩხუმის საზღვარზე. ამ სოფლის ბოლოს ჩამოუდის ღელე. ღელეზე ხიდი არ არის და ხალხი პირდაპირ აუტანელ მდგომარეობაშია. ხელს არავინ ანძრევს ხიდის დასაგებად. ერთი წლის წინათ, როდესაც ხალხს გაუჭირდა და აუტანელ მდგომარეობაში ჩავარდა, იძულებული შეიქნენ ხე-ტყე მოეტანათ და ხიდი აეგოთ, ისეც სისრულეში მოიყვანეს, მასალაც ხიდისათვის დაამზადეს, მაგრამ ხელმძღვანელობა არავინ გაუწია, რომ ხიდი აეგოთ, ამიტომ დარჩა ხე-ტყე უპატრონოთ. ზოგი დალპა და ზოგი კი სხვამ მიითვისა. საჭიროა ამ გარემოებას მიაქციონ ყურადღება და გაუწიონ მცხოვრებლებს შესაფერი ხელმძღვანელობა.

მეთვალყურე დ-ტო.

ს. დილიქაური (შორ. მაზრა)

ეს სოფელი მდიდარია ტყით. მდიდარია აღნიშნულ სოფლის ტყე სხვა დასხვა სამასალო და საშეშე ხე-ტყით. განსაკუთრებით მრავალია ამ ტყეებში ჩაის მცენარე. უკანასკნელი მართალია არ წააგავს ჩინურ ჩაის, რომელიც იზრდება 3—4 არშინი და რომელსაც უვლიან განსაკუთრებით და რომლის უპირატესობა და ხარისხი დიდათ გაირჩევა ჩვენებურ ჩაის მცენარესთან. მაგრამ ჩვენებური ჩაიც არ არის გამოუდეგარი, ხმარობენ საღებავათ და უკიდურეს შემთხვევაში კარგს დამზადებულს სასმელადაც კი. გაზაფხულდება თუ არა, ჩვენებური გლეხობა დიდი შრომით და მოწიწებით ამზადებს ჩაის. როგორც ყოველ წელს, ამ ჟამადაც ამ სოფელში მრავალი ჩაია დამზადებული, მაგრამ ჩარჩები დაეხეტებიან სოფლად და თავისი გაიძვერული მოქმედებით ატყუებენ და იაფ ფასებში ყიდულობენ დიდი წვა და დაგვით დაგროვებულ ჩაის. სასურველია ზესტაფონის „ეპო" და ბანკი დაგზავნიდეს სოფლად თავიანთ რწმუნებულებს და შეისყიდიდენ გლეხობის ნაწარმოებს.

ამბროსი ხალაძე.

თელავის ქალაქის საბჭოს სხდომა

(ჩვენი კორესპონდენტისაგან).

ახლად არჩეულ ქალაქის საბჭოს პირველი სხდომა მოხდა 8 თებერვალს, პროფბიუროს კლუბში. ამ საღამოს დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. საბჭოს თითქმის ყველა წევრები გამოცხადდნენ.

აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. გ. ქურციკაშვილმა სხდომა კანონიერად გამოაცხადა და სთხოვა აერჩიათ პრეზიდიუმი.

პრეზიდიუმში აირჩიეს ამხ. გ. ქურციკაშვილი, ს. თოხაძე, თ. ცინცაძე, ნ. ლუდუშაური და გ. ვარსევნიშვილი. საპატიო თავმჯდომარეებათ ერთხმად ამორჩეულ იქნენ ამხ. მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, ს. ორჯონიკიძე და შ. მათიკაშვილი.

ამასთან სხდომამ დაადგინა ქალ. საბჭოს პირველ სხდომის აღსანიშნავად გაუგზავნოს ცენტ. აღმასრულებელ კომიტეტს მისასალმებელი დეპეშა, რაც შესრულებულ იქნა.

შემუშავებულ და დამტკიცებულ იქნა შემდეგი დღის წესრიგი: 1) ძველი საბჭოს მოქმედების შესახებ მოხსენება. 2) სამანდატო კომისიის არჩევა, 3) საბჭოს სექციების გამოყოფა და 4) დელეგატების არჩევნები.

ძველი საბჭოს მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ გ. ქურციკაშვილი.

მოხსენებიდან ირკვევა, რომ თუ უკანასკნელ წელს გაუკეთებია რამე ქალაქში, ეს აღმასკომს და კომუნმეურნეობას; რაც შეეხება თვით საბჭოს მოქმედებას, იგი აქტივობას ვერ იჩენდა თურმე. პირველად საბჭოს თუმცა სექციებიც აურჩევია, მაგრამ ეს სექციები სრულებით არა მუშაობდენ თურმე, გარდა მიწისმომწყობი სექციის და სხვა.

მცირე შეკითხვების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელმაც გაცხოველებული ხასიათი მიიღო. კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ვ. პაატაშვილმა, ამხ. ს კარჭაელმა და გ. ჩიტელაძემ.

ამხ. პაატაშვილი ეხება ძველი საბჭოს უსიცოცხლო მოქმედებას და ამბობს, რომ მისი ნაკლი ჩვენ უნდა შევავსოთ.

ამხ. ს. კარჭიელი თავის შინაარსიანი სიტყვით ეხება რა საბჭოების მუშაობის უაღრეს მნიშვნელობას საბჭოთა აღმშენებლობაში, კრიტიკას აკეთებს ძველ საბჭოს მოქმედებას, და უსურვებს, რომ ახალმა საბჭომ თავისი აქტიური მუშაობით გაამართლოს ამომრჩეველთა იმედი და სხვა.

საბოლოო სიტყვა წარმოსთქვა ამხ. გ. ქურციკაშვილმა და დაუსურათხატა ის ობიექტიური პირობები, როგორშიაც საბჭოს მოუხდა მუშაობა. ამის შემდეგ საბჭომ მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც ძველის მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო.

სამანდატო კომისიაში არჩეულ იქნენ ამხ. ბაბაევი, იაგორაშვილი და მამაჯანოვი. ამ კომისიამ ამავე სხდომაზე გააკეთა მოხსენება და ახალ წევრების არჩევნები კანონიერად იქნა ცნობილი და დაამტკიცა საბჭომ.

სექციების გამოყოფამ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. პრეზიდიუმის აზრით საჭირო იყო ხუთი კომისიის გამოყოფა: 1. კომუნალურ მეურნეობის, 2. მიწათ-მომწყობი, 3. განათლების, 4. ფინანსიური და 5. სანიტარული. ზოგიერთმა მოითხოვეს ამას მიჰმატებოდა ფასების მომწესრიგებელი კომისია, ვინაიდან ეს თელავში საჭიროა, რომ თვალყური ადევნოს ბაზარს და ხელი შეუწყოს ფასების წონასწორობას, მაგრამ დიდის ხმის უმრავლესობით საბჭომ უარჰყო ეს სექცია და დაადგინა 5 სექციის დაარსება, და აქვე აირჩიეს ყველა სექციის ხელმძღვანელი.

ბოლოს საბჭომ აირჩია 10 დელეგატი სამაზრო ყრილობაზე დასასწრებლად და ვიდრე დაიხურებოდა, გადასწყვიტა საბჭოს სხდომები იმართებოდეს თვეში ერთხელ.

ვან—ლი.

პროვინციის ქრონიკა

— **ახალ-სენაკის** მთ. კოოპერატივმა მიიღო ცენტრიდან დიდძალი შაქარი.

— **წყალსადენი.** სოფ. შილდის (თელავის მაზრა) კოოპერატივმა ადგილობრივ წყალსადენის გამოსაყვანათ გადასდო 300 მან.

— **ტელეფონი სოფლად.** შორაპნის აღმასკომის დადგენილებით თავასის თემში გაყვანილი იქნება ტელეფონი.

— **მეთვალყურეობა ტყეებზე.** შორაპნის მაზრაში, აღმასკომის დადგენილებით, გაუქმებული იქნა ყველა სოფლებში ტყეების მეთვალყურეთა კომისიები და უჯამაგირო ტყის მცველები.

— **კბილის საექიმოები.** ზესტაფონსა და ძირულაში შორაპნის აღმასკომმა მოაწყო აქ მუდმივი კბილის საექიმო პუნქტები.

— **სიღნაღის** აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის წინაშე სოფელ ნუკრიანში სარაიონო საკრედიტო ამხანაგობის დაარსების შესახებ.

— **სოფ. თამაკონში** (ახ. სენაკის მაზრა) არის საექიმო პუნქტი, მაგრამ არ არის ექიმი, რის გამო გლეხობა განიცდის დიდ გაჭირვებას.

— **ოზურგეთის მაზრაში** ამჟამად ირიცხება 1530 დახლვეულზე მეტი.

იურიდიული რჩევა-დახმარება

ინვალიდები იხდიან თუ არა წყლის ფულს

კითხვა:

კომუნალურ ქუჩაზე სახ. № 79-ში იმყოფებაიან ორი ინვალიდები. მათთან დამატებით სცხოვრობს კიდევ ერთი სული. წყალს ხმარობენ ისე როგორც სხვები. წყლის ფულის გადახდაზე არც კი ფიქრობენ.

გთხოვთ ახსნა-განმარტებას, თუ რამდენი ვედრო წყალი ეკუთვნის თითოეულ ინვალიდს უფასოდ.

აღნიშნული ინვალიდები, არამც თუ თვითონ არაფერს არ იხდიან წყლის საფასურად, პირიქით მეზობლებსაც აძლევენ წყალს უასყიდლოდ და არავითარი რჩევა-დარიგება მათზე გავლენას არ ახდენს. შეიძლება თუ არა, მეზობლები, ჩვენი სახლის მდგმურები, საერთო კრების დადგენილებით დავაჯარიმოთ უპატრონო ბავშვების სასარგებლოდ. გვაქვს უფლება თუ არა ის პირნიც, ვინც დაარღვევს საერთო კრების დადგენილებას ასევე დავაჯარიმოთ.

ადგილობრივი წყლის კომისია.

პასუხი:

შრომისა და ომის ინვალიდები, სოც. უზრუნველყოფაში ჩარიცხულნი, თითო სულზე დღიურად ერთ ვედრო წყალს იღებენ სრულიად უფასოდ; ამის ზევით დახარჯულ ყოველ ვედრო წყალზე იხდიან წყლის საფასურს საერთო წესით: ყოველ ვედროზე კაპეიკის ერთ მეოთხედს. მეზობლებზე სისტემატიურად წყლის უფასოდ გაცემა დაუშვებელია და ის მათ ბოროტმოქმედებად ჩაითვლებათ თქვენი სახლის მდგმურთა მიმართ, რომლებმაც უნდა გადაიხადონ თავის ჯიბიდან დახარჯულ წყლის საფასური. მეზობლების მოშორება თქვენ შეგიძლიათ მილიციის საშუალებით; ის მდგმურები, რომელნიც ასეთ ზარალს აყენებენ თავიანთ თანამცხოვრებლებს, შეიძლება დაჯარიმებული და გამოსახლებულნიც იქნენ თქვენი სახლიდან, როგორც სახლის მოსახლეთა უფლებების, მყუდროების და წესრიგის დამრღვევნი.

შვილებს ევალებათ თუ არა მშობლების რჩენა

კითხვა:

ვცხოვრობთ ერისთავის ქ. სახლი № 14-ში. ეს მეორე წელიწადია, რაც ჩემმა უფროსმა შვილმა და რძალმა გამომაგდეს სახლიდან. გამიყიდეს სასადილო მაგიდა, პალტო და ზამთარში უპალტოთ დამტოვეს. იმ დღიდან ვცხოვრობ ჩემ უფროს ვაჟთან, რომელთანაც უწინაც გამუდმებით ვცხოვრობდით მე და ჩემი გამომდები შვილი, სანამდის ეს უკანასკნელი შეიძლებდა დამოუკიდებლად ცხოვრებას. ეს უფროსი ვაჟი ცოლის და პატარა შვილების პატრონია და შეძლებისდა გვარად (გაჭირვებით) გვინახავს 5 სულს. და აი ამ დროს, როდესაც მე განვიცდი გაჭირვებას, განსაკუთრებით ტანსაცმლის მხრივ, ჩემი უმცროსი ვაჟი თავის ცოლს დღეობას უმართავს სანახობით გათენებამდე ქეიფით, ყიდულობს მისთვის ძვირფას ტანსაცმელებს, ძვირფას დგამს (ავეჯს). თითქმის გამუდმებით ხშირად იკრიბებიან ცოლის მშობლები და მათი შვილები და სხ. მე კი არავითარ ყურადღებას არ მაქცევს. უფროს ვაჟს კი იმდენი არ გააჩნია, რომ თავის ცოლშვილთან ერთად მეც შემოსოს. გთხოვთ გამაგებინოთ, მაქვს თუ არა უფლება შევიტანო საჩივარი ჩემს უმცროს შვილზე და მოვითხოვო მისგან ჯეროვანი ნივთიერი დახმარება.

დედა ნინო.

პასუხი:

თანახმად დეკრეტი № 28 მუხ. 126-ისა, შვილები ვალდებულნი არიან არჩინონ თავიანთი გაჭირვებული დაკარგული მშობლები, თუ ამ უკანასკნელთ (ამ შემთხვევაში თქვენ), არ ეძლევათ სარჩო სახელმწიფოდან ავადმყოფობისა და მოხუცებულობის დაზღვევის კანონის ძალით, ან სოციალურ უზრუნველყოფის დაწესებულებიდან.

თქვენ გაქვთ სრული უფლება მოითხოვო სარჩო შვილებისაგან სამოქალაქო სასამართლოს წესით.

ბინის ქირის შესახებ

კითხვა:

ვცხოვრობ მე-2 სამილიციო უბანში თიანეთის ქუჩ. № 11-ში სახლი ეკუთვნის ონანოვს. მიკავია ერთი ოთახი 25 კვად. არშინიანი; სამზარეულო და წყალი არა გვაქვს. ვარ მოსამსახურე. თვეში ვღებულობ 31 მანეთს. რამდენი უნდა მივსცე ქირა სახლის პატრონს.

შალიკო იაშვილი.

პასუხი:

ბინის ქირად თვიურად იხდით ნახევარ მანეთს. (50 კაპ.).

წერილები რედაქციის მიმართ

საჯავახოს კოოპერატივის გარშემო.

მოქ. ჩ. „კომუნისტი"-ს № 23-ში მოათავსა კორესპონდენცია საჯავახოს მ | კოოპერატივის შესახებ, რომელშიც მიწასთან ასწორებს ამ კოოპერატივის ყოველივე საქმიანობას, უყენებს მას მეტად მძიმე ბრალდებებს, რაც სისხლის სამართლის დანაშაულს უდრის.

თუმცა ძველ გამგეობას ჰქონდა დეფექტი თავის საქმიანობაში, მაგრამ ასეთები იქნა გამოსწორებული რწმუნებულთა არაჩვეულებრივი ყრილობის შემდეგ (1924 წ. 23 აგვისტოდან), რაც ერთხმად აღიარა „ეპო"-ს რწმუნებულთა ყრილობამ გ. წ. 11 დეკემბერს (იხილეთ ამის შესახებ მიღებული რეზოლიუცია ჟურნალ „კავშირში" № 23—24). ეს კარგად უნდა სცოდნოდა მოქ. ჩ.-საც.

ჩვენ წინადადებას ვაძლევთ. მოქ. მ-ს. გამოგვყვეს სამედიატორო სასამართლოში, დაგვიმტკიცოს მის მიერ წამოყენებული ბრალდებები. ჩვენის მხრით მედიატორედ ვასახელებთ სამტრედიის რაიონის პროფკავშირის პას. მდივანს ამხ. ს. მაისუროვს.—დაასახელოს მ.-გ. თავისი მედიატორი.

საქმე უნდა გაირჩეს სადგ. საჯავახოში არა უგვიანეს 23 თებერვლისა. თუ ის ჩვენს წინადადებას არ დაეთანხმება, ჩვენ ვიტოვებთ უფლებას მივსცეთ ის პასუხისგებაში, როგორც ცილისმწამებელი.

საჯავახოს კოოპ-ის გამგეობა.

გაზ. „კომუნისტის" კანტორის რწმუნებულები, განცხადებათა შემკრები აგენტები იღებენ შეკვეთებს როგორც მსხვილ და წვრილ წარმოება-დაწესებულებიდან, აგრეთვე კერძო პირებისაგან, რომელთაც ეძლევათ დრო ფულის გადახდისა კანტორის რწმუნებული აგენტის თანხმობით. ვიღაც ბნელი პირები ათვალიერებენ გაზეთში გამოქვეყნებულ განცხადებებს, მიდიან დანიშნულებისამებრ და შემკვეთ დაწესებულებების ან კერძო პირს ეკითხებიან გადაიხადა თუ არა განცხადების საფასური. და როდესაც გაიგებენ, რომ არ გადაუხდიათ თხოულობენ გაიგონ განცხადების ფასის, როგორც კანტორიდან სპეციალურათ გამოგზავნილი და დავალეული პირი. ასეთი მაგალითი ყოფილა პლეხანოვის პრ. 63. საჭიროა მიექცეს ყურადღება ასეთ საქმიანობას*).

დაწესებულების ან კერძო პირს რომელიც შეკვეთას აძლევს კანტორის აგენტს, ვალდებული უნდა იყოს უშუალოდ დამოკიდებულება იქონიოს საქმის დამთავრებამდე ამავე აგენტთან, და არა სხვა ვინმესთან.

შალვა.

---

*) „კომუნისტი"-ს კანტორა სთხოვს ყველას, ვინც გაიგებს ასეთი პირების შესახებ, გვაცნობოს დაუყოვნებლივ, რათა მივიღოთ მათ წინააღმდეგ საჭირო ზომები.

კანტორა.

ქუთაისის სამეურნეო ცხოვრება

საფეიქრო სინდიკატის ქუთაისის სააგენტოს მუშაობა

(საუბარი ქუთაისის სააგენტოს გამგე ა. გ. ყორანაშვილთან)

ქუთაისის სააგენტო გაიხსნა 1923 წლის ნოემბერში. სააგენტო კოოპერატიულ და სახელმწიფო სავაჭრო ორგანოების საშუალებით საფეიქრო მრეწველობის პროდუქტებს აწვდის ონის, ტყვიბულის, ბაღდადის, ვანის, სამტრედიის, ხონის, ქიათურის, ზესტაფონის, ჩხარის ახალ სენაკის, მარტვილის და აბაშის კოოპერატიულ რაიონებს, სადაც სინსაქდიკატის ონელი თანდათან უფრო და უფრო მეტი საღდება ამ რაიონების სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის გამო. სინდიკატი აწვდიდა აგრეთვე წვრილ მოვაჭრეებს ისეთი მსხვილი ჯგუფის საქონელს რომელიც სააგენტოს ჭარბად მოეპოვებოდა.

სინდიკატის საქონელზე მოთხოვნილების ზრდას გვიჩვენებს ქვემოდ მოყვანილი ცხრილი და ის ფაქტი, რომ სააგენტოს თვიური ბრუნვა 250 ათასს მანეთამდე ავიდა.

თვეში	1924 წ. გაყიდულია	სახელმწიფო ორგანოებზე	კოოპერატიულ ორგანოებზე	კერძო პირებზე
თებრვ.	84987—76	7161 მ. 32 კ. 8 ნახ. პრ.	46469 მ. 18 კ. 54 ნახ. პრ.	31357 მ. 26 კ. 37 პროც.
ივლისი	89354—28	7324 მ. 90 კ. 8 პროც.	77398 მ. 23 კ. 87 პროც.	4630 მ. 15 კ. 5 პროც.
დეკემბ.	214218—44	24311 მ. 78 კ. 11,35 პროც.	185675 მ. 23 კ. 86,68 პროც.	4231 მ. 45 კ. 1,97 პროც.

სააგენტოს საქონლით შევსება სისტემატიურად სწარმოებს, რაც უნდა მიეწეროს სინდიკატის გამგეობის ა | კ. რწმუნებულის განსაკუთრებულ ყურადღებას სააგენტოსადმი, რომელსაც იგი პირადათ ნახულობს, ეცნობა მის საჭიროებას და შეძლებისდაგვარათ აწვდის საქონელს და წინ სწევს მის მუშაობას.

პირველ ხანებში ყოველთვიურად სინდიკატს მოსდიოდა 1—2 ვაგონი ბამბის საქონელი, 3 ვაგონამდე მაუდის ან სელის ფართლეული. უკანასკნელ თვეებში მიწოდება უფრო გადიდდა და ამჟამად სააგენტოს ყოველთვიურად მოსდის 6 ვაგონი ბამბის საქონელი, ხოლო დანარჩენი საქონელი ბაზრისათვის შერჩეული ასორტიმენტი 3 ვაგონამდე.

ვაჭრობის გადიდებამ აუცილებელი გახადა შტატის გადიდება. ამჟამად სააგენტოში მსახურობს 16 კაცი, რომელიც სავსებით აკმაყოფილებს საჭიროებას. კლიენტურას საქონელი ეძლევა შეუფერხებლად და თავის დროზე, რაც საშუალებას აძლევს კოოპერატიულ და სახელმწიფო ორგანოებს სწრაფად აბრუნონ თანხები.

საქართ. სახელ. ვაჭრობის საპაიო ამხ. ქუთაისის განყოფილების მუშაობა

საუბარი საქ. სახ. ვაჭრ. საპ. ამხანაგობის რწმუნებულთან დასავლეთ საქართველოში პ. დ. გოგიაშვილთან)

განყოფილება გაიხსნა 1924 წლის 1 სექტემბერს. აგვისტოში კი სწარმოებდა საორგანიზაციო მუშაობა. პირველ რიგში საჭირო იყო ორი შენობის და ყოფ. თავად ოლდენბურგსკის ღვინის ქარხნის შეკეთება.

ქუთაისის განყოფილების მიზანი და დანიშნულება გამოიხატება იმაში, რომ ახლო გაიცნოს ადგილობრივი ბაზარი და მიაწოდოს მას ისეთი საგნები, რომლებიც ხელს შეუწყობენ სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებას; მეორეს მხრივ განყოფილება სცდილობს აღორძინოს სოფლის მეურნეობის ის დარგი, რომელზედაც არ არის მოთხოვნილება, როგორც, მაგალითად: ღვინო, დაფნის ფოთოლი და სხვა.

განყოფილების მაღაზიამ პირველ ხანებში ვერ შესძლო საქონლის ისეთი რაოდენობით მიწოდება, როგორც ეს საჭირო იყო. შემდეგში ეს ნაკლი გამოსწორებული იქნა. საქონელი ეძლეოდა კოოპერატივებს და სხვა ორგანიზაციებს, და აგრეთვე უშუალოთ მომხმარებელ-გლეხებს, შემდეგ კი კერძო პირებსაც.

ღვინის ქარხნის აღდგენას ბევრი შრომა და საშუალებები დასჭირდა. რემონტი დაჯდა 15.000 მანეთი, რადგან ქარხანაში ცარიელი კედლების გარდა არაფერი ყოფილა. ეხლა ქარხანა სავსებით აღდგენილია და წარმატებითაც მუშაობს. შემოდგომაზე შესყიდული იყო 24.000 ფუთი ყურძენი და ჩვენმა გამოსვლამ ქუთაისის ბაზარზე დიდი დახმარება გაუწია გლეხებს, რადგან ისინი განთავისუფლდნენ ჩარჩებისაგან. ეხლა ქარხანაში დამზადებულია 30.000 ვედრო საუკეთესო ღირსების ღვინო, რომელიც გაგზავნილი იქნება სხვა და სხვა რესპუბლიკებში.

ამას გარდა განყოფილებას აქვს სპირტის გამოსახდელი ქარხანა, სადაც გამოხდილია 50.000 გრადუსი სპირტი. ქუთაისის განყოფილებამ თავისი 5 თვის არსებობის განმავლობაში მოასწრო 2.500 ფუთი ლობიოს, 1000 ფუთი დაფნის ფოთოლის და 5.000 ვედრო ღვინის დამზადება.

სატრანსპ.-სააქც. საზ. „ტრანსპორტ"-ის ქუთაისის განყოფილების მუშაობა

(საუბარი ქუთაისის კანტორის გამგე ა. ალავიძესთან)

ქუთაისის განყოფილება გაიხსნა 1923 წ. სექტემბერ. პირველ ხანებში განყოფილებამ ფართოთ ვერ გაშალა მუშაობა, რადგან კლიენტები, განყოფილებაში საქმის ცუდათ დაყენების გამო, საკმაოთ ვერ იცნობდენ განყოფილების მიზნებს და დანიშნულებას.

ამ ნაკლის გამოსასწორებლათ დაგზავნილი იყო წერილობითი განმარტებები საზოგადოების შემადგენლობისა, მიზნებისა და ფუნქციების შესახებ. სამჯერ მოწვეული იყო ადგილობრივ სამეურნეო ორგანოების წარმომადგენელთა თათბირი, რომელზედაც წაკითხული იქნა მოხსენება საზოგადოების მიზნების და ამოცანების შესახებ; უმთავრესათ კი აღნიშნული იყო ის უპირატესობანი და შეღავათები, რომლებსაც ანიჭებს საზოგადოება თავის კლიენტებს ტვირთების გადატანა-გადმოტანის საქმეში.

ამის შემდეგ მუშაობა გაცხოველდა და 1924 წლის საოპერაციო წლის ბოლოს ქ. ქუთაისის ყველა სატვირთო ოპერაციების თითქმის 75 პროც. ტარდებოდა საზოგადოების საშუალებით.

განყოფილების მუშაობას გაეცვნენ აგრეთვე ქალ. ქუთაისის რაიონებიც, საიდანაც ხშირათ იგზავნება საზოგადოების საშუალებით ტვირთები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში. საზოგადოება თვალნათლივ უმტკიცებს ყველა სამეურნეო ორგანოებს, რომ ტვირთების საზოგადოების საშუალებით გაგზავნის დროს შესაძლებელია ზედმეტი ხარჯების მინიმუმამდე შემცირება; ეს თანდათან ნდობას უჩვევს საზოგადოებას და მისი მუშაობის პირობები ქალაქში და მის რაიონში თანდათან ხელსაყრელი ხდება.

